

წა გრიგოლ ღმრთისმეტყველი

იანუარსა ა:(1) და :ლ:(30) დღესა

**ცხორებაჲ და შესხებაჲ წმიდისა და ღმერთთაგანისა
მამისა ჩუენისა, ღიღისა ბასილი კესარიისა-კაპადოკიელ
მთაწარმისკოპოსისაჲ***



რად მამულებდა მე დიდი და ღმერთთაგანისა ბასილი აღწერად სიტყუათა სწავლისათა და შესხმად ღუაწლსა და ცხორებასა წმიდათასა, ვიდრე ჩუენ თანაჲ იყო (რამეთუ უყუარდეს მას სიტყუანი ჩემნი, რომელ არავინ ესრეთ შეიყუარებს თავისაცა თვისსა სიტყუათა). ო ვითარ ვპვინებ, რომელ-იგი მათთვის მამულებდა თქუამდ, განგებულებითა ღმრთისაჲთა თუთა სადმე წინამდებარე იყო დადებად აწ თავისა თვისსა წინაშე ჩუენსა შესახმელად და აღწერად ღიღებულებათა მისთა. რომელნი-იგი უზემთაჲს არიან კაცთა ბუნებისა და მოუძღვრდების ყოველი ენად ღირსებით თქუამდ.

ჩამეთუ მე ესრეთ ვიტყვ, რადთა ყოველმანვე კაცმან, სწავლულმან სიბრძნითა ფრიადითა და ძლიერმან სიტყუთა, უკუეთუ ინებოს კელოვნებისა თვისსა გამოცდად და ძალსა სიტყუათა თვისთა, ამისსა შესხმასა ოდენ თანა-წარპვედინ, რამეთუ უზემთაჲს არს კაცობრივისა სიტყვსა. ო სხუათა საქმეთა შინა, რომელიცა უზემთაჲსი სახე პოვოს, დაიდევინ იგი წინაშე თვისსა, ვითარცა მხატვარნი მაგალითისა. ო მისა მიმართ გამოაჩინენ კელოვნებაჲ თვისი და ძალი.

სრეთ ღიდ არს და უზემთაჲს სიტყვსა ქებაჲ საკრველისა ამის კაცისაჲ არა თუ ჩუენთვის ოდენ, რომელთა-ესე ადრევე დაგვტყვებიეს სიტყუათა მიმართ და გამოთქუმათ მოსწრაფებაჲ, არამედ მათთვისცა, რომელთა ყოველი საქმე ცხორებისა მათისაჲ სიტყუათა და შესხმათა ოდენ გამომეტყუელებად არს. ო ამას ზედა არს ღუაწლი მათი, რადთამცა ესევითართა საქმეთა ზედა ღიდად გამოჩნდეს. სრეთ აღვიარებ მე ამას საქმესა ღიდად და მიუწოდებლად, და ფრიადცა ჭეშმარიტსა აღვიარებ.

სარნა უკუეთუ აწ არა ვიკმარო კელოვნებაჲ სიტყუათაჲ მათ, რომელნი ოდესმე ვისწავლენ,

10

არა უწყი, თუ სხუად სადაღა ვიკმარო იგი, ანუთუ რად მივანიჭო ესრეთ კეთილი საქმე გინათუ თავსა ჩემსა, გინათუ მოყუარეთა სათნოებისათა, გინათუ თუთ მათვე სიტყუათა ჩემთა კელოვნებასა, ვითარ ქებაჲ ესე ამის ღიღისა და მიუწოდებლისა კაცისაჲ?

ჩამეთუ ჩემდა იყოს საქმე ესე — თანამდებისა აღსრულება. ღოლო თანამდები კეთილთა კაცთაჲ, ვითარცა სხუად ვითარევე მცნებაჲ, თანამდებ არს ვერეთვე ჟამსა სიტყვსასა სიტყუად. ო მოყუარეთა მათ სათნოებისათა ერთად გულისთქუმისა მათისა აღსრულება იყოს შესხმად ამისი და მეორედ — სახე სათნოებისა. ჩამეთუ კაცსა რადცა-რად უყუარნ და აქებნ, მისა მიმართცა მიისწრაფინ. ო ესრეთ არა ერთისა ვისთვისმე ოდენ, არამედ ყოველთათვის იყოს კეთილ საქმე ესე.

ღოლო კელოვნებასა მას სიტყუათასა ორკერძოვე კეთილი ეყოს და ძლევაჲ მიეცეს, რამეთუ უკუეთუ კელოვნებაჲ იგი სიტყუათა ჩემთაჲ შემძლებელ იქმნას მახლობელ ყოფად, ჯეროვნად და ღირსებით ქებისა მისისათვისცა გამოჩნდეს ძალი მისი და მიიღოს ძლევაჲ.

ღკუეთუ კულა ფრიად შორს დარჩეს კელოვნებაჲ იგი გამომეტყუელებისაჲ ღირსად ქებისა მისისაგან (რომელ-იგი თვნიერ ყოვლისა იჭვსა ესეცა მოწვენად არს ყოველთა ზედა, რომელთა მისი შესხმად ენებოს), და უკუეთუ ესე იქმნას, ესრეთცა ძლევაჲჲ მიიღონ სიტყუათა მათ, რაჟამს გამოაჩინო საქმით შეუძლებელობად ღირსად ქებისა მისისაჲ, რომლისათვის ვიტყვოდე, ვითარმედ: «უზემთაჲს არს ძალსა სიტყუათასა შესხმად მისი».

2. სე საქმენი არიან, რომელთა აღმძრეს მე სიტყუად და ამათ მიზეზთათვის ვიწყე თქუამდ. ღოლო რომელ-ესე ესრეთ შემდგომად რავდენთამე ჟამთა მოვედ შესხმად მისდა და შემდგომად ესეზომთა მათ შემსხმელთა მისთა, რომელთა თქუნეს

* Corpus christianorum, Series Graeca 52, Corpus Nazianzenum 17, Sancti Gregorii Nazianzeni opera, Oratio XLIII, Versio iberica III, Brepols, 2001. გვ. 4-385. ორგანი წმ. ექვთიმე მთაწმიდელისა.

ქებანი მისნი — რომელთამე წერით და რომელთამე წინაშე ერისა სიტყვთა პატოვისმცემელთა მისთა, ამისთჳს ნუ ვის უკერს, არამედ შემინდვენ ესე პირველად თვთ წმიდამან და ყოვლითურთ საწადელმან და ჩემდა სასურველმან სულმან მისმან, რომელ-იგი საყუარელ იყო ჩემდა პირველცა და უმეტეს აწ.

ჲოლო უწყი, ვითარმედ ვითარცა ჩუენ თანა რად იყო, მრავალთა საქმეთა ჩემთა განჰმართებდა წესითა მით სიყუარულისადათა და შჯულისთა საღმრთოთა (რამეთუ არა მრცხუენის ამისი თქუმაჲ, თუ მოყუარე ჩემდა იყო. ჴინათგან ყოველთაჲჲ იყო იგი წეს და სახე და შჯულ სათნოებისა). ჴერეთვე უკუე აწ გან-რად-ვიდა ჩუენგან და უზეშთაჲს იქმნა სოფლისა, შემნდობელვე იყოს ჩუენდა.

ჲოლო შემინდვეთ თქუენცა, რომელნი-ეგე მკურვალენი მოყუარენი და მაქებელნი ხართ მისნი, თუ სადა არს ოდენ ესე საქმჲ, რადთამცა ერთი მეორისა უმეტეს მოყუარე მისა იყო და არამცა ყოველნივე სწორებით მკურვალენი მაქებელნი მისნი იყვენით.

ჩამეთუ არა თუ უდებებისაგან არა ვქმენით აღრე საქმჲ ესე, რამეთუ ვითარმცა ვიქმენ ესრე უდებმყოფელ სათნოებისა და შჯულისა მის სიყუარულისა? არცა ამისთჳს, თუმცა ესრეთ ვჰგონებდი, თუ სხუათა ვიეთმე უკმს უფროდს ჩემსა მისი ქებაჲ, ანუ უმეტეს ჩემსა თანამდებ არიან ამის საქმისა.

სრამედ პირველად ამისთჳს, რამეთუ მეშინოდა მე კელყოფად ქებისა მისისა, ვინათგან უძლურებაჲ ჩემი უწყოდე და მიუწთომელობაჲ მისი. ჩადთა ვთქუა ჭეშმარიტი, ვითარცა-იგი ეშინინ შემავალთა სამღელვოთა საქმეთა უწინარეს წმიდაყოფისა პირისადა და გონებისა. ოა კუალად ვთქუა მეორეცა მიზეზი, რომელსა თქუენცა არა უმეტარ ხართ. ჴითარმედ ჟამსა ამას შინა უცალო ვიყვენით ბრძოლასა მას ჭეშმარიტებისა მბრძოლთასა, რამეთუ აღივოცებოდა სიტყუად იგი ჭეშმარიტებისაჲ.

ოა ამისთჳს ვიდუწიდი, რომელნი-ესე კეთილად იძულებულ ვიქმენით და საღმრთოდ აღტაცებულ ვიყვენით, და არა თუ გარეგან ნებისა და განზრახვისა იყო აზოვნისა მის ჭეშმარიტებისათჳს მბრძოლისა. ოომელმან-იგი არარად სხუად აღმოთქუა, გარნა მარადის სიტყუად ოდენ ღმრთისმსახურებისაჲ და განმაცხოველებელი სოფლისაჲ. ჩამეთუ ვოციელისა არარადსა მეტყუელ იყო კაცი იგი აზოვანი და უზეშთაჲს ვო-

რცთაჲსა ქმნილი უწინარეს ამიერ მიცვალებისა-ცა, რომელმან-იგი არა უტევა, რადთამცა ერთიცა კეთილთაგანი სულისათაჲ საკრველისა მისგან ვოციელთაჲსა ვნებულ იყო.

სქა უკუე ვყო მიზეზთა მათ გჳანად თქუმი-სათა დასასრული, რამეთუ არცა საკმარ ჩემდა არიან მრავალთა მიზეზთა სიტყუანი, ვინათგან მისა მიმართ არს სიტყუად ჩუენი და თქუენდა მომართ, რომელნი-ეგე კეთილად მეცნიერ ხართ ჩემსა და მის ნეტარისა სიყუარულსა.

ჲოლო ამიერთგან ვიწყით ქებაჲ მისდა და შემწედ მოვიყვანოთ მისივე იგი და ჩუენი და ყოველთაჲ ღმერთი, რადთა შვეუწიოს, რომელ უძლურებითა ჩუენისა სიტყვსადათა არა შეურაცხად გამოვაჩინოთ ღიდი ესე და ღიდებული კაცი და რადთა არა ფრიად უდარეს სხუათა მათ შემსხმელთა მისთასა გამოვჩნდე, დაღაცათუ მისგან ყოველნივე სწორად ნაკლულევან ვართ, ვითარცა ცისა სიმრგულისაგან და ბრწყინვალეებისაგან მზისა ნაკლულევან იპოვებიან ყოველნი, რომელთაჲს ინებონ მიზეზად მუნ.

3. ჲოლო აწ უკუეთუმცა ვხედვედი მას ვოციელისა ღიდებულებისა და მშობელთა სიმდიდრისა მოყუარედ, ანუთუ სხუათა რათმე ვოციელთა საქმეთა პატიოსანთა, რომელთა ქუეყანისანი პატივსცემენ, უზეშთაჲსადმცა გამოვაჩინე იგი უფროდს ყოველთა დაბადებულთა ქუეყანისათა.

ოა რად-იგი მისთჳსმცა აღვწერე, უზეშთაჲსმცა იყო მათ ყოველთადა ერთად. სმიოთცა ღიდებულ იყვნეს ჩემ მიერ ესე თქუმულნი, რომელ არამცა ტყუვილ და ზღაპარ იყვნეს, არამედ ჭეშმარიტთა მიერმცა საქმეთა შვეამკე იგი. ოა რომელთა ზედა მრავალნი არიან მოწამე. ჩამეთუ მრავალთა კეთილთა მისთა მოგვთხრობს ქუეყანად პონტოზსა, საკრველებათა და ღიდებულებათა მისთა მშობელთასა, რომლითა საგსე არიან წიგნნი.

ოა კუალად მრავალთა ღიდებულებათა დაღადებენ ჩემისა ამის ქუეყანისა, კაბადუკიისა, მკვდრნი მათთჳს, რამეთუ არა ვისსა უდარეს იყვნეს აზოვნებითა და სიმდიდრითა, ერისთვობითა და პატიოსნებითა წინაშე მეფეთასა და სიმალლითა საყდართადათა და პატივითა ერთა მიერ და ბრწყინვალეებითა სიტყუათადათა.

ოომელთა უკუეთუმცა გუენება აღწერად, არადმცა გამოჩნდეს ჭეშმარიტად, ვითარცა არარაცა არიან ყოველნი იგი საწარმართონი სიტყუანი და ტყუვილნი მათნი, რომელნი აჩემებენ თავთა თჳსთა სიცრუევით ღიდებულებასა. ჴითარცა მათთა მათ წიგნთა შინა იპოვების.

სომელთა ჭეშმარიტებისა თქუმად ვერ ძალეღვა, რამეთუ არა იყო მათ თანა ჭეშმარიტი პატიოსნებად. წმისთესცა ტყუვილისა მიმართ მიიღო-ტიან და ეშმაკთა და ღმერთთა ვიეთმე, ამათა და მტყუვართა, სახელ-სდებენ მშობელად მათდა, რომელთა უკეთესნი იგი საქმენი და საქადულნი ურწმუნოება არიან და უკუეთუ ჭეშმარიტად გამოჩნდენ, მაშინდა უმეტეს იქმნას საძაგელობად მათი.

4. ზინაითგან უკუე აწ სიტყუად ჩუენი კაცი-სათეს არს, რომლისა პატივი ჭეშმარიტად ესე-ვითარი არს, ვითარი კაცსა შუენის, და ესევითარისა პატივისა მოყუარე არს იგი და არა ჰნებაჲს, რადამცა სხუანი იგი საქმენი ქუეყანისანი თესითა ფერიითა და სახითა ჩნდეს (ხოლო კაციმცა უცხოთა სახეთა და ფერთა შეიმოსდა და მითმცა ჩნდა). სამეთუ ყოველივე კორციელი უცხო არს ჩუენგან და არა ჩუენი არს, ამისთეს კორციელი ყოველივე დაუტევო და საღმრთოთათეს ვიტყო-დი. ღოლო ვთქუა ერთი ოდენ, გინა ორი საქმეთა მათგან პირველთა მშობელთა მისთაჲსა და ესრეთ მისავე მომართ მოვიქცე და იგიცა ესევითარნი ვთქუნე, ვითარნი მისსა ცხოვრებასა შუენიან.

სამეთუ ყოველთა კაცთაჲ სახც რადმე და სასწაული ჩანს: გინათუ სახელისაგან მამათაჲსა წოდებაჲ, გინათუ სხუად რადმე. ღოლო მისთა მშობელთა ორთავე სახელი და სასწაული ღმრთისმსახურებაჲ იყო და გამოაჩინოს აწ სიტყუამან.

5. სამეთუ დევნულებაჲ იყო და დევნულებაჲ მძიმე და ფიცხელი მაქსიმიაწეს ზე მეფისა, რომელი თქუენცა უწყით, რომელმან სხუანი იგი უკეთურნი მეფენი თესითა ბოროტისა გარდამატებულებითა კაცთმოყუარედ გამოაჩინნა.

წმას მრავალთა სძლეს ჩუენთა მათ მოღუაწეთა: რომელთამე ვიდრე სიკუდილადმდე იღუაწეს და მოკუდესცა ქრისტესთეს და რომელთამე იღუაწეს ვიდრე სიკუდილადმდე და შემდგომად ძლევისა მისისა დარჩესვე სოფელსა შინა და არა წარვიდეს ამიერ, არამედ დაშთეს სახედ სათნოებისა, მასწავლელად ღმრთისმსახურებისა, მოწამედ ცხოველად, ხატად მეტყუელად, ქადაგად მღუმრიად.

ღოლო სხუათა მათ თანა იყვნეს მშობელთა ამისთა მშობელნი, რომელთა მოვლეს ყოველი მოღუაწებაჲ სათნოებისაჲ და კეთილი დაარქუა გვრგვნი მის ჟამისა ჭირმან. რომელნი-იგი მზა იყვნეს მოთმენად ყოველთა ტანჯვათა. რომელთა მიერ გვრგვნიოწან ჰყოფს ქრისტე მისსა მას ჩუენთეს ვნებასა მიმსგავსებულთა.

6. ზინაითგან უკუე ჯეროვნად ინებეს ქმნად ღუაწლისა თესისა (რადთა არცა თვთ მირბიოდინ მღევართა მიმართ, არცა თუ შეპყრობილ იქმნენ. შეშინდენ: რამეთუ ერთი იგი ზუაობისა სახე არს, ხოლო მეორე — მოშიშებისაჲ. წმისთეს უკუე ამასცა ზედა შჯულისმდებელსა ქრისტეს ემსგავსებოდეს).

10. სე სახე მოიბოვეს განგებათა ღმრთისაჲთა. სამეთუ განვიდეს სოფლით და შევიდეს მათთა შინა უვალთა, რომელნი არიან ქუეყანასა მას პონტოჲსა. ოა მცირედნი ვიეთნიმე იყვნეს მათ თანა სივლტოლისა მის თანაზიარნი, და იყოფოდეს უდაბნოთა მათ.

15. საკვრველ არს უკუე მრავალთა მიერ სიგრძე იგი ჟამისა მის ღუაწლისა მათისაჲ (რამეთუ შუდი წელი დაყვეს ტყეთა მათ უვალთა შინა და უფროცა ღუაწლითა მრავლითა), რომელნი-იგი ჩუეულ იყვნეს დიდებულებით და ფუფუნებით ცხოვრებასა. ღოლო მუნ არარად ნუგეშინისსაცემელი კორცთაჲ ეპოებოდა ჭამადთაგანი.

20. ოა კუალად ყინელთა მათ ზამთრისათა და სიცხეთა ზაფხულისათა და სიმძაფრეთა შინა წვმისათა შეიწრებულ იყვნეს და სიფიცხლმე იგი უდაბნოჲსაჲ და მარტოებით ჭირი, რომელნი ჩუეულ იყვნეს მრავალთა მიერ მსახურებასა და დიდებასა. ღოლო მე ამისსაცა უზეშთაესი გითხრა და ურწმუნომცა ნუ ვინ არს, გარნა თუ ვინმე იყოს, რომელსამცა არარად შეერაცხა ქრისტესთეს სიკუდილი და დევნულებაჲ ბოროტად ზრახვითა თესითა.

30. 7. სამეთუ იყვნეს აზოვანნი იგი იწროებასა შინა ფრიადსა შიმშილისაგან, უქონელობითა მრავალთა მათ ჟამთაჲთა დამაშურალ იყვნეს და სიტყუათა მათ ისრაელისათა არა იტყოდეს (რამეთუ არა იყვნეს იგინი მდრტუნავ, ვითარ მაშინ ერი იგი, რომელნი ეძიებდეს კორცსა მას ჯვრტისაჲსა, გამს. 16,2-3). სრამედ იტყოდეს ესენი სიტყუათა კეთილთა, ვითარმედ: «რად საკვრველ არს, უკუეთუ საკვრველებათა ღმერთმან, რომელმან განაძლო უდაბნოს ერი იგი ურწმუნო და უწვმა მათ მწყერმარცილი (გამს. 16,13) და ზრდიდა ყოვლითავე სანოვავითა. რომელმან განაპო ზღუად (გამს. 14,21) და დააყენა მზე (ის.ნაგ. 10,12) და უკუნ-აქცია მდინარე (ის.ნაგ. 3,16) და სხუანი იგი სასწაულნი ქმნნა, რადამცა აწ ჩუენცა მოგუცა საზრდელი, რომელნი-ესე მისთეს ვიღუწით?

45. სამეთუ მრავალნი ნადირნი, განრომილნი ტაბლისაგან მდიდართაჲსა, რომელნი-იგი ოდესმე ჩუენდაცა იყვნეს, იქცევიან ამათ ტყეთა შინა და

მრავალნი მფრინველნი ფრინველ ჩუენ ზედა, რომელთაგანი რადმცა არა მოვიდა ჩუენდა, უკუეთუ ოდენ ინებოს მეუფემან?»

სრუთ იტყოდეს და მეესეულად ესრუთცა იქმნა: და მეესა შინა ირემნი მოიწინეს მათათაგან. ზუენიერნი და მსუქანნი და წადიერნი დაკლვად, ვითარცა მწუხარე იყვნეს, რომელ არა ადრე იწოდნეს. ჰაშინ მოუწოდდეს მათ წამისყოფით და იგინი მსწრაფელ მოვიდოდეს.

ჴინ-მე იყო მდევარ და მაიძულეებელ მათდა? არაჲინ! ანუ რომელნი მკვდარნი, გინა ძაღლნი, ანუ კმანი, ანუ ჭაბუკნი მალემსრბოლნი იყვნეს მომყვანებელ მათდა? არაჲინ! გარნა ლოცვაჲ მართალთაჲ იყო შემკრებელ მათდა. ჴის უხილავს ესევეთარი ნადირობაჲ?

8. ჴა საკრველი! თუთ ნადირნი იგი იყვნეს მმარხველ სანადიროსა, რამეთუ რადზომი ჰნებავნ. ჴოვიდის და სხუანი იგი წარვიდიან, ვიდრე კუალად მოიწიის ჟამი საკმრისაჲ, მზარაულნი მზა იყვნეს. სერი იგი შუენიერ და მეპურისმტენი იგი მაღლიერ. ჴამეთუ მოასწავებდა მომავალსა მას საკრველებაჲ იგი, რომლისა მიერ უმკურვალეს იქმნებოდეს წამებისა მიმართ.

სე უკუე ვთქუ მრავალთაგანი ერთი. ოა ესე ვთქუ, არა თუ რადთამცა დიდებულებასა რადმე ბასილისსა შევკმატე (რამეთუ ვითარცა არა ეკმარებიან ზღუასა მისდა შემავალნი იგი მდინარენი, დაღაცათუ შევლენ მრავალნი და დიდნი, ვერუთვე არა ეკმარებიან ამას ქებანი კაცთანი).

სრამედ ამისთვს ვთქუ ესე, რადთა გიჩუენო, თუ ვითართა სახეთა მიმართ სათნოებისათა ზედვიდა და ვითარ წარკვდა მათ. ჴამეთუ უკუეთუ სხუათათვს დიდ არს, რადთამცა დიდებულებითა მშობელთაჲთა მიიღეს პატივი რადმე, დიდ არს ამისთვს უფროსად, რომელ-იგი პირველნი მშობელნი სახელოვან ყვნა თავისა თვისისა მიერ და განადიდნა, ვითარცა მდინარემან, დაგუბებულმან და უკუქცეულმან.

9. ჴოლო მამისა და დედისა მისისა სათნოებაჲ კუალად ვითარ არა დიდ არს, რომელნი სათნოებითა ერთსულ იყვნეს უფროსად, ვიდრედა ჴორწინებითა მით ერთჴორც?

ოა მრავალნი არიან სხუანიცა სასწაულნი სიკეთისა მათისანი: გლახაკთმოწყალებანი, უცხოთა შეწყნარებანი, სიწმიდჲ სულთა მათთაჲ მარხვისამიერი, მოწყალებაჲ ფრიადი (რომელ-იგი არა ფრიად იქმნებოდა მაშინ სხუათა მიერ, არამედ მათ მიერ გამობრწყინდა სათნოებაჲ ესე) და სხუანიცა ურიცხუნი იგი კეთილნი მათნი, რომელნი

საცნაურ არიან მრავალთა მიერ.

ჴოლო მე დიდად შემირაცხიეს უფროსს ყოვლისა და მაღიდებელად მათდა სიკეთჲ იგი შვილთა მათთაჲ, რამეთუ ერთი კაცი, ესრუთ შვილმრავალი და შვილკეთილი, ძნიად სადა იპოვოს ესევეთარი. ჴინადთგან ესევეთარნი იყვნეს იგინი, რომელ დაღაცათუ არამცა ესევეთართა შვილთა მშობელ ქმნილ იყვნეს, კმავე იყო მათდა სადიდებელად სიმრავლევ სათნოებათა მათთაჲ, და მერმე, ესევეთართა შვილთა მშობელ იქმნეს, რომელ დაღაცათუმცა იგინი თუთ არა ესევეთარნი იყვნეს სათნოებითა, კმა იყვნეს შვილნი მათნი დიდებად მათდა.

ღამეთუ რომელნი ერთისა ანუ ორისა საქებალთა კაცთაჲსა მშობელ იქმნენ, კმა არს ესე ბუნებასა შინა. ჴოლო ესეზომთა და ესევეთართა შვილთა მშობელყოფაჲ განცხადებული სასწაული არს სიკეთისა მათისაჲ, ვითარ-იგი გამოაჩინებს რიცხვ ესე მათ მიერ შობილთა ამათ სანატრელთა მდღელთა და ქაღწულთა და კუალად კეთილად ჴორწინებულთაჲ მათ, რომელთა-იგი სათნოებისა მიმართ არარაჲ ვერო ჴორწინებითა მით, არამედ შემსგავსებული უქორწინებულთაჲ მათ ცხობრებაჲ აჩუენეს.

10. ჴინ არა იცნობს მამასა ამისსა ბასილის, დიდსა მას სახელსა და ყოველთა მიერ დიდებულსა, რომელ-იგი მიემთხუა ლოცვასა მამობისასა ესრუთ, რომელ, მცირედდა და ვთქუმცა, თუ არაჲინ ესრუთ კაცთაგანი? რამეთუ რომელ-იგი უზემთაჲს იყო ყოველთაჲსა სათნოებითა, შვილისა მიერ ოდენ თვისისა ძლეულ იქმნა და უადრესად გამოჩნდა.

სნუ ვინ არა უწყის **მეელია**, დედაჲ მისი, რომელი გამოითარგმანების, ვითარმედ: «კეთილად მოღუაწე?» რომელსა ეწოდა წინადთვე, რად-იგი ყოფად იყო. ოა იქმნა, რად-იგი წინადთვე ეწოდა, ჴეშმარიტად კეთილად მოღუაწე. ოა ესრუთ სანატრელ იქმნა, ვითარცა თვისივე მეუღლე.

ღომელსა ვინადთგან თანა-ედვა მსახურებად ბუნებითისა მის შჯულისა, თანამდებობაჲ მისი ესრუთ აღასრულა კეთილად, რადთა მის მიერ სანატრელი ესე კაცთა მოეცეს. ჴომელი ვინადთგან პირველითგან განეგო ღმერთსა სიბრძნითა თვისითა მოცემად სარგებელად ყოველთა, არა ჯერ-იყო, რადთამცა სხუათა მიერ შემოვიდა სოფლად, გარნა ამათ მიერ, ესევეთართა მათ სათნოებითა დიდთა, და არცა მათდა ჯერ-იყო სხვსა ვისმე მშობელ წოდებად, გარნა ამისსა.

ჴინადთგან უკუე დასაბამი ესე ქებისაჲ შჯუ-

ლითა საღმრთოთა მშობელთა მისთა მივეცი, ვითარცა ღმრთისა მიერ ბრძანებულ არს პატო-
ისცემად მშობელთა, აჲ თუთ მისა მივიდეთ და
ვთქუათ, რომელი-იგი სარწმუნო იყოს წინაშე
ყოველთა და რომელი აღწერილ არს სხუათა მათ
მიერ მაქებელთა მისთა, რომელი უწყიან ყოველ-
თა, ვითარმედ ჭეშმარიტ არს, რომელნიცა მეცნი-
ერ მისდა არიან.

თაღაცათუ უძლურ იყოს სიტყუად ჩუენი და
უღირს მისდა, ნუჲინ გუაბრალობს, რამეთუ ღი-
რსად ქებად მისდა თუთ მისივე პირი ჯერ-იყო,
რადთამცა იგი გუაქუნდა, რომელი არს პირ სი-
ტყუათა შესხმისათა ბრწყინვალე და კუალად
ძალითა სიტყვსადთა იგი ოდენ ღირს არს ამის
პირისათჳს ჯეროვნად თქუმად.

ჴუენიერებისათჳს უკუე გორციელისა და ძალ-
ისა და პასაკისა სიკეთისათჳს, რომელთა ზედა
მრავალთა ვხედავ მოხარულად, არად საკმარ
არს თქუმად, არა თუ რამეთუ ამათ ზედა უდარეს
ვისამე იყო კაცთაგანისა, ვიდრე ჭაბუკდა იყო და
არა ღუაწლთა მათ მრავალთა მიერ მოეკუდინნეს
სრულიად გორცნი.

სრამედ ამისთჳს არა მნებაჲს ესევეითარ-
თა საქმეთათჳს თქუმად, რადთა არა ვემსგავსო
უგუნურთა მათ მორკინალთა, რომელთა ყოვე-
ლი ძალი ამათა რკინობათა შინა და გარეწარ-
თა წარაგიან და ჟამსა მას ჭეშმარიტისა რკი-
ნობისასა მოუძღურებულ იყვნინ, რაჟამს-იგი
მიეცემოდინ გვრგვინი და ნიჭნი მეფეთა მიერ
მძლეუთა მათ.

სრამედ მე სოფლისა საქმეთა მისთაგანი ერთი
ოდენ ვთქუა, რომელ-იგი არა უკმარ არს.

11. თა ვიცი, ვითარმედ მეწამნენ ყოველნი,
რომელთაცა აქუნდეს გონებაჲ: ხოლო ესე არს
სიბრძნე, რომელსა იტყვან, ვითარმედ უზეშთაჲს
არს ყოველისავე საქმისა ამის სოფლისა და უბ-
ათიოსნეს; არა თუ ჩუენი ოდენ ესე, რომელი
ჭეშმარიტად პატიოსან არს და ყოველსავე შემ-
კობასა სიტყუათასა შეურაცხ-ჰყოფს და ოდენ
ცხოვრებასა ეძიებს და გულისკმისყოფისა მის
ჭეშმარიტისა სიკეთესა, არამედ გარეგანიცა იგი,
რომელსა მრავალნი ქრისტიანეთაგანნი შეურა-
ცხ-ჰყოფენ და საძაგელად უჩნს, ვითარცა მაცთუ-
რი და მავნებელი და ღმრთისაგან განმამორებელი.
სრამედ არა კეთილად იციან საქმე ესე, რამეთუ
ვითარცა ცად და ქუეყანად და პაერი და ყოველნი
საქმენი მათნი, ვინათგან რომელთამე ბოროტად
იკმარეს, რამეთუ ღმრთისა წილ დაბადებულთა
ღმრთისათა ჰმსახურებდეს და ღმრთად აღეარა.

სრამედ არა ამისთჳს შეურაცხყოფად და მო-
ძაგებად დაბადებულთად ჯერ-არს, არამედ რა-
დომ-იგი იპოვების მათგან სარგებელი, მას
მივიდეთ და რომელი-რად უჯერო იყოს, შეურა-
ცხ-ვჰყოფთ და არა დამბადებელისა წილ დაბად-
ებულთა ვჰმონებთ, არამედ დაბადებულთაგან და-
მბადებელსა გულისკმა-ვჰყოფთ (სიბრ.სოლ. 13,5)
და ყოველსავე საღმრთოდ გულისკმა-ვჰყოფთ (2
კორ. 10,5).

10 თა ვითარცა-იგი ცეცხლი და საზრდელი და
რკინად — ამათგანი არცა ერთი ვიცი თავით
თჳსით საენებელად, გინა სარგებელად, არამედ
ვითარცა მკმარებელთა მათ იკმარონ, და კუალად
წამლიანთაგანცა მკეცთა კაცთა გამოუღებიეს
15 კეთილთა წამალთა თანა შესაზავებელი, გრეთვე
არს სიბრძნე იგი ფილაფოზობისად, რამეთუ გა-
მოძიებაჲ იგი და გულისკმისყოფად მისი მივი-
თუაღეთ, ხოლო რადენი არს მის შორის ეშმაკთა
მიმართ მიმეგანებელ და საცთურად და უფესკრუ-
ლად წარწყმედისა, იგი მოვიძაგეთ.

20 თა უკუეთუ გნებაჲს, ესეცა ვთქუა, ვითარმედ
უფროდსი სარგებელი მივიდეთ მათგან ღმრთისმ-
სახურებისა მიმართ და ბოროტისა მისგან კეთი-
ლი გულისკმა-ვყავთ და უძღურებაჲ იგი მათი
ძალად ჩუენისა ამის სარწმუნოებისა მოვიდეთ.

25 სმისთჳს უკუე არა ჯერ-არს სწავლულებისა
შეურაცხყოფად, ვითარცა ვიეთნიმე ჰგონებენ,
არამედ რომელნი ამას იტყვან, უგუნურ არიან,
რომელთა ჰნებაჲს, რადთამცა ყოველნი მსგავს
30 მათდა იყვნეს უსწავლელ, რადთა ესრეთმცა არა
სირცხულ უჩნდა უსწავლელობად.

12. ჴინათგან უკუე ესე ესრეთ არს, მოვედით
და მისდავე მივიდეთ, რომელი პასაკსა მას შინა
სიჩრდისასა რად იყო, დიდისა მის მამისა მის-
ისა მიერ განისწავლებოდა, რომელი-იგი მაშინ
მასწავლელად სათნოებისა აქუნდა პონტოსა, და
ისწავლიდა მისგან სწავლასა მას კეთილსა, რო-
მელსა ნათლისად უწოდს დიდი დაჲთ და ბნელ-
ისა წინააღმდეგომად (ფს. 138,16).

40 თა მის მიერ ისწავა საქმე და სიტყუად უზეშთაჲ-
სად და კეთილად ნეტარმან მან, რომელი-იგი არა
გორციელსა რასმე ისწავლიდა: ანუ ნადირობი-
სა საქმეთა, ანუ ჴელოვნებასა ბრძოლათასა, ანუ
მწყსასა ცხენთასა, რადთამცა იგივე ცხენი იყო
45 მასწავლელ მისდა, ანუ რადთამცა ტყნითა ირემთა
და ლომთადათა იზარდებოდა, ვითარცა ჴლაპარი
იგი წარმართთად იტყვს.

სრამედ ისწავლიდა ესე სიბრძნესა ჭეშმარ-
იტსა და ღმრთისმსახურებასა და, რადთა მოკ-

ლედ ვთქუა, სისრულისა მის მიმართ, რომელსა ეგულებოდა მიწთმად, მისა მიმართ მივიდოდა პირველითგნითა მით სწავლითა.

ჩამეთუ რომელსა ერთი ოდენ წარემართოს გინა თუ გულისკმისყოფად, გინა თუ საქმე მოღუაწებათა და მეორისაგან ნაკლულევან იყოს, მე ვპკონებ, თუ არარადათა განყოფილ არს ცალთუალთაგან, რომელთა დიდ არს დაჭირვება იგი ნათლისად მის ერთისა თუალისად და უმეტეს არს უმუერებადცა მათი.

ხოლო რომელი ორკერძოვე შემკულ იყოს გულისკმის-ყოფითაცა და საქმით-მოღუაწებითა, იგი არს ჭეშმარიტად სრულ და მიმაგალ საუკუნოვან ნეტარებისა მიმართ, ვითარ-იგი ესეცა იქმნა, რამეთუ აქუნდა მას სახედ კეთილისა მამად იგი თვისი, რომლისა მიმართ ხედვიდა და მეცსეულად რჩეულ იქმნა. ჩომელი იქცეოდა მამისა თანა თვისისა სიჩრითა და სათნოებითა არა ნაკლულევან იყო მისგან და მოასწავებდა სახითა მით საზომსა მას სათნოებისასა, რომელსა უკუნანდსკენელ მიიწია.

13. ზინადთგან უკუე კეთილად ისწავლა მან სწავლად იგი, რომელი მუნ იპოებოდა, ხოლო ჯერ-იყო, რადთამცა არარად კეთილთაგანი განერა მას, არცამცა შეკრებითა სულნელებისადთა უდარეს ფუტკრისამცა გამოჩნდა, რომელი-იგი ყოველთაგან სულნელთა შემოპკრებს ნაყოფიერებასა, ამისთვს **კესარია** ქალაქად მიიწია შესვლად მუნ მყოფთა მათ სასწავლოთა.

ხესარიასა ვიტყვ, დიდსა მას ჩუენსა (რომელი-იგი ჩემისაცა სიტყუათა სწავლისა დასაბამ იქმნა), რომელი-იგი სიტყუთა არს უმთავრეს სხუათა მათ შემოგარეთა ქალაქთა უფროდს, ვიდრე-და ძალითა, რომლისა მოსწრაფებად სიბრძნე არს სიტყუათად, რომელ უკუეთუმცა ვინ ინება სიბრძნესა მიღებად მისგან, ვითარმცა ყოველივე დაერღვა. ჩამეთუ სხუანი ქალაქნი სხუასა რასმე ზედა მოქადულ და შემკულ არიან, ხოლო ესე — სიბრძნესა ზედა სიტყუათასა.

ხოლო შემდგომი იგი ამისი, თვთ იგინი იტყოდიედ, რომელთა განუსწავლიესცა კაცი იგი ნეტარი და რომელთა უსწავლიეს მისგან, თუ რაბამი იყო წინაშე მოძღუარათასა, ანუ რაბამი წინაშე მოჰასაკეთასა, რამეთუ მათ შეესწორებოდა, ხოლო ამათ თანაწარპკდებოდა ყოვლითავე სწავლულებითა. ოა ვითარი ქებად მიიღო მცირედსა ჟამსა შინა ყოველთაგან ერთა და წარჩინებულთა მათ ქალაქისათა, რომლისა სწავლულებად უზემთაეს იყო ჰასაკისა და წესიერებად — უზემთაესი სწავლულებისა მის.

ჩიტორ იყო რიტორთა შორის უწინარეს საყდართა მათ მოძღურებისათა დაჯდომისა და ფილაფოზი ფილაფოზთა შორის უწინარეს საფილაფოზოვსა სწავლისა, და უზემთაესიცა ვთქუა, მდღელი იყო ქრისტიანეთად უწინარეს მდღელობისა. ოსრეთ წარმატებულ იყო ყოველთა მიერ ყოველსა ზედა, ხოლო სიტყუანი იგი სიბრძნისა მის სოფლიოვსანი გარეწარი იყვნეს მისდა. ოა ესეზომსა ოდენ შემოიკრებდა მათგან, რადზომიცა სულიერსა სიბრძნესა შინა სარგებელ ექმნებოდა.

ჩამეთუ მათიცა სწავლად ჯერ-არს გულისკმის-საყოფელად ძალსა სიტყუათა სიძნელისათა, ხოლო ფილაფოზობად მისი იყო შორს ყოფად სოფლისაგან და შეერთებად ღმრთისა თანა, და წარმაგალთა ამათ წილ წარუვალთა მათ მოგებად და დაუდგრომელთა ამათ წილ — დადგრომილნი იგი და მტკიცენი.

14. ჭერმე **კესარიით** მივიდა **ბიზანტიად**, ქალაქსა მას, დასავალით კერძოთა ყოველთა მთავარსა (რომელსა შინა იყვნეს ბრძენნი და ფილაფოზნი ტელოვანნი, რომელთა ტელოვნებად მცირედსა ჟამსა დაისწავლა, ყოველივე სიმახსულითა მით გონებისადთა).

ოა ესრეთ მუნით მოიწია **ათინად**, რომელი-იგი დედად არს ფილაფოზობისად. ოა მოივლინა ღმრთისა მიერ და კეთილითა მით სიბრძნისა უძლებებითა **ათინას**, რომელი-იგი მე ჭეშმარიტად ოქროვსა ქალაქად მექმნა და კეთილისა მომატყუებელად უფროდს ყოველთადასა, რამეთუ მან შემამეცნიერა მე მისდა სრულიად, რომელი პირველცა არა უცნაურ იყო. ოა სიტყუათა რად ვეძიებდი, ნეტარებად ვპოვე და ამით სახითა მსგავს ვიქმენ **საულისა**, რომელი კარაულთა მამისათა ეძიებდა და მეფობად პოვა (1 მეფ. 9,3) და საქმისა მის გარეწარი იგი უზემთაეს იქმნა.

ოქამოდე უკუე წრფელ იყო გზად ესე სიტყვსა ჩუენისად და სამეუფო — შესხმისა მისისად, ხოლო ამიერითგან არა უწყი, ვითარ ვიკმარო სიტყუად ჩემი, ანუ რომელსა ზედა გზასა ვლო, რამეთუ აღმართიცა რადმე გუეპოვა სიტყუასა ამას შინა.

ჩამეთუ სურვიელ ვარ, რადთა ამას ადგილსა ჩემიცა რადმე შევსძინო და ვთქუა, თუ ვინადა, ანუ ვითარ იქმნა დასაბამი მეგობრობისა ჩუენისად და ერთსულ ყოფისად, რადთა უმახლობელესად ვთქუა, რამეთუ თუალსაცა არა ჰნებავნ განშორებად შეუენიერთა ხილვათაგან, დაღაცათუ ვინ აიძულებდეს განშორებად; არცა სიტყუასა ჰნებავს ტკბილთა თხრობათაგან განშორებად.

ორამედ ტელ-ვეით თქუმად მცირედ რადმე, და-

დაცათუ ვიძულებოდით სურვილისა მიერ, შენდობად იყავნ ამისა ვნებისა, რომელი ფრიად კეთილ არს და რომლისა არავენება ვნება არს და დაჭირვება, უკუეთუ ვის აქუნდეს გულისკმისყოფად.

15. ზეგერბით ჩუენ ათინას, ვითარცა მდინარე, ერთისა წყაროდსაგან გამოსრული, რომელ არს მამული ჩუენი ქუეყანად, და სხუად და სხუად ქუეყანად წარსრულნი სიყუარულითა მით სწავლულებისადთა და კუალად ერთადვე შეკრებულნი განგებითა ღმრთისადთა.

ჴოლო მე მისრულ ვიყავ მუნ მცირედ პირველად, და მეყსეულად იგი მოვიდა შემდგომად ჩემსა, რომელ-იგი შეიწყნარეს დიდითა სასოებითა და მადლობითა, რამეთუ მრავალთა პირსა შინა იყო უწინარეს მოსლვისა და ისწრაფდეს ყოველნი სასწავლონი, თუ რომელმანმცა მიიტაცა იგი.

ჩამეთუ გითხრა მცირედი რადმე მათთვს, რომელთა იცით, თქუენდა მოსაჴსენებელად და რომელთა არა იცით, თქუენდა საცნობელად, ვითარმედ ისწრაფიან ათინელნი იგი ყოველნი სასწავლონი — თითოეული, რადთამცა უმეტესნი იყვნეს მოსწავლენი მისნი. ოა წარავლენენ ყოველთა ადგილთა ათინისა და ელადისათა, რადთამცა მოიყვანებდეს კაცთა მოსწავლეთა.

16. ჴოლო რაჟამს მო-ვინმე-ვიდეს მათ თანა (გინა თუ იძულებით, გინა თუ ნეფსით), ესევეთარი შჯული აქუს: პირველად შეიწყნარებს მას, მეგობარი ვინმე მისი თუ იყოს, ანუ მისისა ქუეყანისასა, ანუ უცხოთმეწყნარებელთა ვიეთგანმე, რამეთუ არიან მათ შორის ამისნიცა მოქმედნი.

ჴერმე უკუე მოვლენ და იწყებენ სიტყუად მისდა მიმართ და გამოცდად მისდა და საშჯელად სიტყუთა, რადთა ესრეთ დაამდაბლონ გონებად მისი და მორჩილ მათდა ყონ. ჴოლო ერჩიან რომელნიმე ფიცხლად და ზუაობით და რომელნიმე სიტყუაპოვნიერებით. ოა საქმე იგი უმეტართათვს ძნელად ჩანს, ჴოლო მეცნიერთათვს — ადვილ.

ოა მერმე წარიყვანებენ დიდისა მის აბანოდსა მიმართ, რომელი არს მუნ, და არიან ბჭენი მისნი დიდნი. ჴოლო ესრეთ წარიყვანებენ მუნ: რამეთუ განწყევებიან იმიერ და ამიერ, რომელნი-იგი იყვნენ მის სასწავლოდსანი, და ესრეთ მიიყვანებენ აბანოდ შორის მათსა; და მი-რად-ვახლენ ბჭედ და შევიდეს ზღურბლსა შინაგან ჴაბუკი იგი, იწყებენ ზღდომად და ზახილად, ვითარცა ეშმაკუელნი.

(ხოლო ჴმად მათი არს შემაშინებელ და ვითარმედ არა ეგებისო შესლვად მას შინა). ჴჭუთა მათ დიდთა, რომელნი საქციელითა არიან, დაჴჴშვენ და დაჴშვასა მათსა იქმნების ჴმად სასტიკი, და ესრეთ

უტეობენ მას შესლვად. ოა მიერთიგან, უკუეთუ იქმნას მას ყოველსა ზედა უშიშ და განუკართომელ, შეიწყნარებენ აბანოდთ, ვითარცა ერთსა მათგანსა. ოა ესე არს საქმე იგი საეშმაკოდ მათი, რადთამცა ადრე დაჴსნილ ყვნეს მისრულნი იგი.

ჴაშინ უკუე ჩემი იგი და დიდი ბასილი არა მეოდენ პატიოსნად მევა წესიერებისა მისისათვს და სიტყვერობისა, არამედ სხუათა ვარწმუნებდი, რომელნი ჯერეთ უმეტარ მის იყვნეს, რამეთუ უმრავლესთა წინაშე თუთ პატიოსან იყო, რომელთაცა ასმიოდა პირველვე მისისა მის სიკეთისა საქმე. ოა ამისთვსცა იგი ოდენ დაშთა ახლად მოსრულთაგანი, რომელ არა იქმნა მის ზედა ესევეთარი იგი საეშმაკოდ წესი და არა ვითარცა ახლად მოსრულსა, არამედ ვითარცა მათ თანა დაძულებულსა, პატივ-სცეს.

17. ჴე იქმნა დაწყებად ჩუენისა მეგობრობისად და ნაბერწყალი სიყუარულისად. ოა მერმე იქმნა ესევეთარიცა საქმე: რამეთუ ვითარცა არს ნათესავი იგი სომეხთად არა წრფელი, არამედ მზაკუვარი და გულარძნილი და ბოროტი, მიმსგავსებული კლდეთა მათ, რომელნი დაფარულ არიან ზღუასა შინა და ვერ იხილვენ მათ მენაჴენი, ვიდრე არა სცენ ნავი და განტეხონ. ჴსრეთ სხუასა იტყვან იგინი და სხუად უც გულსა მარადის, და სიწრფოებად მათ თანა არა არს. ოა რად საკვრველ არს, უკუეთუ კაცსა ეცრუვნენ, ვინადთგან თავადისა ღმრთისა მიმართ ცრუ არიან და მზაკუვარ და ბოროტად აღმსაარებელ.

ჴაშინ უკუე მოვიდეს მისა სომეხნი ვიეთნიმე, რომელნი იყვნეს მუნ მოსწავლე და მეცნიერ იყვნეს მისა და მამისა მისისა. წყეს მისდა სიტყუად სახითა მეგობრობისადთა (ხოლო არა სიყუარული იყო გულსა მათსა, არამედ შური) და ეტყოდეს მას ცილობით სიტყუათა, რადთამცა უდარეს მათსა გამოაჩინეს იგი. ჩამეთუ იცოდეს პირველითგანი იგი გონებისა მისისა სიმახვლე და პატივსა მას არა თავს-იდებდეს, რომელ ყოველთა მიერ პატივიცემებოდა. ჩამეთუ შურდა, რომელ-იგი მათ შეემოსა სამოსლეები ათინელთა ფილაფოზთად და მრავალთა ჟამთა ესწავლა, რადთამცა არარად უმეტესი აქუნდა უცხოვსა მის და ახლად მოსრულისა.

ჴოლო მე, ათინისმოყუარემან ამან და ამომან (ვერ გულისჴმა-ვყავ შური იგი მათი და ვჴგონებდი, ვითარმედ სიყუარულით ეუბნებიან), ვიხილენ რად იგინი, ძლეულნი მის მიერ და დანთქმულნი მოქცევთა შინა სიტყუათა მისთასა (და შემშურდა ესეზომი იგი სიქადული ათინელთა სიბრძნისად და სახელოვანებად იგი მის ქალაქისად, რომელი

სიბრძნესა ზედა განთქმულ იყო ყოველსა ქუეყანასა, რადთამცა ესრეთ ერთისა კაცისა მიერ ძლეულად და შეურაცხად გამოჩნდა), და ვიწყე დაცემულთა მათ და ძლეულთა სიტყვთა ჩემითა შეწევნად და აღდგინებად (რამეთუ მცირედიცა ძალი სიტყვსა ფრიად განაძლიერებს ესევეითართა მათ) და დაცემულნი იგი აღვადგინენ და შევასწორე სიტყუად მათი მის თანა ძალითა. **ჲოლო** ვითარცა ვცან მზაკუვარებად იგი სიტყუათა მათთაჲ, რომელსა გამოაცხადებდეს, მეყსეულად მოვიქცე და აფრად სიტყუათა ჩემთაჲ მოვაქციე მისდა და ძლევაჲ მისი განვაძლიერე.

ჩამეთუ რაჟამს მე დაუტევენ იგინი, ცნა ნეტარმან მან (რამეთუ მახვლ იყო გონებითა და მსწრაფლ უფრომს ელვისა) და იყო დართვად სიტყუათა უბადრუკთა მათ ზედა. **ბა** ორკეცობითა მით სიტყუათაჲთა შეკმუსრვიდა და არა დაუტევნა, ვიდრე არა სრულიად მოაკუდინნა და უსიტყუელ ყვნა. **სე** იქმნა ჩუენი მეორე სიყუარულისა არღარა ნაბერწყალი, არამედ ალი.

18. **ბა** იგინი წარვიდეს სირცხვლეულნი და ფრიად აბრალეს თვისსაჲ კადინერებასა და ფრიად განრისხნეს ჩემთვსცა, რომელ დაუტევენ იგინი, ვიდრედა განცხადებულად მტერობად აღიარეს ჩემი, ვითარმედ განმცემელი ხარო არა ჩუენი ოდენ, არამედ ყოვლისა **ათინისაჲ**, რომელ-იგი დაგვტევენ და ესრეთ პირველსავე ჯერსა სირცხვლეულ იქმნა ჩუენ მიერ ყოველი **ათინაჲ** მისგან, რომელი ჯერეთ უცხო არს.

ჲოლო მან იხილა რად უწყსოებაჲ მათი, შეწუხდა (და იტყოდა, ვითარმედ: «ამაოდ მოვშუერ აქა, რამეთუ არა ესრეთ არს, ვითარ მე ვპგონებდი საქმესა ამას») და აბრალედა თავსა თვისსა მოსლვისათვს და უკვრდა, თუ რად ესრეთ საქმებელ არს ყოველთაგან ქალაქი ესე.

ბრამედ მე განვაქარებედ მწუხარებასა მისსა და ვეტყოდე, ვითარმედ: «ესრეთ მეყსა შინა არა იცნობების წესი და ბუნებაჲ კაცისაჲ, გინა სწავლისაჲ, ანუ ადგილისაჲ». **ბა** ნუგეშინის-ვსცემდ მას და ესრეთ სიტყუათა მიერ ესევეითართა უმეტესად შევადრეთ იგი თავსა ჩემსა.

19. **ჲოლო** გარდა-რად-ჲდა ჟამი მცირედი, და გამოუცხადეთ ურთიერთსა გონებანი ჩუენნი, ვითარმედ საღმრთოჲსა მის ფილაფოზობისათვს იყო შრომაჲ ჩუენი, მიერთებან ერთბამდ ვიყოფოდეთ დღე და ღამე, ერთნება, ერთმოსწრაფება, მარადის ურთიერთსა სურვილისა მის საღმრთოჲსა აღმაორძინებელ და დამამტკიცებელ.

ჩამეთუ კორციელი სიყუარული ვინადთგან

წარმაგალ არს და საწუთრო, ამისთვს ადრე განქარვებადი და დაცნადიცა არს. **ჩამეთუ** არცა ალი ეგის, ნივთი რად განქარდის, არცა სურვილი დაადგრების, ნივთი რად მისი წარკდის.

5 **ჲოლო** საღმრთოჲ იგი სიყუარული და წმიდაჲ ვინადთგან მტკიცისა და შეურყეველისა საქმისათვს იქმნების, ამისთვს მტკიცეცა არს, და რად-ზომცა კეთილსა მისსა გამოაჩინებდეს, გეზომცა შემშტყუალავს თავსა თვისსა და ურთიერთსა ტრფიალთა მათ საღმრთოჲსა სიყუარულისათა. **სე** იყო შჯული ჩუენისა მის სიყუარულისაჲ.

სულისკმა-ვპყოფ უკუე, ვითარმედ გარეგან ზომისა განვალ და არა უწყი, თუ ვითარ ამათ სიტყუათა შთავარდები, გარნა ვერ დაგვცადებ თხორობასა ამას, რამეთუ მარადის საქმეთა მისთაგანი დატეობილი იგი უკეთეს თქმულისა მის გამოჩნდების. **ბა** უკუეთუ ვინ წაღმართ მიმიზიდვიდეს მძლავრებით, ვქმნა საქმე იგი ფერკმრავალთაჲ მათ, რომელნი შეპყრობილ რად იქმნიან, მოქმნიან 10 კლდეთა და არა განუტევნიან, ვიდრე არა ერთმან ერთისაგან მიიღიან რადმე იძულებისა მისგან.

20. **სრეთ** უკუე ვიყოფოდეთ ჩუენ ურთიერთსა და ესრეთ აღგუემართნეს შუენიერისა მის სართულისა ოქროჲსა სუეტნი, ვითარცა **პინდაროს** იტყვს, და ესრეთ წარვემატებოდეთ შეწევნითა ღმრთისაჲთა და სურვილისა ჩუენისაჲთა. **ჲ**, ვითარ მე უცრემლოდ თავს-ვიდვა ამათ ყოველთა ვსენებაჲ? რამეთუ სწორითა სასოებითა ვიყოფოდეთ საქმესა მას შინა საშურველსა, რომელ 25 არს სწავლაჲ სიბრძნისაჲ.

ბრამედ შური შორს იყო ჩუენგან და სიყუარული მტკიცე და მოსწრაფებაჲ თითოეულისაჲ იყო არა ამას ზედა, რადთამცა თვისსა თავსა მისცა პატივი, არამედ რადთამცა მეორესა მოატყუა, რამეთუ კეთილი ერთსა ერთისაჲ თვსად შეგუერაცხა. **ბა** ვითარცა ერთი სული იყო ჩუენი გუამთა შინა ორთა და უკუეთუ ყოვლისაჲვე ყოველთა შინა ყოფად არა სარწმუნო არს, არამედ ჩუენ ზედა ესრეთ იყო, რამეთუ ერთი მეორისა თანა ვიყვენით ყოვლითურთ და თავთა თვსთაცა თანა. 35

ჲოლო საქმეჲ ორთაჲვე ერთ იყო — სათნოებაჲ და მოსწრაფებაჲ სასოებითა საუკუნოთა მათ კეთილთაჲთა, და რადთამცა უწინარეს ამიერ სოფლით წარსლვისა მიცვალებულმცა ვიყვენით ამიერ. **ბა** ამის საქმისა მიმართ ზედვითა ყოველსავე საქმესა და სიტყუასა ჩუენსა წარვპმართებდით ამის მიმართ და ურთიერთსა სათნოებისა მიმართ ვლესევდით და, უკუეთუ არა დიდ არს ესე ჩემ მიერ თქმად, კანონნი ვიყვენით ერთმანეთი- 45

სანი, განმრჩეველნი მართლისა და ღრუბისანი.

თა მოყუასთა თანა ვიქცეოდეთ არათუ უწყ-
სოთა, არამედ პატიოსანთა, არცა მეფოთთა,
არამედ მშკლთა, რამეთუ უწყოდეთ, ვითარმედ
ბოროტი უმაღლესად ისწავლების, ვიდრე კეთილი,
ვითარცა-იგი სწეულებად უადვილესად მიეცემის,
ვიდრეღა სიმართელს. **ხოლო სწავლათა ვისწავ-**
ლიდით არა საჰამებელთა, არამედ სარგებელთა,
რამეთუ ამის მიერცა იქმნების ჭაბუკთად გინა თუ
სათნოებად, ანუ უკეთურებად წარმატებად.

21. თა ორნი ოდენ გზანი იყვნეს ჩუენდა საცნ-
აურ: ერთი იგი — პირველი და უპატიოსნესი,
ხოლო სხუად იგი — მეორედ და უდარესად. **სე**
იგი არიან, რომელ-იგი სამღელელოთ მათ ტაძართა
მიმართ მიმყვანებელ იყო და მუნ მყოფთა მათ მოძ-
ლუართა, ხოლო სხუად იგი, რომელი გარეგანთა
მათ მასწავლელთა ჩუენთა მიმართ მიგვყვანებდა.
თა სხუანი იგი გზანი ყოველნივე შორს ვეყვნით
ჩუენგან სახილველად მიმყვანებელნი, გინა თუ
სიხარულად და ხადილობად.

ჩამეთუ არა რად არს პატიოსან, რომელი არა
სათნოებად მიმყვანებელ იყოს და კეთილისმე-
ოფელ მოქმედთა მისთა. **ჩამეთუ სხუათა სხუად**
სახელები ეწოდებოდა ანუ მშობელთაგანი, გინა
თუ სხუად რადმე, ხოლო ჩუენი იყო დიდი ესე
საქმს და სახელი, რომელნი-ესე ქრისტიანე ვი-
ყვნით და ქრისტიანე გუქმოდებოდა.

თა ესე ოდენ იყო ჩუენი სახელი, რომელსა ზედა
ჩუენ უმეტესად ვიხარებდით და მოქადულ ვიყვე-
ნით და მინდობილ, ვიდრეღა მოქცევასა მას ზედა
ბეჭდის თუალისასა **გიგოს** იყო, რომლისა მიერ
ლუიდთა მძლავრ ექმნა და მეფეს მათი მოკლა; ანუ
ოქროსა მას ზედა **მიდას**, რომლისა მიერ წარწყმ-
და, მიემთხვა რად თხოვასა თვსსა და ყოველივე
ოქრო ექმნა მას; რამეთუ **ჟარიდოის** ცხენისათვს
რადღა საცმარ არს თქუმად ჩრდილოელისა მის,
ანუ **არგიელისა** მის პილასოვსა, ანუ სხუად რადმე
საშუებელთაგან ამის ცხოვრებისათა? არამედ მარ-
ადის ღმრთისა მიმართ ვისწრაფდით.

თა რადთა მოკლედ ვთქუა, ვითარმედ **ათინა**
საენებელ იყო მრავალთათვს სულიერად, რამეთუ
აქუნდა ბოროტი იგი სიმდიდრეს, რომელ არიან
კერპნი, უფროდს ყოვლისა ქუეყანისა მის **ელა-**
დისა. თა ძნელ იყო, რადთამცა არა ევნო კაცსა
მათთა მათ მრავალთა მაქებელთაგან და შემწეთა,
ხოლო ჩუენდა არა იქმნა რადმე მათგან ვნებად,
რომელთა გონებანი შეჭურვილ იყვნეს.

წრამედ უფროდსად რადთა ვთქუა საკვრვე-
ლი საქმს: მუნ ყოფითა მით უმეტესი სიმტკიცე

მოგუეცა სარწმუნოებისა მიმართ, რაჟამს ვცანთ
მათი იგი საძაგელებად და საცთურებად. **თა სა-**
და-იგი იქებიან ეშმაკნი, მუნ შეურაცხ-ვეყვნით
იგინი და მსგავს ვიქმნენით მდინარესა მას, რო-
მელსა იტყვან, ვითარმედ მარილიანსა შინა ზღუ-
ასა ტკბილად დის, გინათუ იძრვისსა მას ცხოვ-
ელსა, რომელი ცეცხლსა შინა ცხოველ არს და
არა განილვეის მის მიერ, რომელ-იგი ყოველსავე
განჰლევს. წრეთ ვიყოფოდეთ ჩუენ მუნ და საც-
ნაურ ვიყვენით ყოველთა მიერ.

22. ჩამეთუ განკდა ჩუენისა სწავლისა სახე-
ლი ყოველსავე ქუეყანასა, რომელნიცა მეცნიერ
იყვნეს **ათინისა**, და ვიდრეწიდათ ჩუენ ზოგად და
განუყოფელ ვიყვენით ურთიერთას.

15 **წარნა არა უწყი, თუ ვითარ მივდერკ ქებათა**
მიმართ ჩემთა, რომელმან-ესე სხვსაგანცა არა
ოდეს თავს-ვიდევ ქებად, არამედ არა საკვრველ
არს, უკუეთუ აქაცა მეგობრისა და სიყუარულისა
მისისა ცსენებითა ვახარე თავსა ჩემსა. თა ვითარ-
ცა-იგი ჩუენ თანა რად იყო, ზედვითა სათნოებათა
მისთადთა ვიხარებდი, ვგრეთვე მი-რად-იცავალა
ამიერ, ქებითა მისითა და ცსენებითა ვიხარებ.
წრამედ მოვიყვანო სიტყუად ჩემი გზასავე თვსსა.

23. **წინ იყო ესრეთ მცტოვან გონებითა უწინ-**
არეს მცტეთასაცა? რამეთუ ესე არს სიბერე, სი-
ტყვესაებრ სოლომონისა (სიბ.სოლ. 4,9). წნუ ვინ
ესრეთ პატიოსან იყო წინაშე ყოველთასა არა მო-
ჰასაკეთა ოდენ, არამედ ძუელთაცა?

წინ იყო სხუად, რომელსამცა ესრეთ წარემარ-
თა საქმს სათნოებათა, რომელ არღარა უკმდა
სიტყუად, ვითარ-იგი მას? ანუ ვინ იქმნა ესრეთ
საესე სიტყვთა საქმესაცა თანა, ვითარცა იგი? რა-
მეთუ რომელი-მე სახს სწავლისად დაუტევა, რო-
მელი არა დაისწავა? და უფროდსად, რომელი არა
ესრეთ ისწავა, ვითარცა სხუამან არავინ? ესრეთ
მიიწია ყოველსა, ვითარ-იგი სხუანი ერთსაცა ზედა
ვერ მიიწევინ, და ესრეთ თითოეული სრულებით
მიიღო, ვითარმცა სხუასა არცა ერთსა ებრძოდა.

ჩამეთუ სიმახვლე გონებისად და მოსწრაფე-
ბად ერთად შემოკრბეს მის თანა, რომელთა მიერ
იქმნების კეთილად სწავლულებად. **თა ესეზომი**
აქუნდა მოსწრაფებად და მოთმინებად, რომელ
არცა უკმდა სიმახვლე გონებისად. თა კუალად
სიმახვლე გონებისად ესეზომი აქუნდა, რომელ
არღარა ეკმარებოდა მოსწრაფებად. თა ესრეთ
შემოკრბა ორივე ესე ერთად, რომელ უცნაურ
იყო, თუ რომელი უმეტესად აქუს მას.

წინ-მე მიიღო რიტორობისა ძალი ესრეთ,
ვითარცა ცეცხლისა ენად, ვითარ მან? დაღაცა-

თუ მსგავსებად სახისა მისისაჲ არა იყო, ვითარცა სხუათა რიტორთაჲ, ესრეთ ფუდულ და ზუაჲ. ონუ ვინ-მე მიიწია ესრეთ ღრამატიკობასა ზედა გამოთარგმანებად ენისა და სიტყუათა დაწერად ჯეროვნად და გამოთქმად რიცხუეულთა მათ სიტყუათაჲ? ანუ ვინ-მე მოიპოვა ფილაფოზობაჲ ესრეთ, ვითარცა მან, ჭეშმარიტი იგი და მაღალი, რომელი არს საქმისა კერძსა და გულისცმისყოფისასა? ანუთუ რომელ-იგი არს გამომაჩინებელი სიტყუათაჲ, რომელსა მეტყუელებად უწოდებენ? რამეთუ უადვილეს იყო ქუაბისა მის ლავირინთისა განვლად, ვიდრეა ბადეთაგან სიტყუათა მისთაჲსა, სადაჲცა ჯერ-იყო და ინება.

ჴოლო ვარსკუველავთმრიცხველობაჲ და ქუეყანისა ზომებაჲ და რიცხუთა ცნობაჲ ესეზომი ისწავა, რომელ ოდენ არა იძლეოდა მათ შინა შექცეულთა მათგან. ოა სხუად იგი ნამეტნავი განაგდო, ვითარცა არად საკმარი მორწმუნეთაჲ. ჴოლო სამკურნალოდ თუთ მისმან მან ფრად უძღურთა ზრუნვამან კეთილად ასწავა და საკმარებით, რომელი-იგი ნაყოფ ღმრთისმსახურებისა მისისა იყო, რომლისაგან იწყო და სრულიად ისწავა კელონებაჲ იგი სიბრძნით.

სრამედ რასა ვიტყვ ამის ყოვლისათჳს? რამეთუ ესე ყოველი სახესა მას თანა წესიერებისა მისისასა არარაჲ არს, რომელსა არარაჲ იპოების სახმ წესიერებისა მისისაჲ ამას სოფელსა შინა.

24. ოსრეთ უკუე აღივსო რად ყოვლითავე სწავლულებითა და სიბრძნითა, რადზომ-იგი ბუნებასა შინა კაცისასა ეტევის (რამეთუ უზეშთაჲს ღადირთა არა წარივლების); ჴოლო მოიწია ჟამი წარსლვისაჲ მიერ და დაწყებისაჲ სრულსა მას ცხორებასა მონაზონებისასა და რადთა ვიწყოთ ქმნად საქმეთა მათ, რომელთათჳს ვისწრაფდით.

ძაშინ უკუე გარე-მოგუადგეს თანამოსწავლეთა მათ და მოძღუართა ჩუენთა კრებულნი და იწყეს ჩუენთჳს ცრემლოვად და იძულებად, დადგომად მუნ და ყოველსა ღონესა საქმეთა და სიტყუათასა ეძიებდეს დამჭირვად ჩუენდა ამას ადგილსა.

თაბრალობ თჳსა ჩემსა და ვაბრალო წმიდასა მასცა და შეუხებელსა სულსა, დადაცათუ კადნიერება არს საქმე ესე. ჴამეთუ იგი მოუდრეკელ იქმნა მათდა მიმართ და წარვიდა, ჴოლო მე დაშთომილ ვიქმენ ათინას შინა უდებებითა ჩემითა (რადთა ვთქუა ჭეშმარიტი), და კუალად ამისთჳსცა, რამეთუ მან დამიტევა, რომელი-ესე არა დაუტეობდი მას, და მიმცა კელთა მაიძულებელთასა.

საქმმ, რომელი უწინარეს ქმნისა არა სარწმუნო იყო და იქმნა, ვითარცა გუამისა ერთი-

სად ორად განკუეთად, ანუ ზუარაკთა, ერთად აღზრდილთაჲ, განყოფად, რომელნი-იგი ფრად გოდებდიან. სარნა არა თჳს-ვიდევ მყოვარ ჟამ დაჭირვებასა მას შინა ყოფად, არამედ შემდგომად მცირედისა ჟამისა წარმოვედ ათინით მეცა და განვხეთქენ საკრველნი იგი მაიძულებელთანი.

25. ჴოლო მო-რად-ვედით ქუეყანად ჩუენდა, მცირედდა დავეყვით სოფელსა შინა ზილვად მეგობართა და თჳსთა, რომელნი მრავლით ჟამითგან არა გუქილნეს. ოა ესრეთ უწუერულობისაგან გამოვედით და განვმწესენით და შევედით სიბრძნესა მას ჭეშმარიტსა მონაზონებისასა. სარნა ჴორციელად არდარა ზოგად ვიყოფოდეთ, არამედ სულითა ზოგად: რამეთუ იგი კესარია ქალაქმან მიიღო განმანათლებელად მისა და გარემოთა მათ უდაბნოთა შინა.

ჴოლო მე მაშისა ჩემისა მოხუცებულისა მსახურებამან და სიმრავლემან განსაცდელთამან დამიძჭირა და განმაშორა მისგან. სრა კეთილად, არცა სამართლად, გარნა განმაშორა და არა უწყი, თუ არა ამისთჳს იქმნა ჩემ ზედა ყოველი ესე ჭირი და არაწარმართებაჲ მონაზონებისა სიბრძნესა შინა და არცა აღსრულებად სურვილისა მის ჩემისაჲ.

25. ოა აწ ჩუენი ესე საქმმ იყავნ, ვითარცა ღმერთსა ჰნებაჲს, ჴოლო არსმცა მისითა მეოხებითა კეთილად. სარნა იგი მრავალმოწყალემან მან ღმრთისა კაცთმოყუარებამან და ჩუენისა ნათესავისა წყალობამან ბრწყინვალედ გამოაჩინა და მნათობად ეკლესიისა დაადგინა დიდად და დიდებულად და მღვდელთმოძღურებისა საყდართა დასუა ჯეროვნად და ერთისა მის კესარია ქალაქისაგან ყოველსა ქუეყანასა აღმოუბრწყინვა ყოველთა განმანათლებელად.

35. ჴოლო იხილეთ, თუ ვითარითა სახითა? რამეთუ არა უწესოებით მისცა მას პატრიი იგი, არცა ერთსა ჟამსა განბანა და მასვე ჟამსა აღამაღლა და განბანილთა წინამძღუარ ყო, ვითარცა-ესე აწ მრავალნი იქმან, რომელთა-იგი სურის წინამძღურობისათჳს, არამედ წესითა მით და შჯულითა სულიერითა აღიყვანა იგი პატრიუსა მას.

26. ჴამეთუ არა კეთილად მიჩნს მე ჩუენი უწესოებაჲ ესე აწინდელი, რომელი იქმნების რომელთამე ზედა წინამძღუართა, რამეთუ არა ვიტყვ, თუ ყოველთა ზედა. თაქებ წესსა მას მენავეთასა, რომელნი-იგი მენავეთმოძღურად ყოფადსა მას პირველ ნიჩაბსა მისცემენ კელად, და რაჟამს მას შინა წარემართოს, მერმე დასუენ წინასა მას კერძსა ნავისასა ზედვად ქართა და ჰაერ-

თა. ოა რაჟამს მყოვარჟამ განიცადნის ჰაერნი და აღლულებანი იგი ზღუათანი და სასტიკებანი ქართანი, მაშინდა უკუანა კერძო დასჯან და ნავისა მმართველნი იგი აფქიონნი ჯელად მისცნიან.

ოა კუალად ეგრეთვე არს ბრძოლათა შინა, რამეთუ პირველ არნ მკედარ და მერმე იქმნის ათისთავ და მერმელა ერისთვობაჲ მიიღის. ოსე არს კეთილი და ჯეროვანი წესიერებაჲ. ღოლო ჩუენი ესე ფრიად უმეტეს ამათ ყოველთაჲსა ღირს იყო ესრეთ ქმნად.

სრამედ აწ უწესოებით არს ჩუენ შორის დასი ესე ყოველთა უპატიოსნესი და იქმნების ყოველთა უსაკიცხელეს, რამეთუ არა სათნოებისაგან, არამედ მანქანებისა მიერ მივსცემთ მღდელთაჲსა. სრცა ღირსთანი, არამედ ძლიერთანი არიან საყდარნი. ოა მკურნალად ანუ მხატვარად არაჲინ უწესს კაცსა, რომელსა არა ესწავლოს ცნობაჲ სენთა ბუნებათაჲ, ანუ შეზავებაჲ წამალთაჲ.

ღოლო მღდელთმოდღუარი და წინამძღუარი, რომელი-იგი ყოველთავე უდიდესი და უძნელესი არს, ესე ჩუენ მიერ ფრიად და უზუად იპოების, რომელსა არარაჲ ეშრომის, არამედ უშრომელად მიიღის პატვი იგი, ერთსა ჟამსა დაეთესის და აღმოეცენის. სომელნი-ესე ყოველთა დღეთა წმიდათა შვეიქმთ თავით თვსით და არა ღმრთისა მიერ და ბრძენ ვჰყოფთ არაბრძენთა მათ, რომელთა არა რაჲ აქუნ ღირსი პატვისაჲ მის, გარნა ოდენ გულისთქუმაჲ მისი.

ოა მრავალგზის სიმაღლისა ღირსი ქუე მდაბლად მდგომარე არნ, რომელსა ფრიად უწუართნიან სიტყუანი იგი საღმრთონი და ფრიად დაემორჩილნიან კორცნი სულისადა, ზოლო უღირსი იგი ზუაობით ზინ საყდართა ზედა და აღიმაღლებნ წარბთა და არა ძრწინ საყდრისა მისგან, არცა ჰრცხუენინ ღირსთა მათ ქუე მდგომარეობისაგან, არამედ ჰგონებნცა თავსა თვსსა უბრძნეს მათსა, რამეთუ ჯელმწიფებისაგან ცნობაჲ მისი მიღებულ არნ.

27. სარნა არა ესრეთ იქმნა ღიდი იგი და დიდებული ბასილი, არამედ, ვითარცა სხუასა ყოველსავე ზედა სახე და წეს კეთილისა ექმნა ყოველთა, ეგრეთვე ამის საქმისა წესიერებასაცა ზედა, რამეთუ პირველ საღმრთოთა წიგნთა ოდენ უკითხვიდა ერსა გამომთარგმანებელი იგი მათი და არა უღირს იჩინა პატვი იგი.

ოა მერმე აღჯდა კიბესა დიაკონობისასა და მერმე საყდარსა ზედა ხუცობისასა და ესრეთლა საყდარსა ზედა ებისკოპოსობისასა. ოქებადა უფალსა (ფს. 106,32), რომელმან არა მიიხუეკა

პატვი იგი, არცა მოიტაცა, არცა სდევდა პატვისა, არამედ პატვისა მის მიერ დევნულ იქმნა.

სარნა წინამძღურობისა იგი საქმე მცირედ მელოდენ და პირველი ვთქუა მცირედლა.

28. სამეთუ იქმნა მცირედი რამე სახმ შური-საჲ მღდელთმოდღუარისა მის მიერ, რომელი იყო პირველ მისა, მისდა მიმართ, ზედვიდა რაჲ პატვისა მას, რომელსა მოატყუებდა ყოველთა მიერ სათნოებაჲ იგი მისი. ღოლო იყო კაცი იგი კეთილ ფრიად ყოველსა ზედა, ვითარცა გამოაჩინა ჟამმან მან დევნულებისამან და მისმან სიმკნემან, გარნა ბიწი ღიდაცა შეეხების, რამეთუ უცთომელობაჲ სრულიად მხოლოდსა ღმრთისაჲ არს.

29. ჰაშინ უკუე ესე რაჲ ცნა ნეტარმან მან და მოწაფემან მშჯდობისამან (მთ. 11,29), არა ჯერიჩინა მოწყლვაჲ გონებისა მისისაჲ, არამედ ჩუენცა განგუაზრახა და ჩემ თანა წარმოვიდა პონტოდ და მუნ მყოფნი იგი მონასტერნი განანათლნა, და უდაბნოდ დაიმკდრა, მსგავსად ელიაჲსა და იოჲანესა, ნეტართა მათ, რამეთუ ესრეთ არარაჲ თავს-იდვა ქმნად, რომელიმცა მისისა მის სიბრძნისა უღირს იყო.

ღოლო რაჟამს-იგი წარსლვაჲ მისი ესრეთ საკრველ და კეთილ იყო, იხილეთ, თუ ვითარ მოქცევაჲ იგი უსაკრველეს იქმნა და უკეთეს, რამეთუ ესრეთ იყო მოქცევაჲ მისი კესარიადვე.

30. საჟამს-იგი ესრეთ ვიყოფოდეთ, მეყსა შინა მოიწია ღრუბელი, სეტყვთა სავსმ, და ნიაჲქარი, ბოროტი და დამაქცეველი ეკლესიათაჲ, რომელთა ზედა მოიწია, ესე არს მეფმ იგი ოქროდსმოყუარმ და ქრისტესმოდულმ, უალი, ორითა სენითა შეჰყრობილი: უძღებობითა და გმობითა; შემდგომად მდევრისა მდევარი და შემდგომად განდგომილისა განდგომილივე. ოაღაცათუ არა კერპთა მსახური იყო, არამედ არარაჲვე იყო სარგებელი ქრისტეიანობასა შინა მისსა, არამედ მბრძოლი იყო ქრისტეიანეთა, თაყუანისმცემელთა ერთარსებისა სამებისათა, რომელსაცა ოდენ ვქადაგებ მე მართლმორწმუნეობად.

31. სამეთუ არა ვართ ღმრთის მოფარდულნი, არცა ერთსა მას თუალთშეუდგამსა ბუნებასა განვჰყოფთ თავისა თვსისაგან და უცხო-ვჰყოფთ. სრცა ბოროტითა ბოროტსა ვჰკურნებთ, რამთამცა უღმრთოჲსა მის საბელიოზის შერწყმასა უძვრესითა განყოფითა ღაჲჰსნიდით, რომელ-იგი მოიპოვა არიოზ უკეთურმან, ალექსანდრიით გამოჩინებულმან, რომელმან უმრავლესი იგი ნაწილი ეკლესიისაჲ განხრწნა და დააქცია, რომელმან-იგი მამასაცა არაჲე პატვის-სცა და მის-

გან შობილი იგი ძმ და გამოსრული სული წმიდად შეურაცხ-ყო.

სრამედ ჩუენ ერთი დიდებად ვიცით მამისად — სწორებად იგი ძისად და ერთი პატფი ძისად — სწორებად იგი სულისა წმიდისად. ოა რომელიცა ამათ სამთაგანი დაგამდაბლოთ, ესრეთ შეგვრაცხ-იეს, თუ სამნივე დაგვამდაბლებიან, რომელნი-იგი თვთებითა სამად და ბუნებითა ერთად უწყით და აღვიარებთ.

სრამედ ამის ყოვლისაგან არარად გულისც-მა-ყო მან და ვერცა ზე ახილვად ძალ-ედვა, არ-ამედ მტყუვართა მათ წინამძღუართა მისთა მიერ დამდაბლებულ იყო და იკადრა თავისა თვსისა თანა დამდაბლებად ბუნებისა მის ღმრთეებისა და იქმნა ჭურჭელ უკეთურ. ოომელი მონებად მოიყვანებდა მეუფებასა და დაბადებულთა თანა დააწესა მან დაუბადებელი იგი და უზემთაესი ჟამთა ბუნებად.

31. სრეთ უკუე ესევითართა ზრახვითა და მკედრობითა მოიწია ჩუენ ზედა და ესევითართა უმჯულოებითა, რამეთუ ესე არს ზედამოსლვა ბარბაროზებრი, არა ზღუდეთა ქვისათა დამარ-ღუეველი, რომელნი-იგი კელით ქმნულ არიან და კუალად აღეშენებიან, არამედ სულთა დამ-აქცეველი უკუდავთა.

ხოლო იყვნეს მის თანა მკედრობანი, მწარენი იგი მთავარნი სოფლისანი და ებისკოპოსნი იგი უკეთურნი, რომელნი ისწრაფდეს დაპყრობად ეკლესიათა, რომელნი ჯერეთ არა აქუნდეს და მინდობილ იყვნეს ძალსა მას მეფისასა. ოა ეს-რეთ კესარიისა ეკლესიადცა მოიწინეს. ოა არა ეშინოდა მათ სიტყუათაგან მაშინდლისა მის მთა-ვარებისკოპოსისათა, არამედ მინდობილ იყვნეს ძლევად მისდა. ოა ბრძოლად იგი დიდი იყო და მოსწრაფებად იგი მბრძოლთა არა მცირე, ხოლო მწყობრი ჩუენისა კერძისად უძღურ, რამეთუ არა აქუნდა კელოვანი წინამბრძოლი ძალითა სიტყვ-სა სულისადთა.

ქაშინ უკუე დიდმან მან და წმიდამან და ჭეშმარიტად ქრისტესმოყუარემან სულმან არა იკუშინა მრავალნი სიტყუანი მისლვად და შეწ-ევნად, არამედ მიხილა რად მე, რომელი ვევე-დრებოდე (რამეთუ ღუაწლი იგი ორთავე ზოგად იყო), და მეყსეულად დამმორჩილდა და გულისც-მა-ყო კეთილად ძალითა სულისა წმიდისადთა, რომლითა-იგი საესე იყო, ვითარმედ სხუად არს ჟამი სულგრძელებისად და სხუად არს ჟამი მოს-წრაფებისად.

ოა მეყსეულად ზოგად წარმოვედით პონტოთ.

ოა აღივსო იგი შურითა საღმრთოთა, იხილა რად, რომელ ჭეშმარიტებად წარწყმდებოდა. ოა იქმნა თანამბრძოლ და დიდად შემწედ მისცა თავი თვსი დედასა მას ყოველთასა — ეკლესიასა.

32. სრამედ იხილეთ, ნუუკუე ინება ესრეთ, ხოლო იღუაწა ნებისა მისისა უდარესად-ა? ანუ იღუაწა ახონად, გარნა არა მეცნიერებით-ა? ანუ სიბრძნით და უჭირველად-ა? ანუ ყოველი ესე სრ-ულებით ქმნა, ხოლო თავსა შორის თვსსა დაუტე-ვა ნაწილი რადმე სულმოკლებისად? ნუ იყოფინ! არამედ ერთბამად ქმნა ყოველივე: სრულებით დაე-გო, განაზრახა, შეიჭურა კეთილად ბრძოლისა მის მიმართ და დაჰქსნა ყოველივე ძალი მბრძოლთა მათ: რომელნიმე მოაქცინა, რომელნიმე შეიტკბნა და რომელნიმე იოტნა. სქმნა ერთსა მას კერძსა ზღუდე მტკიცე და გოდოლ შეურყეველ (იერ. 1,18), ხოლო მეორესა მას — წერაქუ მკოდელ და შემმუს-რველ კოდეთა (იერ. 23,29) და ცეცხლ ეკლოვანსა შინა (ფს. 117,12), ვითარცა «წერილი» იტყვს. ოა ძლიერად შეწუნა და უჩინო ყვნა ეკლოვანნი იგი სულნი და მაგინებელნი ღმრთეებისანი. მკუეთუ კულა ბარნაბაცა, რომელი-ესე ამას იტყვს და წერს, იღუაწა პავლეს თანა, პავლესი არს მაღლი იგი, რომელმან გამოირჩია იგი და ყო თანაშემწე ღუაწლისა მის.

33. ქაშინ უკუე ბოროტნი იგი ესრეთ წარვიდეს — ბოროტნი ბოროტად, ესრეთ ძლეულნი და სირცხულეულნი. ოა ცნეს, ვითარმედ არა ჯერ-არს ესრეთ კაბადუკიელთა უგულუბელსყოფად, რომელთა სიმტკიცე არს მართლმორწმუნეობად, და უფროდსად, რაჟამს ბასილი იყოს შემწედ მათ-და.

ქერმე უკუე ინება, რადთამცა სრულიად და-ჰქსნა იჭუეულობად იგი, რომელი აქუნდა მისა მიმართ მთავარებისკოპოსსა, და რადთა ცნან ყოვ-ელთა, თუ ვითარ უყუარს იგი ყოვლითა გულითა. წმისთვს განაზრახებდა მას ყოველსა კეთილსა, ჰმორჩილობდა. სანუსუენებდა ყოველსა ზედა, გამომთარგმანებელი იყო საღმრთოთა წერილთა. ზუერთხი იყო სიბერისა მისისად, სიმტკიცე სარ-წმუნოებისად. სრეთ წინამძღუარ იყო იგი ეკლე-სიისა. ოაღაცათუ საყდარსა მღდელთმოდურე-ბისასა ჯერეთ არა დაჯდომილ იყო.

ოა იყო საკერველი შეერთებად მათი, რამეთუ მღდელთმოდურარი იგი ერისა იყო წინამძღუარ და იგი — მღდელთმოდურისა. ოამეთუ საყ-დარსა მღდელთმოდურებისასა დაჯდომად არა თავსიდებდა, რომელსა-იგი არარად დიდებად ყოვლადვე არა უყუარდა, არამედ სიმრავლესა

მას ღმრთისმბრძოლთასა ზედვიდა და ამისთვის შეეწეოდა მას ყოველსა ზედა საქმესა კეთილსა და ყოველსავე წინამძღურობისა საქმესა იგი აღასრულებდა თვნიერ საყდარსა დაჯდომისა. ოდენ სახელი არა აქუნდა მღვდელთმოდურებისად, თუ არა საქმესა ყოველსავე იგი იქმნოდა.

34. ღოლო ეკლესიისა კეთილად განგებულები-სა მისისათვის მრავალნი არიან სასწაულნი: კადნიერებანი წინაშე მეფეთა და მთავართა კეთილად მორწმუნეობისათვის, მოწყალებანი და გამოზრდანი სულთა მათ მშვიერთანი და კორცთაცა (რამეთუ ესეცა დიდად სულიერ არს). ლაზარეთმოყუარებანი, უცხოთა შეწყნარებანი, ქალწულთა შეკრებანი მონებად სიძისა მის უკუდავისა, შჯულისდებანი მონაზონთანი, დაწერილნი და უწერულადცა თქმულნი მის მიერ, აღშენებანი მონასტერთანი, განგებულებანი ღოცვათანი, შემკობანი საკურთხეველთანი.

ჩამეთუ ყოველივე ესე მან ქმნა, მან დაგვსხნა შეუნიერნი ესე წესნი ეკლესიისანი და განგებულებანი ესე საუფლოთა მათ დღესასწაულთანი, დაწესებანი ესე მღვდელთანი, დიაკონთა და მოწესეთანი და სხუად ყოველივე კეთილნი იგი მისნი, რომელთა მიერ ჭეშმარიტად ღმრთისა კაცმან მან და ღმრთისა თანა შეერთებულმან განანათლა სოფელი, განანათლნა კაცნი, განანათლნა ეკლესიანი, მოიმაღლა ღმერთი, აცხოვნა წარწყმედულნი, განანათლნა დაბნელებულნი, აღადგინნა დაცემულნი, განამტკიცნა დაცემადნი, განაძნა მშვიერნი.

ჩითარცა-იგი მაშინ, იქმნა რად სიყმილი დიდი და სასტიკი, წარწყმდებოდა ქალაქი იგი და შეევენა არა სადათ იყო. ჩამეთუ სადა-იგი ზღუად მახლობელ არს, მუნ იპოვების ნუგეშინისცემად რადმე მიცემითა და მოღებითა ნათებად. ღოლო სადა ზღუად არა იპოვების, მუნ ყოველივე ძნელოვან არს.

თა უბოროტესი ესე არს. ჩამეთუ მდიდარნი უწყალო არიან და უძღვებ და ჰხედვენ ჟამთა სიყმილისათა და მაშინლა იწყებენ ვაჭრობად და ივაჭრებენ განსაცდელთა მათგან გლახაკთადასა და სარგებელად აქუს იგი, არცა უფალსა ავასხებენ წყალობითა გლახაკთადათ (იგ. 19,17), არცა ეშინის საშჯელისა მისგან უწყალოთადასა (იგ. 11,26), არამედ არიან უძღვებ და დაუკშვენ სხუათა თვისსა წყალობასა და თავთა თვისთა — ღმრთისასა, რომელი მათ უმეტესად ეკმარების, ვიდრედა მათი — სხუათა. ორცა ბუნებად იგი კაცობრივი წყალის, არცა ღმერთსა ჰმადლობენ, რომლისა

მიერ მოცემულ არს მათდა სიმდიდრე.

35. ღოლო მან ნეტარმან პური არა უწვმა ზეცით (გამს. 16,15). ორცა დაუღვწენელ ყო მცირედი ფქვილი (3 მეფ. 17,14). ორცა ზუთითა პურითა განაძნა ათასეულნი (მთ. 14,19; ლკ. 9,16; იობ. 6,11) — საქმენი ესე, რომელ ქმნეს მოსე და ელია და ჩემმან ღმერთმან, რომელმან მათცა მისცა ძალი ესე. ღოლო არა თუ ამას ვერ ძალ-ედვა ამის საქმისა ძალითა ღმრთისადათა ქმნად, უკუეთუ-ცა ჯერ-იყო, არამედ ესე საქმენი მათ ჟამთანი იყვნეს: რამეთუ სასწაულნი ურწმუნოთათვის არიან და არა მორწმუნეთა (1 კორ. 14,22).

ორამედ ამან, დიდმან და საკრველმან, საქმენი ქმნა, რომელნი მორწმუნეთა უკმდეს: რამეთუ ძალითა სიტყუათა მისთადათა მდიდართა საუნჯენი აღახუნა და სწავლითა თვისთა განაძნა სულნი კუებულნი და სულნი მშვიერნი აღავსნა კეთილითა (ლკ. 1,53).

თა მერმე შემოკრიბნა სიმრავლენი გლახაკთანი. რომელნი-იგი კინილა და სიყმილითა მით მომკუდარ იყვნეს: მამანი და დედანი, ბერნი და ყრმანი ყოველნივე საწყალობელნი. თა შემოკრიბა ყოველივე ჭამადი, სიყმილისა უჩინო მყოფელი. თა შორის წარმოდგა ქუაბები დიდ-დიდები, საესე ცეცრუთა, შეზავებული ცმელითა, რომელი-იგი შიმშილსა ფრიად კეთილ არს.

თა ესრეთ მიემსგავსა მსახურებასა მას ქრისტესსა, რომელმან-იგი არდაგი მოიდგა და არა უღირს-იჩინა ფერკთა მოწაფეთასა ბანად, ვერეთვე ესე თვთ დგა და ყოველნი მსახურნი მისნი შემოკრიბნა და ჰმსახურებდა გლახაკთა.

36. სვეითარი არს ჩუენი ესე გამოზრდელი და ახალი იოსებ და იოსებისსა ფრიად უმაღლესი, რამეთუ მან ჟამი იგი უზუებისად მკურნალად სიყმილისა ჟამთა ყო სხვსა სიზმართა მიერ განგებითა, ზოლო ესე ჟამსა მას სიყმილისასა განაძლებდა მშვიერთა.

თა ერთისა მიმართ მოსწრაფე იყო. ჩადათა კაცთმოყუარებითა კაცთმოყუარებად მოიგოს და საუკუნენი იგი კეთილნი დაიმკდრნეს, ზოლო ამას იქმნოდა სულიერისა მის საზრდელისა თანა, რამეთუ არა კორცთა ოდენ განაძლებდა და სულთა უგულუბელსჰყოფდა, არამედ უფროდსად იგი იყო მოსწრაფებად მისი და მისცემდა ყოველთა საზრდელსა მას მაღალსა და ზეცისასა ჭეშმარიტად (ამოს. 8,11).

ჩამეთუ პური ანგელოზთად არს სიტყუად. სომლისა მიერ გამოიზარდებიან სულნი, ღმრთისაგან მომყმარნი და უცხოქმნილნი, რომელი-იგი

მან ქმნა და განმყოფელ იყო არა განზრწნადისა მის საზრდელისა ოდენ, არამედ მტკიცისა მისცა და წარუვალისა, რომელი-იგი მას მდიდრად აქუნდა. სანჰკურნებდა არა პურისა ოდენ ზილულისა შიმშილისა და წყლისა წყურილსა, არამედ სიტყვსა საღმრთოისა და ჭეშმარიტად ცხოველისა, რომელი მიიყვანებს ჰასაკად სულიერად გამოზრდილსა მას.

37. ღოლო ამას ყოველსა ზედა (რამეთუ ვის ძალუც ყოველთა მისთა კეთილთა თქუმად) ვინათგან ენაჲ მოუძღურდების, არამედ ესე ოდენ ვთქუა. ჴითარმედ მას ჟამსა შინა **ვესები**, მთავარებისკოპოსი იგი **კესარიისაჲ**, აღესრულა კელთა შინა დიდისა **ბასილისა**. ოა ესრეთ იგი მაღალსა მას მღდელთმოდურებისა საყდარსა აღყვანებულ იქმნა იძულებით და არა ნეფსით, არცა უშურველად, რამეთუ ფრიადი შური იყო კაცთა მათ შორის უკეთურთა, რომელნი ისწრაფდეს საყდრისა მის მიტაცებასა.

სარნა ჯერ-იყო, რადათამცა სულმან წმიდამან სძლია, და სძლიაცა დიდად და დიდებულად, რამეთუ აღძრნა ყოვლით კერძო დასამტკიცებელად კაცნი ჭეშმარიტისა მოყუარენი და მოშურნენი საღმრთოდ, რომელთა თანა იყო ახალიცა იგი **აბრაჰამ** და მღდელთმოდური, ჩემსა მას მამასა ვიტყვ, რომელსა ზედა იქმნა მაშინ საკვრველებად, რამეთუ არა სიმრავლისაგან ოდენ წელთაჲსა მოუძღურებულ იყო, არამედ სნეულებითაცა მძიმითა შეპყრობილ იყო და სიკუდილსა მიახლებულ.

სრამედ შეჰკადრა გზად გამოსლვად, რადათა შეეწიოს დამტკიცებასა მისსა. ოა მიენდო სულსა წმიდასა და ვითარცა მკუდარი დაიდვა სარეცელსა ზედა, ვითარცა სამარესა, ზოლო მოიქცა განძლიერებული და მრთელი, რამეთუ განმრთულებულ იყო ცხებითა მით და კელის დადებითა და უფროსად შეხებითა თავსა მას მისსა წმიდისა. სრეთ აღესრულა სიტყუაჲ იგი, რომელსა იტყვან, ვითარმედ: «გულსმოდგინებაჲ სიმრთელესა მოსცემს და სურვილი მკუდართა აღადგინებს».

38. ღოლო იგი ესრეთ ღირს იქმნა მღდელთმოდურებასა ესევეთართა კაცთა წამებითა და ესრეთ დიდებულად, არამედ რასა იტყვთ? ნუუკუე შემდგომად ამის ყოვლისა სირცხვლეულ ყო-ა სიბრძნე მისი; ანუ სასოებაჲ იგი მათი, რომელნი ეწამნეს და ისწრაფეს მისთვის? ნუ იყოფინ!

სრამედ ესრეთ გამოაჩინა ბრწყინვალეობაჲ სათნოებათა თვსთაჲ, ვითარ-იგი ჭეშმარიტად მას შეუენოდა, რამეთუ მას ესრეთ შეერაცხა, ვი-

თარმედ სხუათა მათ კაცთა სათნოება არს, რაჟამს ბოროტ არა იყვნენ, ანუ მცირედი რადმე კეთილი აქუნდეს. ღოლო წინამძღურისა და უფროსად ესევეთარისა, საყდარსა მჯდომარისა, ბოროტება არს, უკუეთუ არა ფრიად უმეტეს იყოს სხუათაჲსა და მარადის უმჯობესისა მიმართ წარმატებულ და არა აქუნდეს სათნოებაჲ, შემსგავსებული პატრიარქისა მის და საყდრისაჲ.

ოა უფროსად მცირედ რადმე ვთქუა ამისთვის სიბრძნისმეტყუელებით, კეთილად და სრულად-რე, ვითარმედ ვითარცა მაცხოვრისათვის მე ვხედავ და გულისკმა-ვჰყოფ და ესრეთ ვჰგონებ, ვითარმედ ყოველივე კაცი, ბრძენი და მეცნიერი, ესრეთვე გულისკმა-ჰყოფდეს, რაჟამს იგი ჩუენდა მომართ გარდამოვდა და შეიმოსა ჩუენთვის ხატი ჩუენი და ბუნებაჲ.

სრეთვე ამის ნეტარისათვის ვიტყვ მე, ვითარცა-იგი მისთვის იტყვს მახარებელი, ვითარმედ წარემატებოდა ვითარცა ჰასაკითა, ვრეთვე სიბრძნითა და მაღლითა (ლკ. 2,52), არათუ რამეთუ სიბრძნე და მაღლი არა აქუნდა და მოეცემოდა და აღორძნდებოდა მის შორის (რამეთუ პირველითგან სრულისა მის უსრულეს რადმცა იქმნა?). სრამედ მცირედ-მცირედ გამოჩნდებოდა ბუნებითი იგი სიბრძნე და მაღლი მისი და განცხადნებოდა, რადათა იხილვოს სხუათა მიერ. სრეთვე ამის ნეტარისა სათნოებაჲმან არა თუ მღდელთმოდურებისა მისგან შემატებაჲ რადმე მიიღო. ჩამეთუ იგი პირველ მისაცა ძალითა ღმრთისაჲთა და მრავლითა მით მოღუაწებითა მისითა სრულ იყო სათნოებითა, არამედ მაშინ იყო სათნოებაჲმან მან, რომელი იყო მის შორის, გამოცხადებაჲ, პოვა რად ნივთი უმეტესი — წინამძღურობაჲ იგი.

39. სირველ უკუე ესე უჩუენა ყოველთაჲვე, ვითარმედ არა კაცობრივ იყო, არცა კაცთათვის საქმე მისი, არამედ ღმრთისა მიერ და ღმრთისათვის, რომელმან არცა ერთი ქმნა საქმე კაცობრივი და კაცთათვის ქმნილი, არამედ ყოველი საქმე მისი ღმრთისათვის იყო და ჭეშმარიტებისათვის.

40. ღოლო მე მაშინ, რომლისათვის მრავალნი ჰგონებდეს, ვითარმედ მეყსა შინა მივიწიო მისდა და თანაზიარ წინამძღურობისა მისისა ვიქმნე, ვინათგან შურისათვის მრავალთაჲსა და ბოროტთა მათთვის, რომელნი მისთვის სიტყუასა ეძიებდეს, ამისთვის არა მივედ მისდა, არამედ აღვრ-ვასხენ სურვილსა ჩემსა და შინა დაჟადგერ.

ღოლო შემდგომად ამისა მივედ მისა. ღოლო მან დაღაცათუ მაბრალა, არამედ კუალად შემინდო, რამეთუ უწყოდა მან, თუ რადსათვის ვქმენ იგი. ოა

პატივი ხუცესთად და დაჯდომად მათ თანა არა ვინებე ამისვე მიზეზისათვის, და არცა მამბრალა, არამედ უფროსად მაქო, და ესრეთ ყოველი საქმე მისი საღმრთო იყო და კეთილისათვის.

40. ჰერმე უკუე განდგომილნი იგი შემოკრიბნა სიტყვთა კურნებისათა ძლიერითა, რამეთუ არა უძლურებით ქმნა ყოველივე, არამედ აზოვნებით და ვითარცა მას შეუენოდა. ზილა, რამეთუ ფრიადი ლბილობად დამკსნელ არს და ფიცხლობად — განმაფიცხებელ, ამისთვის ორივე ესე შეზავა: სიმშვიდითა სიფიცხლე და სიმტკიცითა სილბილე იგი უზომოდ.

თა მცირედ იკმარა სიტყვთ კურნებად, არამედ უფროსი საქმით ქმნა კურნებად სულთა მათ წარწყმედულთად, მრავალთა და ურიცხვთად.

სომელთაგანი ერთი ვთქუა. ოდაცათუ სხუათა მიერცა თქუმულ არს, არამედ ჩემდაცა საწადელ არს მისთა საქმეთა ცსენებად, რომელნი მან ქმნნა დიდებულად და დიდად.

სამეთუ ჭაბუკი ვინმე ქალწულისა ერთისა მიმართ აღევზნა ტრფიალებითა საეშმაკოთა და საქმისა მის ქმნად ვერ კელ-ქეფებოდა. ჰაშინ წარვიდა ერთისა გრძნეულთაგანისა მიმართ და ვეფდებოდა, რაითა უქმნას მას საქმე იგი. ღოლო მან ჰრქუა, ვითარმედ: «მე ვერ ძალ-მიც თავით ჩემით რაღსამე ქმნად, გარნა წარგაგლინო, გნებავს თუ, ჩემისა მის სასოვსა ეშმაკისა მიმართ და მან ყოს ნებად შენი, უკუეთუ შენ ჰყო ნებად მისი».

ღოლო იგი დაბნელებული იყო ვნებისა მისგან და ეტყოდა ყოფად, რაიცა ჰრქუას. სრქუა მას ბოროტმან მან: «იჯმნა-ა კელისწერილით ქრისტესგან?» მან აღმოუტევა საწყალობელი იგი კმად და თქუა: «ჰე, ვიჯმნას!» ზოლო შვილმან მან ეშმაკისამან დაუწერა წიგნი ეშმაკისა მიმართ, ვითარმედ:

«ვინადთგან მარადის ვისწრაფი ქრისტიანეთა კრებულისაგან მოტაცებად და შენდა მოყვანებად, ამისთვის აჰა ესერა მომივლენია. სომელსა-ესე აქუს წიგნი ჩემი, რაითა შთაუთესო ტრფიალებად ქალსა ვისმე მისა მიმართ. ოა გევედრები, ქმენ საქმე ესე, რაითა მეცა გულსმოდგინებით შემოვკრებდე მსახურთა შენთა». ოა მისცა წარწყმედულსა მას ქარტად იგი და ჰრქუა: «წარვედ მას რომელსამე ჟამსა ღამისასა და მივედ საფლავსა საწარმართოსა და აღამაღლე ქარტად ესე და მოვიდენ წარმეგანებელნი შენნი ეშმაკისა».

ღოლო მან ქმნა საქმე ესე და მიეგანებულ იქმნა წინაშე ეშმაკისა, რომელიცა იხილა, ვითარცა საყდართა ზედა მჯდომარე, და გარემო მისა სულნი

უკუთრნი. ოა მისცა მას წიგნი იგი გრძნეულისად მის. ღოლო მან ჰკითხა. «უ შეეწყნარების-ა მას და იჯმნის ქრისტესგან? და მან აღუთქუა ესრეთ ქმნად. ზუალად მან ჰრქუა, ვითარმედ: «მზაკუვარნი ზართ თქუენ ქრისტიანენი. ოა რაჟამს-რადმე გიკმდე მე, მოზუალთ ჩემდა. ღოლო აღასრულოთ რად გულისთქუმათ თქუენი, კუალად უვარ-მყოფთ მე და მიზუალთ ქრისტესა. ოა იგი არს სახიერი და კაცთმოყუარე და შვეიწყნარებს თქუენ».

10. სრამედ დამიწერე მე კელისწერით ქრისტესგან და ნათლისღებისა შენისაგან ნეფსით ჯმნად და უკუნისამდე ჩემ თანა ყოფად, და რაითა საუკუნეთა მათ სატანჯველთა, რომელნი ჩემთვის განმზადებულ არიან დღესა მას საშჯელისასა, ჩემ თანა დაემკვდრო, და მე აწ ვყო ნებად შენი». ღოლო მან დაუწერა ყოველივე, რაიცა ჰრქუა მას.

ჰაშინ ვეშაჰმან მან წარწყმედისამან წარავლინნა სულნი ბოროტნი და აღაგზნეს ქალი იგი ტრფიალებითა ჭაბუკისა მის მიმართ. ოა იყო დიდადებად და დავრდომად ქუეყანასა ზედა და ეტყოდა მამასა თვსსა, რაითა შეჰრთოს იგი ჭაბუკსა მას, თუ არა, მოვიშოთ მე თავი ჩემიო. ღოლო მამად მისი შეწუხებულ იქმნა ფრიად, რამეთუ ქალწულებით ენება მისი დაცვა. სარნა იხილა რად იგი საქმესა მას შინა, ყო ნებად მისი და შეჰრთო ჭაბუკი იგი.

ღოლო შემდგომად ჟამისა რავდენისამე ცნეს ვიეთმე. ჴითარ არა მიეახლებოდა ეკლესიას და მიუთხრეს ქალსა მას, ვითარმედ: «უწყებულ იყავ, რომელ ქმარი შენი არა ქრისტიანე არს». სე რად ცნა მან, იყო გოდებად, ვითარ-იგი ურჩ ექმნა მამასა თვსსა და ქმნა ბოროტი იგი. ღოლო ცნა ესე შეცთომილმან მან ტრფიალმან მისმან და მოვიდა მისა და დაუმტკიცებდა არა ესრეთ ყოფად, ვითარ ასმიეს. ღოლო მან ჰრქუა მას, ვითარმედ: «უკუეთუ გნებავს სულისა ჩემისა გულსავსე ყოფად, ზვალე ზოგად ეკლესიას მივიდეთ და წინაშე ჩემსა მიიღე ქრისტეს საიდუმლო».

ჰაშინ, უნდა თუ არა, მიუთხრა მას საქმე იგი ყოველივე, ზოლო მას ესმა რად, დაუტევა უძლურებად იგი დედათა ბუნებისად და მივიდა მკურნალისა მის მიმართ კეთილისა და მიუთხრა მას ცრემლით ყოველივე იგი საქმე. ღოლო მან მოუწოდა ჭაბუკსა მას და ისწავა მისგან ყოველივე.

45. ღოლო ჰკითხა მას, ვითარმედ: «გნებავს-ა მოქცევა ღმრთისავე?» და მან ჰრქუა: «ჰე, წმიდაო ღმრთისაო, მნებავს, გარნა ვერ ძალ-მიც, რამეთუ კელისწერით დამიწერია ჯმნად ქრისტესგან და ყოფად ეშმაკსა თანა». ღოლო ნეტარმან მან ჰრქუა

მას: «ნუ იურვი მაგისტვს, რამეთუ ქრისტე სახიერი არს და შეგიწყნაროს შენ, ოდენ გრწმენინ მისი».

თა ესრეთ შეაყენა იგი სახლსა ერთსა და სამ დღე ილოცა მისთვის. თა მივიდა მისდა და ჰკითხა, თუ ვითარ არს. **ჟოლო** იგი ეტყოდა, ვითარმედ: «ვერ თავს-ვიდებ, უფალო, ბრძოლათა მათთა, რამეთუ მოვლენ და მაჭირებენ და იტყვან, ვითარმედ: არა შენ ნეფსით მოხუელ-ა ჩუენდა და დაგვწერე კელი ესე?» **ხოლო** დიდმან მან **ბასილი** ჰრქუა მას: «ნუ გეშინინ, შვილო, არამედ მოითმინე!»

თა კუალად შემდგომად დღეთა მცირედთა მივიდა მისდა და ჰკითხა მას. თა მან ჰრქუა მას, ვითარმედ: «შორით მოვლენ და მერჩიან მე». **ჟოლო** კუალად შემდგომად ორმოცისა დღისა მივიდა მისდა და ჰრქუა: «ვითარ ხარ, შვილო?» **ხოლო** მან ჰრქუა, ვითარმედ: «გიხილე, მამაო, რამეთუ ებრძოლე ჩემთვის ეშმაკსა და სძლე მას და აწ კეთილად ვარ». **ჟოლო** მას ღამესა წარიყვანა იგი სენაკად თვსად და ილოცა მისთვის. თა შემდგომად ცისკრისა ღოცვისა ჰრქუა ერსა, ვითარმედ: «დღეს, ძმანო, ჯერ-არს ღოცვაჲ უმეტესი, რამეთუ ეგულების მწყემსსა მას კეთილსა ცხოვრისა წარწყმედულისა აღებად მკართა ზედა თვსთა».

ჟოლო ჰყვა რად გელთა მისთა ჰაბუკი იგი, ურცხვნო იქმნა ეშმაკი და მოიწია, რადამცა გამოუღო მას იგი, ვიდრელა თუთ მასცა უჭვნა. **ჟოლო** იგი მიექცა და შეჰრისხნა მას და ჰრქუა: «არა დასცხრე-ა, უკეთურო, ბოროტებისა მაგისტგან, რამეთუ დაბადებულთა ღმრთისა ჩემისათა წარიტაცებ და არა კმა გეყოფის შენი წარწყმედაჲ, არამედ გნებაჲს ამითიცა შენ თანა წარყვანებაჲ?» **ხოლო** იგი ვმობდა, ვითარმედ: «მაენებ მე უსამართლოებით, **ჰ ბასილი**, არა თუ მე გაიძულე ეგე, არამედ ნებსით მოვიდა ეგე ჩემდა. თა აჰა ესერა, მაქუს კელისწერილი მისი და ესე უჩუენო წინაშე საშჯელსა ქრისტესსა».

ჟოლო ნეტარმან მან თქუა: «კურთხეულ არს უფალი, არა დაიმდაბლნეს ერმან ამან კელნი, ვიდრე არა მომცე კელისწერილი იგი». თა ჰრქუა ერსა: «აღიპყრენით კელნი თქუენნი და იტყოდეთ კურიელეისონსა!» და აღიპყრნეს მათ კელნი და, აჰა, ვიდრელა ყოველნი ეხედევდით, მოვიდოდა ქარტად იგი ჰაერთად და მოვიდა კელად **ბასილისა**. **ჟოლო** მან უჩუენა იგი ჰაბუკსა მას და ესრეთ წინაშე ყოველთასა განხეთქა კელისწერილი იგი მონებისა მისისაჲ. **ჰაშინ** უკუე იხილეს ყოველთა ერთად დიდებულებაჲ ღმრთისაჲ და თაყუანის-სცეს მას.

ჟსრეთ იძლინეს ყოველნი წინააღმდეგომნი იგი სათნოებითა მისითა. თა ერთი საქმე შეერაცხა ყოველთა ცხორებად — დამორჩილებაჲ მისი და ერთი — წარწყმედაჲ მისი, განმწარებაჲ, და უცხოყოფაჲ მისგან უცხოყოფად ღმრთისად შეერაცხა. **ჟსრეთ** მოუდრკეს მას ყოველნი და შეისმინეს სიტყუაჲ მისი, ვითარცა კმაჲ ქუხილისაჲ და ურთიერთას უსწრობდეს მორჩილებად მისდა.

ჰაძოზომ-იგი პირველად განდგომილ იყვნეს, ესეზომად მოვიდეს სათნოებად. **ჰამეთუ** ესე იყო მისი მორჩილებაჲ — მოსლვად სათნოებად ღმრთისა. **სარნა** რომელნი-იგი განვარდეს მისგან, იგინი დამთეს, რომელნი იყვნეს შვილ წარწყმედისა, რომელ იგინი თუთ თავთა თვსთა მიერ განილინენ, ვითარცა რკინაჲ თვსისა გესლისაგან.

41. **წინაითგან** უკუე ესე ესრეთ იყო და შინანი იგი ესრეთ დაემორჩილნეს, მაშინ მოიგონა სხუადცა საქმე მაღალი, რამეთუ სხუანი ყოველნი თუალთა წინაშე მათთა მყოფთა საქმეთა იგონებენ, რადამცა იგი ოდენ რადთმე წარჰმართეს.

ჟოლო იგი ყოველსა ზედა მდაბალ იყო, არამედ ამას ზედა არა ინება სიმდაბლმ, იხილა რად, ვითარმედ დიდებაჲ იგი ღმრთისაჲ სიმდაბლედ მოვიდოდა კაცთა მიერ ბოროტთა, არამედ ზე აღიღო მან თავი თვსი და მიმოავლო თუალი სულისაჲ და შემოიკრიბა ყოველივე სოფელი, ვინაჲცა მიწთომილ იყო სიტყუაჲ იგი ცხორებისა სახარებისაჲ.

თა იხილა რად წმიდაჲ იგი კრებული ღმრთისაჲ, სიტყუათა მიერ და ვნებათა მისთა მოგებულთა, *ნათესავი იგი წმიდაჲ, მღვდლობაჲ იგი სამეუფოჲ (1 პეტ. 2,9)*, რამეთუ ბოროტად იქცეოდა და ბევრეულთა საცთურთა და წვალებათა შთაგრდომილ იყო, და ვენაკი იგი, **გვპბით** ცვალებული (ფს. 79,9) ბნელისა მის უგულისკმოებისაგან და უღმრთოებისა და განშუენებული და აღორძინებული, რომელმან დაფარნა სიკეთითა თვსითა მთანი და ბორცუნი იგი ბოროტისა მის ეშვსა მიერ, რომელ არს ეშმაკი, განრყუნილ იყო (ფს. 79,8-13).

42. **სრა** ჯერ-იჩინა დიდმან მან და ღმრთისა საკუთარმან მონამან, რადამცა დუმილით ოდენ იგლოვდა საქმისა მისთვის და ევედრებოდამცა ღმერთსა და ცნნად მისდა და თუთმცა უზრუნველად მჯდომარე იყო, არამედ ჯერ-უჩნდა, რადამცა თუთცა თავით თვსით შეეწია რადმე წარწყმედისა მისგან მოქცევად ერთა მათ.

42. **ჟოლო** უკუეთუ ერთი ვინმე კეთილად იყო, გინა ბოროტად, მრავალთა არა ფრიალ შეუხების მისგან, **ხოლო** რაჟამს ყოველნივე ერთად იყვნენ

კეთილსა შინა, გინა ბოროტსა, ერთიცა იგი თუ იყოს წინააღმდეგომ საქმესა შინა, იგიცა შეერთებად არს მათ თანა.

ჰამინ უკუე, ხედვიდა რად დიდსა მას ზამთარსა ბოროტსა, გაიჭრებოდა და განიპებოდა გული მისი და იგურებოდა გონება მისი; მსგავსად **იონაძსა** განიწირვიდა ცხორებასა თვსსა (იონ. 4,9) და უმძიმდა იგი მსგავსად **დავითსა**. «წრა სცემდა ძილსა თუალთა მისთა, არცა პრულსა წამთა მისთა» (ფს. 131,4); თუ რადმე კორცთა მისთა განიფრადისა მის ღუაწლისაგან დარჩომილ იყო, მასცა განპლევდა ზრუნვისაგან, თუ რადმეცა პოვა წამალი, დამკნელი ბოროტისა მის, ეძიებდა საღმრთოსა შეწევნასა თანა კაცობრივსა სახესა, ყოველსავე ღონესა — განკურნებად სენისა მის და სიბნელისა, რომელი იყო ჩუენ ზედა.

43. წრთი უკუე პოვა და ფრიად კეთილი; შემოიკრიბა გონება მისი კეთილად ძალითა მით სულისა წმიდისადა და აღძრნა ყოველნივე ღონისძიებანი და სიფრთხილენი კაცობრივნიცა და საფილათოზონი და საღმრთონი და შემოიკრიბნა ყოველნი წერილნი და სიღრმენი მათნი გამოიძინა და აღწერა ყოველნივე კეთილადმორწმუნეობად და მართლმადიდებლობად.

თა წიგნნი იგი მწვალელებლთანი ძალითა სიტყუათა მისთადა უკუ-არღვნა და არარად გამოაჩინნა. თა ესრეთ მრავალნი იგი: მწვალელებლთა კრებულნი დაამკუნა, რამეთუ რომელნი კელად მისდა მოვიდნან, ორპირითა მით ლესულითა მახულითა ენისა მისისადა დააქცინის და მოსწყდნის, ხოლო რომელნი შორს იყვნან, ისრითა მით მელნისა და ქარტისადა გულნი მათნი განგურიმნის, რომელნი-იგი არარადათ უდარეს იყვნან ფიცართა მათ ჯგულისათა, არცა ერთისა ნათესავისა **ჰურიათაძსა** მასწავლელ საჭამადისათეს და სასუანადისა და მსხუერპლთა წარმავლთა და განწმედათათეს კორციელთა, არამედ ყოვლისა სოფლისა მასწავლელ იყვნეს სიტყვსათეს ჭეშმარიტებისა, რომლისაგან იქმნების ცხორებად.

ხოლო მეორედ შესძინა სიტყუასა ზედა საქმეცა (რამეთუ არცა საქმე უსიტყოა არს სრულ, არცა სიტყუა თვნიერ საქმისა). წმისთეს შესძინა საქმითცა შეწევნა: რომელთა მიმართ მივიდოდა და რომელთა მიმართ მიაგლენდა, რომელთა მიმართ ევდებოდა, ასწავლიდა, ამხილებდა, შეპრისხვიდა (2 ტიმ. 4,2), ექადოდა, აყუედრებდა, წინამბრძოლ იყო ნათესავთა, ქალაქთა, თითოეულისა.

ყოველსა ღონესა ცხორებისასა ეძიებდა, ყოვლით კერძო ჰკურნებდა. ზეი **ბესელეელ**, წმიდი-

სა მის კარვისა ხუროთმოძღვარი (გამს. 31,2), ყოველსა ნივთსა და კელოვნებასა საქმისა მის მიმართ იკმარებდა და ყოველსავე უთხზნიდა ერთისა შეუენიერებისა აღსრულებად და შენაწევრებად.

44. ჰადლა საკმარ არს სხუათა მრავალთა სიტყუათა თქუმა მისთეს, რომელთა-ესე საქმეთა გამოჩინებად ღირსად ვერ ძალ-გვც? ხოლო ვთქუათ ერთილა მისი საქმე: რამეთუ რაჟამს ამას ესევითარსა საქმესა შინა იყო. ჰოიწია კუალად ჩუენ ზედა ქრისტესმბრძოლი იგი მეფე და სარწმუნოებისა მის მართლისა გარდამაქცეველი უმეტესითა უშჯულოებითა და უფიცხლესითა მკედრებითა, რამეთუ უძლიერისადა მბრძოლისა მიმართ იყო მისი ბრძოლა მსგავსად არაწმიდისა მის სულისა და ბოროტისა, რომელი განვიდის კაცისაგან და მიმოვალნ და მერმე მოიქცის მისდავე უმრავლესთა სულთა თანა, ვითარცა სახარებასა შინა გუასმიეს (ლკ. 11,24-26). ჰი-სლა მსგავს იქმნა იგი, რადამცა პირველი იგი ძლეულებად მისი განკურნა და ძლევადა მიიღო, რამეთუ სირცხულ უწნდა, რადამცა რომელსა-იგი ყოველი ქუეყანად და შემოგარენი წარმართნი დაეპყრნეს, ერთისამცა კაცისა მიერ და ერთისა ქალაქისა ესრეთ ძლეულ იქმნა და საცინელმცა იყო არა წინამძღუართა მათ მიერ ოდენ უღმრთოებისა მისისათა, არამედ ყოველთა მიერ კაცთაო.

45. წმისთეს უკუე დადვა ცათა შინა პირი თვსი, რამეთუ გმობასა ძალად იტყოდა და ენად მისი ეთრია ქუეყანასა ზედა (ფს. 72,9), რამეთუ კეთილად განაქიქა დიდმან მან **დავით** პირველ ჩუენსა, რომელმან ცანი იგი ქუეყანად მოდრიკნა და დაბადებულთა თანა შეერაცხა ბუნება იგი დაუსაბამოდ, რომლისა დატევნადცა ვერ ძალ-უც დაბადებულთა, დადაცათუ ჩუენ თანა მოვიდა სახიერებისათეს კაცთმოყუარებისა მისისა, რადამ ჩუენ მიმიზიდნეს მისა მიმართ ქუე მდებარენი ესე.

46. ხოლო დადაცათუ დიდ იყვნეს პირველნი ბრძოლანი მისნი ჩუენდა მომართ, არამედ შემდგომნი ესე უმეტეს იქმნეს, ესე არიან: ექსორიზმანი, დევნულებანი, განქიქებანი, სიტყუათა მიერ მრავალთა დარწმუნებანი; იძულებანი, სადა-იგი არა არს რწმუნებად; განძებანი ეკლესიათაგან მართლმადიდებელთანი და შეყვანებანი მწვალელებლთანი, მეძიებელნი კელისწერილთა მათ წარწყმედისათა მწერალნი ბოროტისანი;

ხოლოთა შინა ცეცხლითა დაწუვანი ხუცესთანი, ერისთავნი უღმრთონი, არა **სპარსთა**, ანუ

ბარბაროზთა; ანუ სხუათა ვიეთმე წარმართთა მბრძოლნი, არამედ ეკლესიათა დამაქცეველნი და საკურთხეველთა შემშუსრველნი და უსისხლოთა მათ მსხუერპლთა სისხლითა კაცთათა აღმრველნი და ქალწულთა პატიოსნებისა მაგინებელნი.

ჟოლო ესე ყოველი რადსათჳს იყო? ამისთჳს, რადთამცა განიდევნა იაკობ მამამთავარი და შემოვიდამცა მის წილ ესაჲ, უწინარეს შობისავე მოძულეებული (მალ. 1,2). ჴსრეთ იევენეს საქმენი მისნი, რომელნი აწამომდე მო-რად-ვიცხენენ, ცტრემლოდ.

47. ჴინადთგან უკუე ყოველნივე ესრეთ დააქციონა, მიჰმართა მასცა ეკლესიასა, დედასა მას სხუათასა, მტკიცესა მას და შეურყეველსა, რადთამცა იგიცა დაიმონა და ნაბერწყალი იგი მართლმადიდებლობისაჲ, რომელი დარჩომილდა იყო, იგიცამცა დაავსო. ჴრამედ ესე რად ინება ქმნად, მაშინდა ცნა უძლურებაჲ თჳსი, რამეთუ ვითარცა ისარი, კლდესა ცემული, მართლ-უკუნ-იქცა და ვითარცა ღელვაჲ, ჰერულად განილია, მი-რად-ემთხვა ესევეთარსა მას წინამძღუარსა ეკლესიასა და ესრეთ შეიმუსრა ძალი მისი მის მიერ.

ჴა ყოველნი იგი საქმენი და აზოვნებანი მისნი, რომელნი მაშინ ქმნნა, ყოველთა მიერ საცნაურ არიან. ჴა ღუაწლნი მისნი: ბრძოლანი იგი და სიტყვსებანი, რისხვანი მეფისანი და მსაჯულთანი, რომელნი მიივლინებოდეს მისდა, ქადებანი იგი სატანჯველთანი, საშჯელნი იგი მთავართანი, მკედართანი, დედათა მათ ბოროტთანი და კუალად საჭურისთა მათ უკეთურთაგანცა, რომელნი-იგი დედათა თანა მამაკაც არიან და მამათა შორის — დედაკაც. ჴომელნი-იგი უშჯულოებასა ზედაოდენ აზოგან არიან, რომელთა ბუნებით შევინებაჲ ჴორციელისა სიძვისაჲ ვერ ძალ-უც, ჴოლო რომელი ძალ-უც, ენითა მით ისიძვენ.

ჴა მათ თანა კუალად ნაბუზარდან მზარაულთმთავარი, რომელი თჳსისა მის ჴელოვნებისა მახვლებითა ექადოდა და ცეცხლითა თჳსითა ზედა-მიუვიდოდა. ჴოლო მე ერთი ოდენ მისი ვთქუა, რომელსა დაღაცათუ მენებოს, თანა-ვერ წარვჰცდები, არამედ შევამოკლო, რადზომცა ძალ-მედვას.

48. ჴოლო ესე არს მოდისტოს ეპარხოზისათჳს, რომელ-იგი ფრიად ჩუენ ზედა აღდგინებულ იყო რისხვითა უფროდ სხუათამცა (რამეთუ ნათლისღებაჲცა მათ მიერ მიეღო) და ნებასა მეფისასა აღასრულებდა, რადთამცა მტკიცე იქმნა პატივი მისი.

ჴე ბორგდა ეკლესიისათჳს და მკეცებრივ

იღრჴენდა კბილთა, მკეცებრივ ზედვიდა, წინაშე მისა უკუე შეყვანებულ იქმნა აზოგანი იგი და უშიში გონებითა და უფროდსად თჳთ შევიდა, ვითარცა ღდესასწაულისა მიმართ და არა საშჯელისა წოდებული.

ჴოლო ვითარ-მე გითხრა ჯეროვნად ანუ ეპარხოზისა მის სიფიცხლე და ამჰართავენებაჲ, ანუ მისი იგი სიბრძნით წინააღდგომად მისა მიმართ? იწყო უკუე სიტყუად ეპარხოზმან რისხვით, ვითარმედ: «ვინ ხარ შენ, ბასილი (რამეთუ არცა თუ ებისკოპოს ჯერ-იჩინა წოდებაჲ მისი), რომელ ესრეთ კადნიერ ხარ შენ ესეზომთა მთავართა ამათ და მეფეთა წინააღდგომად და შენ მხოლოდ უმეტეს სხუათამცა გამორჩედი?» ჴოლო აზოგანი იგი დაწვენარებულად და აღუძრველად ეტყოდა: «რადსათჳს არს რისხვაჲ გე შენი და მკეცებრივებაჲ, მითხარ მე, რამეთუ არა უწყის!»

ჴა ეპარხოზი ეტყოდა: «რამეთუ არა აღიარებ სარწმუნოებასა მას მეფისასა, რომელსა ყოველნივე მორჩილ ექმნნეს», და ნეტარმან მან თქუა: «რამეთუ არა ესრეთ ჰნებაჲ ჩემსა მას მეუფესა, არცა დაბადებულთა თაყუანისცემად თავსვიდებ, რომელ-ესე ღმრთისა დაბადებული ვარ და ღმერთყოფად ბრძანებულ არს ჩემდა». ჴა ჴუაგი იგი და ფუდული იტყოდა, ვითარმედ: «და ჩუენ, ვითარ გგონიეთ, არა ესრეთვე ვიქმთ-ა? ანუ არა დიდ არს-ა შენდა, ჩუენ თანა თუ შეირაცხო?»

ჴა ნეტარმან მან მიუგო, ვითარმედ: «თქუენ მთავარნი ხართ და ჴელმწიფენი, და არა უფარ-ვჰყოფ, ჴოლო ღმრთისა არა უპატიოსნეს ხართ და თქუენ თანა ჴიარყოფად კეთილ არს, თუმცა მართლადმსაარებელ იევენით (რამეთუ თქუენცა ღმრთისა დაბადებულნი ხართ), არამედ აწ არა ხართ ჩუენ თანა ჴიარ, არცა ჩუენ თქუენ თანა, რამეთუ არა პირთაებრ, არამედ სარწმუნოებისაებრ იქმნების ქრისტიანობად».

49. ჴაშინ უკუე უმეტესად აღიდრა ეპარხოზი იგი და საჯდომისაგან მისისა აღდგა და იწყო უფიცხლესითა სიტყუთა მისდა ჴრახვად: «და არა გემინიანო ჩემისა ჴელმწიფებისაგან?» და უშიშმან გონებითა ჴრჴუა: «რად მიყო, ანუ რადსათჳს მეშინოდის?» და მკეცი იგი იტყოდა: «რად გიყო-ა? გიყო შენ ერთი რადმე, რომელიცა მენებოს ჩემსა ჴელმწიფებასა». ჴა დიდმან მან სულითა ჴრჴუა: «რანი არიან იგი საქმენი? მითხრენ-და!» და მან მიუგო მას, ვითარმედ: «წარტყუენებაჲ ყოველთა მონაგებთა შენთაჲ, ექსორიობად, სატანჯველნი და სიკუდილი».

ჴა ბასილი ჴრჴუა მას: «სხუად რადმე მიქადე

ბოროტი, თუ გაქუს, თუ არა, მაგათგანი არცა ერთი შემომეხების მე». ოა კუალად ეპარხოზმან მან ჰრქუა: «ვითარ, ანუ რომლითა სახითა არა შეგეხებიან?» ხოლო ნეტარმან მან მიუგო, ვითარმედ: «წარტყუენვისაგან უშიშ ვარ, რომელი-სა-ესე არარად მაქუს, გარნა ბაღნიისა ესე სამოსელი, რომელი მმოსიეს. ოა მცირედნი წიგნი, რომელთა შინა არს ყოველივე სიმდიდრე ჩემი.

ჟოლო შენ რად წარმიღო მე? ანუ ექსორობითა ვითარ მაშინებ მე, რომელი-ესე არა გარე-შემოვიწერები ერთსა ადგილსა? არცა ესე მაქუს ჩემად, სადა ვარ და კუალად ყოველივე ქუეყანად ჩემი არს, და უფროდსად ყოველივე ღმრთისად არს, რომლისა მე მსხემ ვარ და წარმაგულ, ხოლო ტანჯვად სადა იყოს, სადა კორცნი არა იპოვებოდინ, რამეთუ ჩემდა უკორცოებად ბრძანებულ არს?

ოა ესე, რომელ მმოსიან, უკუეთუ მოსწყლნე, მაღლიერ გიყო, რამეთუ მე ფრიად მნებაეს ამათი ტანჯვად. ოა მათ ზედა ოდენ გაქუს ძალი, ხოლო ჩემდა ტანჯვად ვერ ძალ-გიც, რამეთუ მე სული ვარ და სულსა ვერ შეეხები, ხოლო კორცნი არა სატკივარ არიან ჩემდა. სიკუდილი კულა კეთილ არს ჩემდა, მო-თუ-აწიო ჩემ ზედა, რამეთუ ადრე წარმგზავნოს მე სიკუდილმან ღმრთისა მიმართ, რომლისა მიერ ცხოველ ვარ და ვიყოფები და რომლისათვის მომიკუდინებიეს თავი ჩემი და რომლისა მიმართ მივისწრაფი».

50. ჟოლო ეპარხოზი ამათ სიტყუათა ზედა განკვრდა და თქუა: «არავინ დღესამომდე ესრეთ კადნიერებით ზრახულ არს ჩემდა, ვითარ ესე». ოა ნეტარმან მან ჰრქუა მას: «რამეთუ არცა მიმთხუეულ ხარ, ვითარ მე ვპგონებ, ებისკოპოსისადა, თუ არა ესე ვითართა საქმეთათვის ესრეთცამცა გეუბნა, რამეთუ ჩუენ, ეპარხოზო, სხუათა საქმეთა ზედა მშუდ ვართ და მდაბალ, რამეთუ ესრეთ ბრძანებულ არს ჩუენდა, და არა კელმწიფეთა ზედა და მეფეთა, არამედ ყოველთა უდარესთა ზედაცა არა ვმაღლოდთ.

ჟოლო სადა ვიხილოთ, თუ ღმერთი შეურაცხ იქმნების, მუნ ყოველსავე დაუტეობთ და მისა მიმართ ოდენ გხედავთ. ოა ცეცხლი და მახული და მკეცნი და სახუეტელნი კორცთანი — ესე ყოველნი საშუებელ არიან ჩუენდა უფროდსად, ვიდრედა საშინელ. ომის საქმისათვის გუაგინებდ და გუტანჯვდ, რადცა შენდა საწადელ არს, იქმოდე. ოთხარ ესე მეფესაცა, ვითარმედ: მე ვერ დამარწმუნებთ, თუმცა თქუენსა უშჯულოებასა გეწამე, ვერ რომლითა ღონითა».

51. სე ყოველი რად ესმა ეპარხოზსა და იხილა

მოუდრეკელი იგი გონებად მისი, განაგლინა იგი გარე არღარა ესრეთ რისხვით, არამედ პატივისცემით. ოა იგი მეფისა მივიდა და ჰრქუა: «ამაო არს, მეფეო, ჩუენი შრომად **ბასილის** მიმართ, რამეთუ სატანჯველთაგან კაცსა მას არა ეშინის, სიტყვთა გუძლევს, ოდესცა ინებოს, დარწმუნებად მისა ვერ ძალ-გვც და სწრაფად ჩუენი ამაო არს».

ჟოლო მეფემან თავსა თვსსა აბრაღა, რამეთუ ძლეულ იქმნა მისითა მით სათნოებითა (რამეთუ სათნოებისაგან მტერიცა შეიკდემს) და ბრძანა არღარა იძულებად მისი. ოა წარეკიდა მას საქმე იგი რკინისად, რომელი-იგი მოღბების ცეცხლისა მიერ, ხოლო ჰგიეს რკინადვე. ჴგრეთვე მან საკვრველებად შეცვალა სიფიცხლმ თვისი, ხოლო ზიარებად მართლმორწმუნეობისად არა ინება, რამეთუ ჰრცხუენოდა შეცვალებად ბოროტისაგან და ქმნად კეთილისა, არამედ ეძიებდა, რადთამცა დაგო მას.

52. ოა მივიდა იგი ეკლესიად ყოვლითურთ მკედრებით მისით (ხოლო დღე იგი იყო დღესასწაული და კრებად დიდი) და შევიდა რად შინაგან, და იხილა გალობად იგი და სიმრავლმ ერისად მის და წესიერებად იგი საკურთხეველსა ზედა მდგომარეთად და გარეშე საკურთხეველისა, რომელი ანგელოზთა წესისა მსგავს იყო უფროდს, ვიდრედა კაცთადსა.

ოა ნეტარი იგი დგა წინაშე საკურთხეველისა მართლად (1 მეფ. 19,20), მოუდრეკელი გუამითაცა და გონებითა და პირითა, ვითარმცა არარად ახლად ქმნილ იყო, ესრეთ ყოლადვე არა მიხედა მას, არამედ შემშტუალულ იყო ღმრთისადა და საკურთხეველისა, რადთა ესრეთ ვთქუა, ხოლო გარემო მისა მდგომარენი დგეს შიშით და პატიოსნებით.

წინადთგან უკუე ესე ყოველი იხილა მეფემან, დაუკვრდა ფრიად, რამეთუ ვერარას საქმესა მიაშგავსებდა საქმესა მას. ჭაშინ უკუე შესაწირავი, რომელი მოედო, აღიღო თვთ და შეიღო საკურთხეველად და არავის მისცა სხუასა, არამედ თვთ აღიღო, რამეთუ არა ჰგონებდა, თუმცა შეიწყნარა იგი ნეტარმან მან.

ჭაშინ უკუე დაუბნელდეს მას თუალნი და გონებად და უკუეთუმცა არა ეცნა ნეტარსა მას და ებრძანა დამჭირვად მისი, კინილა და და-მცაცემულ იყო.

53. ჟოლო სიბრძნისა მისთვის, რომლითა ეუბნა მეფესა, რად ვთქუა (რამეთუ ვინადთგან შემდგომად აღსრულებისა ჟამისწირვისა დასხდეს ერთად), თუ ვითარ ეტყოდა? რამეთუ სხუასამცა

რასა ეტყოდა, გარნა სიტყუათა ღმრთისათა, რომელნი გუესმნეს ჩუენცა, მუნ მყოფთა, და მეფესა და მისთანათა მათ? ესე იქმნა მეფისა ჩუენდა მომართ დამშჯდებისა დასაბამი და ესრეთ შფოთი იგი მის ჟამისად დაიჯნა.

54. **ხოლო** კუალად შემდგომად ამისა განაფიცხეს გონებად იგი მეფისად უკეთურთა მათ წინამძღუართა წვალებისათა და აღიწერა ნეტარისა მისთჳს ექსორიობად, და განეშადა საქმშ ესე, რომელ არღარა იყო ნაკლულევან. შუა იყო ყოველივე: იტყუელვიდეს ცელთა მტერნი ჩუენნი, იგლოვდეს მორწმუნენი და ჩუენ ვიყვენით უშიშსა მას თანა სულითა.

სრამედ დაჰჯნა იგი ღმერთმან. **ჩამეთუ** რომელმან მოსრნა **ჯგუტისა** პირშონი (გამს. 12,29), მანვე მოაწია ძესა ზედა მეფისასა წყლულებად სნეულებისად მოსწრაფებით. **ჩამეთუ** ერთ კერძო იწერებოდა წიგნი ექსორიობისად, და მეორესა კერძოსა გამოჰდა ბრძანებად სნეულებისად. **თა** ცელი შეპყრობილ იქმნა ბოროტისა მის მწიგნობრისად და წმიდად იგი დაყენებულ იქმნა საქმისა მისგან.

თა იქმნა თავქედისა ნიჭ კაცი იგი ღმრთისად, რომელი-იგი დაამდაბლებდა მეფესა მას ამპარტაუნსა. **შილეთ** მოსწრაფებდა იგი საქმისად მის: მერმე უკუე ბოროტსა შინა იყო ყრმად იგი და განძნდებოდა სენი მისი და ელმოდა მამასა მისსა და ყოვლით კერძო ეძიებდა შეწევნასა და მკურნალთა შემოჰკრებდა, ქუეყანად დაჟარდებოდა, რამეთუ მეფეთაცა დაამდაბლებს განსაცდელი და არა საკრველ არს, რამეთუ **დავითსაცა** ძლიერად ელმოდა შვილისათჳს (2 მეფ. 12,16).

ხოლო ვითარცა ვერ სადადთ პოვა კურნებად, სარწმუნოებისა მიმართ: მიივლტოდა ნეტარისა მის და არა თავისა თჳსისა მიერ ევედრა, რამეთუ პრცხუენოდა შეურაცხებისა მისგან, რომელი მოაწია მის ზედა, არამედ სხუანი მთავარნი წარავლინნა მეოხებად. **თა** იგი მივიდა და მისლვითა ოდენ განქარდა სენი იგი ყრმისად, და იხარებდა მამად მისი, და უკუეთუმცა არა შეეზავა მარილოანი იგი ტკბილსა მას თანა წყალსა.

სე იგი არს, რამეთუ შემდგომად განმრთელებისა ყრმისა მის მწვალებელთად პრწმენა. **თა** უკუეთუმცა არა ესრეთ ექმნა, სრულიადმცა განკურნებული მიცემულ იყო მისდა ძმ მისი; არამედ ირწმუნა რად კუალად მაცთურთად მათ, ამისთჳს მეფსა შინა მოკუდა ყრმად იგი. **თა** ამას ყოველნივე წამებენ, რომელნი მუნ იყვნეს.

55. **სერეთვე** უკუე ეპარხოზი იგი შემდგომად მცირედისა შეპყრობილ იქმნა სენითა მძიმითა

და მოდრკა იგიცა წინაშე წმიდისა მის, რამეთუ სიკუდილად მიეახლა, და ცრემლოდა წინაშე მისსა. **სვედრებოდა** მას და შეუვრდებოდა და ითხოვდა ცხორებასა. **თა** პოვაცა ცხორებად, ვითარცა თუთ იგი აღიარებდა უკუანადსკნელ და დაუცხრომელად უკვრდა დიდებულებად მისი და ყოველთა მიუთხრობდა.

ხოლო იხილეთ. **ჩუუკუე** ამათ მიმართ ესრეთ ყო ბრძოლად თჳსი და სხუათა მიმართ არა ესრეთ ყო-ა? ანუ არა სიბრძნით, ანუ ღირსად დადუმებისა? ნუ იყოფინ! არამედ რომელმან აღძრა **ისრაელსა** ზედა ოდესმე **ადერ** უკეთური (3 მეფ. 11,14), მანვე აღძრა ამას ზედა **პონტოელი** იგი ეპარხოზი, რომელმან მიხეზად შემოიღო დელაკაცი ვინმე, **ხოლო** ყოველი სწრაფად მისი იყო შეწევნისათჳს მწვალებელთადსა.

თა დაუტევნე სხუად იგი ბოროტებანი მისნი, ვითარ აგინებდა ნეტარსა მას და უფროდსად, ვთქუა, ვითარმედ ღმერთსა, რომლისათჳს და რომლისა მიმართ იყო ბრძოლად მისი, **ხოლო** რომლისა მიერ იგი სირცხულეულ იქმნა და ნეტარი ესე — დიდებულ, იგი ვთქუა.

56. **თედაკაცი** ვინმე იყო მდიდარი, ქურივი არა მრავლით ჟამითგან, მას აიძულებდა ეპარხოზი იგი ქორწინებად, **ხოლო** მას არა უნდა და ეძიებდა ღონესა განრომად მძლავრებისა მისგან. **თა** მოიპოვა ღონე არა კადნიერი, არამედ კეთილი, რამეთუ წმიდად საკურთხეველად შევიდა და ღმერთი მოიგო შესავედრებულად.

ჩა უკუე ჯერ-იყო ყოფად, საჯეთ თქუენ, **შ** სამებისა მონანო. **სრა ბასილისთჳს** ოდენ, დიდისა მის და ყოველთა შჯულისმდებელისა, არამედ სხვსაცა მდდელისა ყოვლისავე, არა ჯერ-იყო-ა ცელის აპყრობად მისი და დაცვად კაცთმოყუარებითა ღმრთისადთა და შჯულისთა მით, რომელი ბრძანებს პატვიცისცემად საკურთხეველთა და მისთჳს თავსდებად ყოვლისა ბოროტისა, ვიდრელა განცემად მისი და შეურაცხყოფად საკურთხეველისად და სარწმუნოებისა მის ჩუენისად?

სრამედ ამაოფსა იგი მსაჯული იტყვს, ვითარმედ: «არაო, არამედ ჯერ-არს, რადთა იძლიენ ყოველნი ცელმწიფებისა მიერ ჩემისა და რადთა იქმნენ ქრისტიანენი განმცემელ თჳსისა შჯულისა». **თა** ამისთჳს ითხოვდა იგი დელაკაცსა მას. **ხოლო** დიდი **ბასილი** წინა-აღუდგებოდა ძლიერად. **თა** იგი ბოროდა და უკუანადსკნელ წარავლინნა ვიეთნიმე გამოძიებად სენაკსა მისსა გულისსიტყუთა უჯეროებისადთა.

ჩასა იტყვ შენ, ეჰა დაბნელებულ და ვე-

ლურო? სენაკსა მისსა ეძიებ-ა ბოროტისათჳს, რომელი-იგი გარე-შეუცავს ანგელოზთა, რომელსა მიხედვადცა ეშინის დედათა? და არა ესე ოდენ, არამედ თვთ მისიცა წარდგომად წინაშე მისა ბრძანა არა პატივითა, არამედ ვითარცა ერთი დასაშჯელთაგანი.

თა წარდგა იგი წინაშე მისსა, ვითარცა ჩემი იესუ წინაშე **პილატესა**. თა იგი ჯდა საგსე ზუაობითა და ამპარტავნებითა. თა მეზისტებანი არა მოიწეოდეს და მახული ღმრთისად ილესვოდა, არამედ არა მოივლინებოდა და მშჯლდსა გარდაეცემოდა და არა გამოვიდოდა ისარი (ფს. 7,13), რამეთუ სინანულსა ელოდა, რომელი-იგი არს შჯული ღმრთისად.

57. **ხოლო იგი სამკართა მისთა აღმარცუვასა** ბრძანებდა, და ნეტარი იგი იტყოდა, ვითარმედ: «გნებავს თუ, მიგცე სამოსელიცა»; ცემასა ექადოდა, ზოლო იგი იცინოდა, ზუეტასა გუერდთასა უთქუმიდა, და იგი ეტყოდა, ვითარმედ: «ღკძლი-სა კურნება არს გეგ და არა ტკივილ».

ხოლო იგინი რად ამას შინა იყვნეს, ცნა ესე ერ-მან მან ქალაქისამან და ზიარი იგი ყოველთაგვე ბოროტი ვერ თავს-იდევს. **სღეგზნეს** რისხვითა და აღიძრნეს ვითარცა კუამლისა მიერ ფუტკარნი. **წოველნივე** აღდგეს და აღიღეს საჭურველები, რადცა თითოეულსა ეპოვა, მკედარნი და ერნი კუერთხებითა, ლოდებითა და მახვლებითა.

ქმნეს კმად დიდი და მირბიოდეს ყოველნი ზოგად. **სრცა** თუ დედანი დაშთეს, არამედ მათცა აღიღეს, თითოეულმან რადცა პოვა. **წოველნი** შეერთა შეიწუნეს და მიუკდეს მთავარსა მას ზედა ბოროტსა, ენება ასოეულად შემუსრვად მისი. თა იგი იყო მათ შორის პატიოსან, რომელმანცა პირველად მიყო კელი მის ზედა.

ჭაშინ უკუე ამპარტავანი იგი დამდაბლდა. **ჩისა** არა უსაწყალობელეს იყო? ვიდრემდის გამოვიდა თვნიერ სისხლისა მოწამე იგი და თვნიერ წყლულებათა გკრგვროსანი და იძულებით დააყენა ერი იგი და მაგინებელი იგი იკსნა.

სრეთ იქმს ღმერთი საკვრველებათა, რომელი შესცვალეს ყოველსავე წამისყოფითა მისითა (ამოს. 5,8), რომელი ამპარტავნთა წინააღუდგების და მდაბალთა მოსცემს მადლსა (იგ. 3,34), და ვითარმცა არა ისწრაფა მან, რომელმან-იგი ზღუდა განაპო და მდინარწ უკუნაქცია და მზწ და მთოვარწ დააყენა და აღჰყოფითა კელთადთა ძლევა მისცა ერისა მისთჳს ღტოლვილისა, რადთა ესეცა იკსნას მისთჳს ყოველსავე შინა ჭირსა მოხარული?

58. **სქა უკუე** დასრულდა ბრძოლად იგი სოფლიოდ ნებითა ღმრთისადთა და ყოველნივე იძლინეს სათნოებითა მისითა. **ხოლო** ამიერ იწყო ბრძოლამან მან ებისკოპოსთამან, რომელთად ფრიადი იყო უშუერებად და უმრავლესი – ენებად ერისად, რამეთუ ვითარმცა იყვნეს ერნი, რაჟამს წინამძღუარნი ბოროტად იყოფებოდინ? რამეთუ იგინი პირველთაგანე არა კეთილად იყვნეს მისა მიმართ სამისა მიზეზისათჳს: **ჩამეთუ** სარწმუნოებისა მის და ბოროტად მოძღურებისა მათისა მბრძოლ იყო ესე, და რამეთუ არა უნდა ამას სულმოკლება იგი კურთხევისად, ვითარ იგინი იყვნეს, და კუალად, რომელი სათნოებად ამისი ფრიადსა დიდებასა მოატყუებდა მას. **თა** ესე იყო მათთჳს მძიმე შურისათჳს მათისა, და კუალად, რამეთუ ქუეყანად იგი ჩუენი **კაბადუკიად** ორად საერისთვოდ და ორად საკათალიკოზოდ განიყო, რომელი მუნამდის ერთ ყოფილ იყო.

თა ახალი იგი კათალიკოზი ისწრაფდა, რადთამცა მიიხუეჭა ყოველივე.

59. **ხოლო** ნეტარი იგი ეკლესიისა თჳსისა და-ცხნასა არა თავს-იდებდა შურითა საღმრთოდთა და ინება უმრავლესთა ებისკოპოსთა დადგინებად ქუეყანასა მას შინა და დაჭირვებად იგი უმეტესობად ქმნა. **თა** ამის მიერ იქმნა სამი კეთილი საქმწ: **ღუწოლად** სულთა უმრავლესთად. **თა** თითოეულსა ქალაქსა თჳსი მწყემსი აქუნდეს და რადთა შფოთი იგი დადცხნას.

სმას საქმესა შინა მეცა შთავარდი და არა უწყი, თუ რად ვთქუა, რამეთუ რომელსა-ესე ყოველივე საქმწ მისი საკვრველად მაქუს, ვითარცა სხვსა არავისი, ამას ზედა ვაქებ (რამეთუ ჯერ-არს აღსაარებად ენებისად), რომლისათჳს ჯერეთ მწუხარე ვარ, რამეთუ მიერთგან მოიწია ესე ჩემ ზედა ყოველი უწესობად და ვერდარა დაყუდებად.

სარნა ესრეთ ვიტყვ, ვითარმედ იგი უზეშთაეს კაცთა გონებისა გულის კმა-ჰყოფდა და უწინარეს ამიერ განსლვისა განსრულ იყო სოფლით და იქმოდა ყოველსავე, ვითარცა სულსა წმიდასა ენება, რომელმან იცოდა მეგობრობისა პატივისცემად მუნამდე, სადამცა ღმრთისა ჯერ იყო უმეტესად პატივისცემად და დაკსნილისა მის ყოფადიმცა უმეტეს იყო.

60. **ხოლო** მეშინის მე ამას ყოველსა ზედა, ნუ-უკუე ვეველთოდი უდებებისა ბრალთა მათგან, რომელნი ითხოვენ თქუმად ყოველთა საქმეთა მისთა, და შთავარდე უზომოებასა შინა სიტყუათასა, რამეთუ ზომითი ყოველივე მის მიერცა საყუარელ იყო.

ჰოლო მე ორკერძოვე ზომით ვქმნა საქმე. ორცა ფრიად უნდო და მოკლე ვყო სიტყუად ჩემი, არცა კუალად უზომოდ გრძელ, რადთა არა საწყინო იყოს.

ჩამეთუ მრავალნი საკრველებანი მისნი სხუათა მიერცა აღწერილ არიან უწინარეს ჩემსა, ვითარ: «განკურნება იგი განრღუეულისა მის ანასტასის ზუცისად», «ვსნად (ჩუენ მიერცა თქუმულისა მის) ეშმაკთა მიცემულისა ჭაბუკისად», «მოქცევა იოსებ ჰურიისად», «აჲცოცად ცოდვით მათ დედაკაცისათად», «განხუმად კართა მათ ეკლესიისათად ნიკიას შინა ქალაქსა», რომელი-იგი მისცა მეფემან მან ქრისტესმბრძოლმან მწვალებელთა. ოა მერმე, მი-რად-ივლინა ნეტარი ესე შჯად მათ შორის და უბრძანა დაკლიტვად კართა და არიანოზთა ლოცვად სამ დღე. ოა განთუ-ქზუნენ კარნი, დაჰყოზად მათდა ეკლესიისა.

ოა ესრეთ ილოცეს რად სამ დღე და სამ ღამე, არა განელო მათ კარი. ოა ვითარცა განულო მათ ტაძარმან მან კარი, რომელთა-იგი ესრეთ შეურაცხვეს დიდებად მისი? ზოლო ამან ნეტარმან მორწმუნით ერითურთ ათია რად ღამე და მივიდა განთიად ეკლესიად და აკურთხა ღმერთი დიდებისად, მაშინ შეიმუხსრნეს კლიტენი და მოქლონნი, დაეცნეს ბჭენი კედელსა, ვითარცა ქარისა მიერ სასტიკისა. ოა მისცა ეკლესიად ესრეთ მართლმორწმუნეთა. სარნა მე, ვითარცა ვთქუ, სხუათა მიერ თქუმულთა ამათ და აღწერილთა თანა-წარვჰვდე და ესრეთ შემოკლებულად ვთქუა.

ოითარმედ სხუათა სხუად სათნოებად წარუმართებიეს და სხუათა — სხუად. ჰოლო თუმცა ერთმან ყოველნივე სათნოებანი თავსა შორის თვსსა შემოიკრიბნა, ესე ძნიად საპოვნელ არს შორის კაცთა, არამედ დიდად გუაქუს იგი, რომელსა რაჲდენნიმე მოეგნენ.

ჰოლო ესე ყოველთავე ესრეთ მიიწია, რომელ სამკაულ იქმნა ბუნებისა ჩუენისა, და ესრეთ გულისკმა-ვყოთ ესე, უკუეთუ ვინ აქებდეს უპოვარებასა და უქონელობით ცხობებასა, იხილენ, თუ მის თანა რად იყო, გარნა ჴორცნი ოდენ და საჭირონი იგი საბურველნი ჴორცთანი.

ოა სიმდიდრე მისი იყო არარადსა ქონებად და ჯუარი, რომლისა მიმართ ცხოველ იყო, რომელი-იგი უპატიოსნეს ყოვლისა სოფლისა საფასეთასა აქუნდა, რომელთა ყოველთავე ერთისა მიერ მოგებად შეუძლებელ არს, ზოლო შეურაცხოთ-ვინმე-ყოს იგი, მაშინ დაუჰყრიეს ყოველივე, რამეთუ უზემთაეს მათსა არს.

ოა ესრეთ რად იყო, არა კაცთა საჩუენებელად იყო ესრეთ, არცა შორის უბანთა ჴურსა შინა იყოფოდა, არამედ ღმრთისათჳს იყო გლახაკი, და ყოველივე მონაგები, რომელი აქუნდა, ფრიადი განაჩინა და ესრეთ სუბუქად ვიდოდა ზღუასა მას შინა ამის ცხობებისასა.

61. ჰოლო მარხვად კეთილვე არს და საკრველ და არა მონებად გულისთქუმათად და მწარისა მის დედოფლისად, რომელ არს მუცელი. ოა ვინ იყო უკუე უფროდ მისსა უშუებელ და, რადთა უჭეშმარიტესად ვთქუა, უჴორცო? რამეთუ გულისთქუამანი და მუცლისა აღმოვსებანი და ვსნილთა დაუტევნა და რომელთა ცხობებად მონა არს სოფლისა და ქუე დადრეკილ, და მას არა რად შეერაცხა დიდად მათგანი, რომელნი-იგი შემდგომად წარსლვისა სწორ არიან.

ორამედ იზარდებოდა პურითა და წყლითა და საშუებელად აქუნდა არა შუებად, არამედ ზედვიდა მფრინველთა ცისათა და შროშანთა ველი-სათა, რომელთა საზრდელი მზა არს და სიკეთე ბუნებით (მთ. 6,26-28), სიტყვსაებრ ჩემისა ქრისტესა, რომელი ჩუენთჳს დაგლახაკნა, რადთა ჩუენ განვმდიდრდეთ ღმრთეებითა.

ომისთჳს იყო მისდა ერთი სამოსელი და სამკარნი და მარადის კმელსა ზედა წოლად და მღვძარებად უზემთაესი ბუნებისად და უბანელობად, მისნი იგი საშუებელნი და დიდი სანუგეარი მარილი პურსა თანა, ახალი ესე სანოუაგე და სასუმელი უშურველი და არადამათრობელი, რომელსა აღმოაცენებენ წყარონი უჭირველად, ამას ყოველსა თანა საგლახაკონი და სასხეულონი — ზოგადი იგი საქმე ჩუენი, რომელი-ესე ამას ზედა მის თანა ზიარ ვიყავ, დაღაცათუ სხუად არარად მაქუს მისთა კეთილთაგანი.

62. ოიდ არს კუალად ქალწულებად და უჴორწინებელობად და ანგელოზთა თანა შერაცხვად, რამეთუ მეშინის თქუმად, თუ ქრისტეს თანა, რომელმან-იგი სათნო იყო რად ჩუენთჳს შობად, ქალწულისაგან იშვა, რადთა გუასწავოს ქალწულებად, ვითარცა ამიერ მიმცვალებელი და საუკუნოდ მიმყვანებელი. ოინ უკუე უფროდ მისსა ანუ პატოე-სცა ქალწულებასა, ანუ აღასრულა საქმით, არა თვსითა ოდენ ჴორციოთა, არამედ სხუათა მათ მიერ საქმეთაცა მისთა?

ჩამეთუ ვისნი ნაქმარნი არიან ქალწულთა შესაკრებელნი ესე და აღწერილნი იგი ქალწულებისათჳს სწავლანი? რომელთა მიერ ყოველთავე საცნობელთა წმიდა-ჰყოფდა და ყოველთავე ასოთა სიწმიდითა შეჰბეჭდვიდა და ქალწულებად

სა ასწავებდა და ყოველსავე შუენიერებასა სულსა ზედა მიაწევდა და კორცთაგან აღსძარცუვიდა და გარეშესა მას დააჭნობდა, რადთა ესრეთ ნივთი აღსა მას არა აქუნდეს.

ხოლო შინაგანსა ღმერთსა უჩუენებდა, რომელი-იგი მხოლოდ არს წმიდათა მათ სულთა სიძმ, და მღვდარეთა მათ სულთა თავისა თვისისა თანა შეიყვანებს. მკუეთუ ბრწყინვალეთა ლამპრებითა და ზეთისა უნაკლულებითა შეემთხვნენ მას. ზინადთგან უკუე მონაზონებისა წესი არა კეთილად იყო, არამედ რომელნიმე დაყუდებულ იყვნეს და უზრუნველ, ხოლო არა აღუზუავენელ და მდაბალ, არცა გამოცდილ იყო სათნოებად მათი.

თა რომელნიმე მეცნიერ იყვნეს და გულისკმისმოყვარე, არამედ არა დაწყნარებულ; ესენი კეთილად შეზავნა და მონასტერნი აღაშენნა და მახლობელად სადაყუდებულონი, რადთა არცა იგინი უგულისკმო იყვნენ, არცა ესენი — დაუწყნარებულ, არამედ ვითარცა ქუეყანად და ზღუად, ესრეთ ურთიერთს მიმცემელ კეთილისა იყვნენ და ერთად დიდებად ღმერთისა შემოკრებოდნენ.

63. ზუალად გლახაკთმოწყალებად და კაცთმოყუარებად იხილეთ, ვითარ კეთილ არს და გელისაპყრობად უძლურებასა კაცთასა, მცირედ უკუე ქალაქისაგან განვედ და იხილე ახალი იგი ქალაქი, საუნჯე იგი ღმერთისმსახურებისად, ზოგადი იგი ყოველთა ნამარხევი, რომელსა შინა ნამეტნაენი იგი სიმიდრისანი მისითა სწავლითა დაიმარხვიან, რადთა უშიშ იყვნენ მდილთაგან და მპარავთა, შურისაგან და შეცვალებისაგან ჟამთადასა, სადა-იგი სენისა მოთმინებად იხილვების და განსაცდელი სანატრელ იქმნების და მოწყალებად გამოჩნდების.

სად საკმარ არიან ამას საქმესა თანა შუდბჭმ იგი თუბადდა და ზღუდენი ბაბილონისანი და მავსოლომს კარიკელისა საფლავი და პირამიდნი, ანუ სიმაღლენი ტაძართანი და სიდიდენი და სიკეთენი, ანუ სხუად რადმე, რომელი საკვრველ არს წინაშე კაცთა და აღიწერების მათ მიერ, რომელნი არასადა სარგებელ ექმნენს მოქმედთა მათთა, გარნა მისცეს მცირედი რადმე და უნდოდ დიდებად?

ხოლო ჩემდა საკვრველ არს მოკლე იგი ცხოვრებისა გზად, ადვილი იგი ზეცად აღსავალი. წრდარა სხენან წინაშე თუალთა ჩუენთა ხილვანი საწყალობელნი კაცნი, უწინარეს სიკუდილისა მკუდარნი, უმეტესითა ნაწილითა კორცთადათა აღსრულებულნი, განსხმულნი ქალაქთაგან,

სახლთაგან და უბანთა, საყუარელთაგანცა მათთა სახელითა ვიდრე ხილვითა საცნაურნი.

წრთბამად მდებარენი, არდარა საწყალობელნი, არამედ საძულველნი, მოკლებულნი, სიტყვთა რასა ვიტყვ, ყოველსავე ჭირსა მას, რომელსა სიტყუად ვერ იტყვს. წარნა ამან მხოლომან ასწავა კაცთა არაშეურაცხყოფად კაცთად, არცა შეურაცხყოფად ქრისტესა, ერთისა მის ყოველთა თავისა, უწყალობისა მიერ სხუათადასა, არამედ რადთა სხვსა განსაცდელთა მიერ თავთა თვსთა ჰკურნებდენ და ავასხებდენ ღმერთსა წყალობასა, რომელთა-იგი უკმს წყალობად.

წმისთვსცა არცა ბაგითა თვსითა უღირს უჩინდა პატივისცემად სენისა მის დიდებულსა მას და დიდებულთაგანსა და დიდებითა ბრწყინვალესა. წრამედ ვითარცა ძმათა თვსთა, ესრეთ ამბორს-უყოფდა მათ, რადთა სიმიდაბლესა თვსი აჩუენოს და კურნებად მისცეს მათ თვსითა მიახლებითა, რომელი-იგი მარადის სწავლა იყო, იტყვნ თუ გინა თუ დუმნ, და ყოველთა შური შთაუგდო გლახაკთა მოწყალებისად.

ჩამეთუ სხუანი იშუებდეს ტაბლათა ზედა ბრწყინვალეთა და მრავალსანოვანეთა და მზარელთა მრავალღონეობასა და სარეცელთა ზედა ოქროლესულთა და სამოსელთა სიკეთესა, ხოლო ბასილის შუებად იყო მსახურებად სნეულთად და კურნებად წყლულებათა მათთად და მიმსგავსებად ქრისტესი, რომელი არა სიტყვთ, არამედ საქმით განსწმედდა კეთროვნებასა.

64. წმას ყოველსა ზედა რად გურქუან ჩუენ მათ, რომელნი-იგი ზუაობასა სწამებენ მას მწარენი იგი მსაჯულნი ესევიტართა მათ საქმეთანი, რომელნი მრუდთა მართალსა თანა შეასწორებენ? რამეთუ ეგებისა კეთროვნათა და განრღუეულთა თანა ესრეთ დამდაბლებად, ხოლო მრთელთა თანა ზუაობად? და განლევად კორცთად მარხვითა, ხოლო სულისა ზრქელობად ზუაობითა? და უწყებად ფარისეველისა მის სიმაღლისა მიერ დამდაბლებისა და ქრისტეს ქადაგებად, მონათა თანა მოსრულისად და მეზუერეთა თანა დაჯდომილისად და მოწაფეთა ფერკთა დამბანელისად და ჯუარცუმულისად, რადთა ჯუარს-აცუას ცოდვად ჩემი?

(რამეთუ რადმცა იყო ამისა უსაკვრველეს? ღმერთისა ჯუარსა ზედა ხილვად და იგიცა შორის ავაზაკთა, რომელსა ყოველნი იგი თანაწარმაგალნი ეცინოდიდედ, რომელი-იგი უზემთაეს არს და შეუხებელ ყოვლისა ვნებისაგან) და რომელი ამას ქადაგებდეს, შესაძლებელ არს-ა, რადთამცა იგი

მზუოზოზო იყო, ვითოზ-იგი ჰგონებენ მოშოშონენი მისნი?

სრამედ ესრეთ ვჰგონებ, ვითარმედ სახისა მისისა დაწენარებულებასა და წესიერებასა და სიმტკიცესა ზუოზოდ სახელ-სდვეს. ღოლო მათ მჰენესაცა ამპარტჳანად უწოდონ სადმე და განკრძალულსა — მოშიშად და დავუდებულსა — კაცთმოძულედ და მართალსა — უწყალოდ.

ჩამეთუ სათნოებანი მახლობელ ვნებათასა არიან. ოა რომელი არა სწავლულ და მეცნიერ იყოს, მრავალგზის შეჰრაცხის მან ბოროტი კეთილად და კეთილი ბოროტად. ჭო არა, ვინ სადა უფროდ მისსა ანუ სათნოებასა პატე-სცა? ანუ უკეთურებად ტანჯა და იოტა? ანუ ტკბილ იქმნა კეთილთა მიმართ, ანუ უშჯულოთა მიმართ მკსინგარე? სადა ჯერ-არნ, რომლისა ღიმილიცა თუ სადა იქმნის, საქებელ არნ და ღუმილი მხილება მრავალთა ბოროტისა იქმნის მხილებითა გონებისადთა?

ღკუეთუ კულა არა მრავალმეტყუელ იყო ამოვებით, არცა მოცინარ და განმცხრომელ და ყოველთა წინაშე მაჩუენებელ კადნიერებისა მიერ. ჩად არს ესე? არა საქებელ არს-ა უფროდ, ვიდრედა საბრალბელ, უკუეთუ ვის გონებად აქუნდეს? ანუ ღომსაცა აბრალოს ვინ, რამეთუ არა ციდამტკაულურად ხედავს, არამედ უშიშებით და მეუფებით, რომლისა კრთომადცა აზონება არს და საკრველებით საყუარელ.

სნუ მსახიობელთა მათ და ზუმართა ვინ აქებდეს-ა, რომელ აცინებენ მრავალთა? დაღაცათუ ესე მოვიძიოთ მის თანა, ვინ იყო ესრეთ ტკბილ უბნობასა შინა, ვითარცა მე უწყი, რომელ-ესე უფროდ ყოველთასა მეცნიერ ვარ მისდა? ვინ არს უფროდ მისა სახარულევან მეტყუელებით? ანუ ვინ არს მამხილებელ ესრეთ სიბრძნით და შემრისხველ ჯეროვნად? რადთა არცა შერისხვად განმწირველ იყოს, არცა სიტკობებად დამჰსნელ, არამედ ორკერძოვე უზომოებისაგან შორს ყოფად და ორისავე წესიერებისაებრ და ჟამისა ჰმარებად, ვითარცა სოლომონ იტყვს, ყოვლისა საქმისა ჟამსა (ეკლ. 3,1).

65. სრამედ რად არს ესე ყოველი სიტყუათა მისთა სიმტკიცესა და ძალსა თანა და სწავლისა მისისა ბრწყინვალეებასა, რომელმან ყოველი სოფელი მოიძოწათ? ჯერეთ ჩუენ ქუე ძირსა თანა მთისასა ვიქცევით საქმეთა მისთასა და თავისაგან ფრიად ვშორავთ სიტყუთა ამით ჩუენითა. ჯერეთ მცირესა წყაროსა წიაღ-ვალთ მისთა დიდებულებათასა და დიდი იგი ზღუად და უფსკრული დაგუტეობიეს.

ჩამეთუ არა უწყი, თუ რასა მივამსგავსო ჰმად მისი, გარნა თუ სადა ყოფილ არს, ანუ იქმნას ნესტუ, რომლისა ჰმად ჰაერთა განჰგლიდეს და ზეცად მიიწეოდის. სინა თუ ჰმად ღმრთისად, დამჰყრობელი ყოვლისა სოფლისად, ანუ ძრვად სასტიკი საფუძველთა ყოვლისა ქუეყანისათად, იგი იყოს ჰმად მისი. სრეთ დაგუტევნა ყოველნი ქუე და წარგუტდა, რადომ ჩუენ — ბუნებასა პირუტყუთასა.

10 ჩამეთუ ვინ წმიდა ყო ესრეთ თავი თვსი შემწენარებელად სულისა წმიდისა და ღირსად მეტყუელებად საქმეთა მათ ღმრთისათა? ანუ ვინ განათლდა უფროდ მისა ნათლითა მეცნიერებისადთა და შთადხედნა სიღრმეთა მათ სულისა წმიდისათა და ღმრთისა მიერ საქმენი იგი ღმრთისანი გამოიძინა? ანუ ვინ მოიგო სიტყუად, ესრეთ კეთილად გამომთარგმანებელი მიწთომილთად მათ, რადთა არცა ერთითა ნაკლულევან იყოს, რადთამცა ანუ გონებად აქუნდა და არა შემკობილი სიტყუთა, ანუ სიტყუად არავგონიერი?

სრამედ ორკერძოვე შუენიერ იყო და თვთვე ოდენ სწორი და მსგავსი თავისა თვსისად და ჰუმარიტად სრული, რამეთუ ყოველსავე გამოვიძებს სული წმიდად სიღრმესა ღმრთისასა (1კორ. 2,10), ვითარცა იტყვს წერილი, არათუ, რამეთუ არა უწყის, არამედ რამეთუ ბუნებით იქცევის და იშუებს მათ შინა. ღოლო მან გამოიძია სიღრმე იგი სულისა წმიდისად, რადომი-იგი მან მოანიჭა ღიდად და უფროდ სხუათადსა, რომლისა მიერ ყოველი წესი შემკობილ და კეთილ იყო. ოა ყოველთა მაღალი იგი გულისკმისყოფად ასწავა და სოფლისა ამისგან განიყვანნა და საუკუნოდ მიცვალნა.

66. სითარცა-იგი დავითის მიერ იქების მზისა სიკეთს და სიდიდს, მაღიად სლვად და ძალი, რომელი ბრწყინავს, ვითარცა სიმს, ძლიერ არს, ვითარცა გმირი (ფს. 18,5-6), რომელი ყოველსავე ადგილსა სწორად არს და არა მოაკლებს სიშორითა მით ნათელსა და სიტყოსა. ღოლო ამისი სიკეთს სათნოებად არს და სიდიდს — ღმრთისმეტყუელებად და სრბად — სამარადისო იგი სლვად გონებისა მისისად და ღმრთისა აღმაღლებად და ძალ მისდა — თესვად იგი და განყოფად სიტყვსად.

ოა მე ამისა თქუმად მისთვს არა უდებ ვიქმნე. სითარმედ ყოველსა ქუეყანასა განჰდა ჰმად მისი და კიდეთა სოფლისათა — სიტყუათა მისთა ძალი (რომ. 10,18). სომელი-ესე მოციქულთათვს ჰაგლე თქუა დავითის (ფს. 18,4) მიერ მოღებითა. ჩამეთუ ღღეს ვინ, ანუ რად არს სხუად კრებათა სიხარული და არა იგი? ანუ ვინ არს ტაბლათა

სანოვანა, ანუ უბანთა ზედა საშუებელ?

ჴინ არს დღეს ეკლესიათა განმარტვინებელ, ანუ მგალობელთა საგალობელ, ანუ მონაზონთა მხიარულება, გინათუ ერისკაცთა სადიდებელ? ვინ არს მართოდ მყოფთა დღეს ნუგეშინისმცემელ, ანუ სიმრავლისა საქებელ? ვინ არს მდიდართაცა და გლახაკთა სიხარულ? ვინ არს აჴ პირთა შინა გარეგანთაცა ფილაფოზთასა და ჩუენთასაცა? ერთად არს ყოველთა ზედა და ყოველთა შორის დიდება და საქებელ მისნი თქუმულნი და წერ-
ილნი და ნამუშავენი იგი მისისა გონებისანი.

სრცა მწიგნობართად არს სხუად რამე სიმ-
დიდრს და დიდებად, გარნა მისნი ებისტოლენი. ოა დადუმებულ არს ძუელი ყოველივე, რად-
ცა ვის აღწერასა შინა სწავლათა და წიგნთასა უშრომიეს. ჴოველივე მისი იქადაგების და იგი შერაცხილ არს აჴ დიდად და ბრძნად სიტყვთა და სწავლულად, რომელმანცა მისნი თქუმულნი იცნოდის კეთილად უფრომს სხუათამსა და აღ-
მოიტყოდის მათ პირით თვსით და განანათლებ-
დეს სასმენელთა სხუათასა, რამეთუ კმა იქმნა ერთი ესე კაცი მრავალთა მათ წილ სწავლად და განბრძნობად ყოველთა.

67. **ხოლო მე ესე ოდენ ვთქუა მისი: რაჟამს «ექუსთა დღეთად» მისი კელად მივიღო და აღ-
მოვიკითხვიდე, დამბადებელსა თანა მივალ და გულისკმა-ვპყოფ სიტყუათა მათ დაბადებისათა და განგკრდები სიბრძნესა მას ზედა შემოქმე-
დისასა უფრომს, ვიდრელა პირველ, რაჟამს თუ-
ალითა ოდენ ჩემითა ვხედვედი საქმეთა მისთა; რაჟამს მწვალებელთა წინააღდგომანი მისნი აღ-
ვიზუნე და სიტყუათა მათ ძალსა გულისკმა-ვპყოფდე, ვიხილავ **სოდომელთა** ცეცხლსა, რომლ-
ითა შეიწუვიან ენანი, უკეთურნი და ბოროტნი (შესქ. 19,24), ანუ **ხალანისა** გოდოლსა, ბორო-
ტად აღშენებულსა და კეთილად დარღუეულსა (შესქ. 11,4).**

რაჟამს «სულისა წმიდისათვს» თქუმულნი მისნი ვპოვნე, ვპპოვებ ღმერთსა მას, რომელი ღმრთადცა მაქუს და კადნიერ ვიქმნები ჳუმარი-
იტებასა ზედა, რამეთუ აღვცდები მისსა მას ღმ-
რთისმეტყუელებასა და გულისკმისყოფასა ზე-
და, ვითარცა გოდოლსა მტკიცესა, და არღარა მეშინის წინააღმდგომთაგან, რაჟამს სხუათა მათ თარგმანებათა მისთა მივემთხვო, რომელნი მან უმეტართათვს სამწილად დაწერნა მტკიცეთა მათ ფიცართა ზედა გულისა მისისათა (იგ. 22,21). ჴის-
წავლი არა სიტყუათა მათ შინა ოდენ წერილისათა დადგომად, არცა ზეცას ოდენ ზედვად, არამედ

შინაგანცა შესვლად და სიღრმედ მისლვად, სი-
ღრმით და უფსკრულით უფსკრულსა ზადად (ფს. 41,8) და ნათლითა ნათელსა ვპპოვებ, ვიდრე მივი-
წიო სრულსა მას.

5 რაჟამს მოწამეთა შესხმათა მისთა ვიკითხვიდე, შეურაცხ-ვპყოფ კორცთა და შევერთვი ქებულთა მათ თანა და ღუაწლისა მიმართ უშიშ ვიქმნები. რაჟამს სწავლათა მისთა და მონაზონებისა წესთა მივემთხვო, განვწმდები სულით და კორციით და
10 ტაძარ ღმრთისა შემწყნარებელ ვიქმნები და ორ-
ღანოცემულ სულისა მიერ წმიდისა და საღმრ-
თოვსა ძალისა და დიდებისა მგალობელ, სიტყუ-
ათა მიმართ მისთა შევიცვლები და სხუად სხვსა წილ ვიქმნები, განახლებული საღმრთოთა მით
15 განახლებითა.

ხოლო უდიდესი იგი ვთქუა, რომელი პირველ სხუათამსა ჯერ-იყო თქუმად: რაჟამს წმიდად საკურთხეველად აღვცდე და «ჟამისწირვად» მისი კელად მივიღო, დამავიწყდების სრულიად
20 თავი ჩემი და აღვიტაცები გონებითა და თავუ-
ანის-ვსცემ სულსა მას წმიდასა, რომელმან მისი იგი გონებად და პირი ესევითართა გამომეტყუელ
ყო, რამეთუ მან ითხოვა ესე ღმრთისაგან, რადთა მოეცეს მაღლი თვსითა სიტყვთა აღსრულებად
25 წმიდისა ჟამისწირვისა.

ოა შეისმინა მისი ღმერთმან, რომელი-იგი ყოველსა ზედა უსმენდა, და აჴა ესერა, დღესა ერთსა იქმნა განგკრვებულ და სავსე სულითა და წმიდითა და იწყო წერად ლოცვათა მათ მწუხრი-
30 სსა და ცისკრისათა და ლოცვათა მარხვათასა. ოა მას ღამესა ილოცვიდა რად, განგკრვებულ იქმნა: და აჴა, უფალი ჩუენი იესუ ქრისტე მოციქულთა თანა მოვიდა და ყო წინაშე მისსა დაგებად პატი-
ოსნისა მის შესაწირავისად. ოა ჰრქუა მას: «აჴა, თხოვისაებრ შენისა მიმიცემიეს შენდა მაღლი, რადთა შენ მიერ თქუმულითა სიტყვთა აღასრუ-
35 ლო უსისხლოდ ესე მსხუერპლი. სღოვსენ უკუე მაღლითა პირი შენი».

ოა იწყო მან მეცსეულად თქუმად ლოცვათა ჟამისწირვისათა, ვითარცა-იგი იხილეს ორთა-
40 ცა მღდელთა სარწმუნოთა, რომელსა მას ჟამს განგებულებამან ღმრთისამან მიიყვანნა ეკლესი-
ად სახლით თვსით და იხილეს იგი მღგომარე წინაშე საკურთხეველისა და ერნი ნათლისანი გარემო მისსა, ვიდრემდის აღამაღლა პური იგი წმიდად და აღასრულა წმიდად ჟამისწირვად.

ხოლო გამოვიდა რად საკურთხეველით, იხილნა მღდელნი იგი შემრწუნებულნი, რომელნი დავარ-
დეს წინაშე მისსა. ოა მან ჰკითხა მიზენი მას

ჟამსა მუნ მოსლვისა მათისაჲ. **ჟოლო** მათ მიუთხრეს ყოველივე, რაჲ იხილეს. **ჟამინ** აიბულეს თხრობად მათდა საქმეზ იგი და ესრეთ ჰმადლობდეს ღმერთსა.

ჟოლო ზვალისა დღე შევიდა რაჲ ჟამისწირვად, აჰა, **ჟურიაჲმან** ვინმე ინება განცდად სახესა მას ჟამისწირვისასა და იხილა ყრმაჲ **შუენიერი** ცელთა **ბასილისთა**, რომელი მან დაკლა და სისხლი მისი შთააცარიელა ბარძიმსა და კორცი მისი დაჭრა და დააგო წმიდასა ფეშხუმსა. **ჟა** ყრმაჲ იგი იყო მრთულვე, ვითარცა პირველ, და ეზიარებოდა რაჲ ერი, მივიდა იგიცა ზიარებად და მიეცა მას კორცი და სისხლი და არა იყო სახე ჰურისაჲ.

ჟა დაჰმარხა მისგან ნაწილი და მიართუა ჩუენებად მეუღლისა თვისისა, რომლისათვისცა პრწყმენა მათ და მოუკდეს ნეტარსა მას და მიიღეს მის მიერ წმიდაჲ ნათლისღებაჲ.

ჟსრეთ ყოველივე კეთილი მის მიერ სრულ იქმნა, და ყოვლითავე სავსე იყო, რომელ არცა ერთისაგან წმიდათაგანისა ნაკლულევან იქმნა და უცხო, არამედ რომელთამე წარჰკდა და რომელთამე შეესწორა და რომელთამე მიემსგავსა.

70. **ჟამეთუ** მოვედით, ვიხილნეთ მრავალნი იგი ღმრთისმსახურებასა ზედა გამოჩენებულნი კაცნი — **შეჟულისმდებელნი**, წინაღწარმეტყუელნი, ერისმთავარნი, მოძღუარნი, მოღუაწენი სისხლთა დათხევადმდე, და ვიხილოთ, თუ ვითარ მიემსგავსა მათ ესე ნეტარი, რაჲთა ესრეთ ვცნათ სიდიდე მისი.

ჟდამ ღირს იქმნა კელითა ღმრთისაჲთა დაბადებასა (შესქ. 1,27) და სამოთხისა საშუებელსა და პირველსა **შეჟულისმდებასა**. **ჟრამედ**, თუ ოდენ არა არს სიტყუაჲ ესე ჩემი უჯერო სირცხვლისათვის პირველისა მამისა, მცნებაჲ იგი არა დაიცვა; **ჟოლო** ამან მიიღო მცნებაჲ და დაიმარხა და ძელისა მისგან საცნაურისა არა ვწნო და იქცევისა მის ცეცხლისა მახვლსა თანა-წარჰკდა და საშუებელსა მას საუკუნესა უეჭუელად მიემთხვა.

ჟნოს ესვიდა პირველ წოდებად სახელსა უფლისასა (შესქ. 4,26): **ხოლო** ამან უწოდაცა და სხუათაცა უქადაგა, რომელი-ესე წოდებისა ფრიად უზეშთაეს არს.

ჟნუქ მიიცვალა, რამეთუ მისისა მის ღმრთისმსახურებისა სასყიდლად მიიღო მიცვალებად (შესქ. 5,21) (აჩრდილსა შინა რაჲ იყო-და სარწმუნოებაჲ) და შემდგომისა მის ჟამისა ღელვასა განერა; **ხოლო** ამისი ცხოვრებაჲ ყოველივე მიცვალება იყო სრულად სრულსა მას ცხოვრება-

სა შინა გამოცდილი.

ჟოეს კიდობანი ერწმუნა (შესქ. 6,13) და თესლები მეორისა სოფლისაჲ, შეშასა შინა მცირესა დამკვრდებულნი და წყალთა ზედა მცურვალნი: **ხოლო** ესე წყლითარუნასა უღმრთოებისასა განერა და კიდობან ცხოვრებისა ყო თვისი იგი ქალაქი, სუბუქად წვალებისა ზღუასა ზედა მცურვალად და არა დანთქმულად, რომლისა მიერ ყოველსა სოფელსა მოუწოდა.

71. **ჟიდ** არს **აბრაჰამ**, მამათმთავარი და შემწირველი ახლისა მის შესაწირავისაჲ, რომელსა მომცემელისა მის შესწირვიდა მსხუერპლად განმზადებულად (შესქ. 22,1); არამედ არცა ამისი მცირე არს, რამეთუ თავი თვისი შეწირა ღმრთისა და არარაჲ, ვითარცა ნაცვალი, მოეცა (რამეთუ რამდენა იყო სხუაჲ?), რომლისა მიერმცა აღესრულა მსხუერპლი იგი.

ჟსაჟ აღთქმულ იქმნა უწინარეს შობისა (შესქ. 18,10): **ხოლო** ესე თუთ აღთქმულ იყო. **ჟრუბეკა**, რომელ არს ეკლესიაჲ, არა შორით, არამედ მახლობელად მიითუალა, არცა მეოხებითა მონისაჲთა, არამედ ღმრთისა მიერ მოცემული და რწმუნებული (შესქ. 24,3). **ჟრცა** შეცთომილ იქმნა გამორჩევისა მას შვილთასა, არამედ თითოეულსა ღირსებისაგან მისცა ძალითა სულისა წმიდისაჲთა.

ჟაქებ **იაკობის** კიბესა მას და ძეგლსა, რომელსა სცხო ღმრთისათვის და რკინობასა მისსა (შესქ. 28,12); რომელი-იგი იყო. **ჟითარ** ვჰგონებ, სახე შეერთებისა ღმრთისა კაცთა თანა და მდაბლისა ამის ბუნებისა მაღალსა მას თანა შეზავებისა. **ჟა** ვაქებ კელოვნებით მწყემსობასა მისსა და განმარჯუებულებასა და მისგან გამოსრულთა მათ ათორმეტთა მამათმთავართა და განყოფასა მას კურთხევათა წინაღწარმეტყუელებითურთ; არამედ ვაქებ ამისსაცა არა ხილულსა ოდენ, არამედ აღსრულსა მას კიბესა, რომელსა აღვიდა წარმართებითა სათნოებითი-სათნოებად. **ჟა** ძეგლი იგი, რომელსა არა სცხო ოდენ, არამედ აღუმართა ღმერთსა განსაქიქებელად უშეჟულოთა და რკინობასა, რომელი არა ღმრთისა მიმართ ქმნა, არამედ ღმრთისათვის ერკინა მწვალებელთა და აღუდგომელად დასცნა, და მწყემსობასა მისსა, რომლითა განმდიდრდა, რამეთუ მრავალნი მოიგნა ცხოვარნი, არა პირუტყუნი, არამედ პირმეტყუელნი, და კეთილსა მას შვილმრავლებასა, რომელნი იშვნეს ღმრთისა მიერ წმიდითა ნათლისღებითა მისგან და კურთხევისა მას, რომლითა მრავალნი განამტკიცნა.

72. **სოსებ** იქმნა პურის მცემელ (შესქ. 41,40), არამედ **გვბტისა** ოდენ და არა მრავალგზის და კორციელად, ხოლო ესე — ყოველთა და მარადის და სულიერად; რომელი მე მისსა უპატიოსნესად მაქუს.

სობს თანა **ავსიტელსა** გამოიცადა და სძლო და ბრწყინვალე იქმნა (იობ. 1,12), რამეთუ არცა ერთისაგან მრავალთა მათ შემარყეველთაჲსა შეირყია, არამედ ფრიადითა ძლიერებითა სძლო გამოცდელსა მას და უგუნურებასა მას მეგობართასა პირი დაუყო, რომელთა არა უწყოდეს ვნებისა მის საიდუმლოდ.

ჰოსე და **აპრონ** მღვდელთა შორის მისთა (ფს. 98,6). **სა** დიდ არს **მოსე** მტანჯველი **გვბტისა** და მცსნელი ერისაჲ მის ნიშებითა და სასწაულებითა (გამს. 7,8), რომელი შინაგან ღრუბელსა შევიდა და ორკეცი იგი შჯული გამოიღო — გარეგანი იგი წიგნისაჲ და შინაგანი სულისაჲ. **სა** **აპრონ**, **მოსეს** ძმაჲ კორციითა და სულითაცა, ერისათჳს შემწირველი მსხუერპლებისაჲ და მლოცველი (გამს. 29,4), შემავალი წმიდასა მას კარავსა საწამებელსა, რომელი ქმნა უფალმან და არა კაცმან (ებრ. 8,2).

ხოლო იგი ამათ ორთავე მოშურნე იქმნა, რომელმან ტანჯა არა კორციელითა ტანჯვითა, არამედ სულიერითა და სიტყვერითა ნათესავი იგი მწვალელები და **მეგვიპტელი** და წინა უძღოდა ერსა მას, ჭეშმარიტსა მოშურნესა კეთილთა საქმეთასა (ტიტ. 2,14), რომელნი შეიყვანნა ქუეყანად აღთქმისა.

ხოლო შჯული დაწერა ფიცართა ზედა არა შემუსრვადთა, არამედ მტკიცეთა, არღარა აჩრდილის სახე, არამედ ყოვლითურთ სულიერი და წმიდასა წმიდათასა არა ერთგზის წელიწადსა შინა, არამედ მარადლე შემავალ იყო, ვინაჲცა წმიდასა სამებასა გკრეწებდა და ერსა განსწმედდა არა წარმავალითა პკურებითა, არამედ ჭეშმარიტითა განწმედითა.

სუს კუალად მისა ნავესი საქმჲ რაჲ არს (ის. ნავ. 1,2) — კეთილი ერისთვობაჲ და ძლევაჲ და მკვდრობისა მიცემაჲ და დაპყრობაჲ ქუეყანისა მის აღთქმისაჲ; ხოლო ესე არა წინამძღუარი, არა ერისთავი იყო-ა სარწმუნოებით ცხოვრებულთაჲ? ანუ არა დამამკვდრებელ იქმნა-ა სამკვდრებელთა მათ კეთილთა და საღმრთოთაჲ? რადთა თქუას, ვითარმედ: წილ მხუდა მე რჩეულთა შენთა თანა, რამეთუ სამკვდრებელი ჩემი მტკიცე არს ჩემდა (ფს. 15,16) და ჭელთა შინა შენთა არს მკვდრობაჲ ჩემი (ფს. 30,15). მკვდრობაჲ არა ქუეყანისაჲ და

წარმავალი, არამედ საუკუნოდ და ზეცისაჲ.

73. **სა** რადთა «მსაჯულთა» მათ თანა-წარვპკედეთ, რომელთაგანი არცა ერთი არს მსგავს ამისა. **სა** თქუა სხუათათჳს: **სამოელ** მათ თანა, რომელნი ხადიან სახელსა წმიდასა მისსა (ფს. 98,6), მიცემული უწინარეს შობისა (1 მეფ. 1,20). **სა** შემდგომად შობისა მეყსეულად მღვდელ და მცხებელ მეფეთა და მღვდელთა რქითა მით (1 მეფ. 16,13); ხოლო ესე არა შობითგან ღმრთისა შეწირული არს-ა საშოდთგან დედისაჲთ და ორკეცითურთ მიცემული საკურთხეველად და მხილველ ზეცისა საქმეთა და ცხებული უფლისაჲ და მცხებელი სულიერად სრულყოფადთაჲ მათ?

სავით დიდ იქმნა მეფეთა შორის (2 მეფ. 5,1), რომლისა ძლევაჲნი მტერთანი დიდ არიან და უფროჲს ყოვლისა არს სიმშვედ მისი (ფს. 131,4) და უწინარეს მეფობისა კუალად ძალი იგი ქნარისაჲ, სულისა ბოროტისა დამაყენებელი (1 მეფ. 16,23). **სა** **სოლომონ** კუალად სიერცჲ გულისაჲ ითხოვა ღმრთისაგან და მოეცა (3 მეფ. 4,29) და გარდაემატა სიბრძნითა და გულისკმისყოფითა უფროჲს ყოველთა;

ხოლო ესე ერთისა მის სიმშვედისაგან და მეორისა მის სიბრძნისაგან არარადთა ნაკლულევან იქმნა, ვიდრედა მეფეთა ეშმაკეულთა სიფიცხლესა დაამშვედებდა და არა სამზრისა ოდენ დედოფალი, ანუ სხუად ვინმე ერთი სურვილისათჳს სიბრძნისა მისისა მოიყვანა კიდით ქუეყანისაჲთ. **სა**რამედ ყოველთა კიდეთა განისმა სიბრძნჲ მისი. **სა** შემდგომად ამისა **სოლომონის** საქმესა თანა-წარვპკედე, გარნა ყოველთა მიერ საცნაურ არს, დაღაცათუ ჩუენ ვერიდებით თქუამად.

74. **სა**ქებ-ა **ელაიას** მძლავრთა მიმართ კადნიერებისა და ცეცხლისა მიერ აღტაცებასა (4 მეფ. 1,4) და **ელისეს** კეთილსა მას მკვდრობასა ხალენისა, რომელსა თანა მრჩობლი იგი **ელაიას** სული შეუდგა (4 მეფ. 2,9)? აქებდ უკუე მისსაჲცა ცეცხლსა შინა ცხორებასა, რომელ არს სიმრავლჲ განსაცდელთაჲ, და ცეცხლისა მიერ აღმადლებასა, რომელი სწუვიდა და არა დასწუვიდა მსგავსად მაყულისა (გამს. 3,2) და კეთილსა მას ზეცით მოცემულსა სამოსელსა, რომელ არს უკორცოებაჲ.

საუტევნე სხუანი იგი სახენი მისნი: ცეცხლსა შინა შეცურეულნი იგი ყრმანი (დან. 3,5) და მუცელსა შინა ვეშაპისასა მლოცველი წინაჲსწარმეტყუელი იგი ლტოლვილი (იონ. 2,1) და ვითარცა სასძლოდთ, მიერ გამოსრული და მღვმესა შინა შეწყუდეული იგი მართალი და ღომთა პირისა დამყოფელი (დან. 14,28). **სა**ინა თუ შუდთა მათ მაკ-

აბელთა ღუაწლი მდღელსა მას თანა და დედასა თვსსა აღსრულებული სისხლითა და მრავლითა სახითა სატანჯველთათა (II მაკ. 7,1), რომელთაცა ღუაწლსა ამათ ყოველთასა მიემსგავსა და დიდებადცა მათი მიიღო.

75. წრამედ მე ახლისა ამის შჯულისა მომართ მოვიდე და ამას შინა გამობრწყინებულთა თანა გამოვიძიო საქმე მისი და პატივ-ვსცე მოწაფესა მოძღუართა მიერ: **იოვანე** იქმნა იესუმს წინამორბედ (ლუკ. 3,4), ვითარცა კმად სიტყვსად და ვითარცა სანთელი ნათლისად, რომლისა წინაშე ჰკრებოდა საშოსა შინა დედისასა და წინა წარვიდა ჯოჯოხეთს **ჰეროდეს** მიერ უკეთურისა, რადთა მუნცა ქადაგოს მოძაგალი იგი: ხოლო დაღაცათუ ვის კადნიერება უჩნდეს სიტყუად ესე, რომელ მის თანა ვკყოფ გამოძიებასა, არამედ მე არა თუ მნებაჲს, რადთამცა უმეტესად გამოვაჩინე ესე უზემთაჲსისა მის ნაშობთა შორის დედათაჲსა, არამედ რადთა გიჩუენო, ვითარ ემუხრებოდა და ჰბაძვიდა ცხორებასა მისსა.

ჩამეთუ არა მცირე არს მცირედცა მიბაძვად დიდთა კაცთაჲ. **წნუ** არა საცნაური სახე არს-ა და ხატ მისისა ცხორებისა კაცი ესე? რამეთუ ამანცა უდაბნოდ დაიმკვდრა და ამასცა სტევისა სამოსელი ემოსის უცნაური მრავალთაგან და ამანცა მისებრვე საზრდელი შეიყუარა და განწმიდა წინაშე ღმრთისა თავი თვსი მარხვისა მიერ და ესეცა ქადაგ ქრისტესა იქმნა, დაღაცათუ არა წინამორბედ, და მივიდოდეს მისდა არა **ჰური-ასტანისა** სოფელი ოდენ, არამედ ყოვლით ქუეყანით. **წა** ესეცა შორის ორთა მათ შჯულთასა დგა: ერთისა მის წიგნისა და ცნად და მეორისა სულისა გამოცხადებად. **წა** ხილულისა მის შჯულისა და ცნად ყო, უხილაჲსა მის — აღსრულებად.

76. ჰიემსგავსა **ჰეტრეს** შურსა (საქმ. 4,8-12), **ჰავლეს** მოსწრაფებასა, სახელოვანთა ამათ და სახელითა შეცვალებულთა, ძეთა **ზებედესთა** კმამაღლობასა, ყოველთა მათ მოციქულთა უპოვრებასა, ამისთვსცა კლიტენი ზეცისანი ერწმუნენ (მთ. 16,19) და არა **იერუსალემით ილ-ირიკედმდე** (რომ. 15,19), არამედ ფრიად უდიდესთა ქუეყანათა ქადაგა სახარებად და შემოიკრიბნა მის თანა და ძედ ქუხილისა დაღაცათუ არა ეწოდა, არამედ იქმნა და მკერდსა იესუმსსა მიეყრდნა და მუნით აღმოესო ძალი სიტყვსად და სიღრმე გულისკმისყოფისად.

ჩამეთუ **სტეფანე** ყოფად სურვიელ იყო, გარნა ვერ იქმნა ცხადად, რამეთუ ეშინოდა მისგან მქოლველთა მათ (საქმ. 7,58). **წოლო** გონებითა

იქმნა უეჭუელად. **წოტყუა** მოკლედ, რადთა არა თითოეულსა ვაცსენებდე. **წოთარმედ** მან რომელთაჲმე კეთილნი მოიგნა და რომელთაჲმე ემსგავსა და რომელთაჲმე წარჰკდა, ხოლო ყოველთაჲმე სათნოებათა ზედმიწევნითა აწინდელთა ყოველთა წარჰკდა.

77. **წა** ესეზომ იქმნა სათნოებაჲ მისი და დიდებულებად, რომელ მრავალნი მისთა მათ მცირეთა და კორციელთა საქმეთაგანნი სხუათა მიერ დიდად სასწრაფო არიან: ვითარ-იგი იყო სიყუთლმე ფერისად და წუერთა მისთა შუენიერებაჲ და სახმ სლვისა მისისად და სიტყვსა მიმართ არაადრეობად, მკმუნვარებაჲ, გონიერი და ჯეროვანი, რომელსა მრავალნი არა კეთილად ემუხრნეს და მწუხარებად შეექმნა მათ და სიფიცხლედ. **წა** კუაღად სახმ სამოსლისა და სარეცელისად და ჭამადისა მისისა გუარი, რომელთაგანი არცა ერთი იყო მის მიერ ჭირითა რადთმე მოპონებულ.

წრამედ თუთ თავით თვსით ესრეთ იყო საქმე მისი. **წა** აწინდელთა ამათ კაცთა შორის რომელთა ინებონ ბაძვად მისი, არცა თუ ესეზომ მიემსგავსენ, რადზომ აჩრდილი ჰგავს კაცსა, ანუ რადზომ კმად იგი უკუანადსკნელი კმისად, რაჟამს აღმოიღის კმად ვინ უდაბნოს ადგილსა და იგი რად დადუმნის, კმისა მის დასასრული კმობნ უდაბნოსა მას შინა, რამეთუ იგი დაღაცათუ აღსასრული არს კმისად, გარნა მისივე სახმ აქუს.

წოლო ესენი ფრიად არა ჰგვანან მას, არამედ რადზომცა მიახლებად სურინ, შორს იპონიან, ხოლო ესეცა არა მცირე არს, უკუეთუ ვინ მის თანა ყოფილ იყოს და აკსოვდინ ოდენ მისნი იგი სიტყუანი და საქმენი, რომელ-ესე მეცა მრავალგზის შევამკვე სიტყუად ჩემი და საქმე მისითა სიტყვთა, რამეთუ გარეწარნიცა საქმენი მისნი სხუათა მიერ შრომით მოგებულთაჲსა უპატიოსნეს არიან ფრიად და დიდებულ.

78. **წინადთგან** უკუე სრბად აღასრულა და სარწმუნოებაჲ დაიცვა (2 ტიმ. 4,7) და მიცვალებად სურვიელ იყო (ფლპ. 1,23) და ჟამი გვრგვინოსნებისად მოწვენულ, ესე არა ესმა ღმრთისა მიერ, ვითარმედ: «მთად აღვედ და აღესრულე» (II სჯ. 32,49), არამედ: «აღესრულეო და აღმოვედ ჩემდა მომართ». **წოლო** მაშინ კმნა საკვრველი დიდი და არა უდარესი სხუათა მათ საქმეთა მისთა.

ჩამეთუ მიახლებულ იყო სიკუდილსა და მოიყვანა **ჰურიად** იგი მკურნალი **იოსებ**, რომელი კელოვნებითა თვსითა დაამტკიცებდა არღარა მიწვენასა მისსა მწუხრადმდე. **წოლო** მან მოჰკადა მას სიტყუად, თუ რად-ძი მოიწიოს მის ზედა,

არა თუ იქმნას სიტყუად მისი. ოა იგი იტყოდა, ვითარმედ: «სიკუდილითა დავისაჯო, არათუ ესრეთ იყოს, გარნა შეუძლებელ არს, თუმცა დღეს უწინარეს მზისა აღსლვისა არა აღივსო მზც კესარიისა».

ჟოლო იგი ეტყოდა, ვითარმედ: «მოკჳედუ შენ ცოდვისაგან და სცხონდე სულითა». ოა იგი აღუთქუმიდა ესრეთ ყოფად. ჰამეთუ ფრიად ეთქუა მისდა სიტყუად იგი ქრისტიანობისა და მარადის ეტყვნ: «გრწმენინ, **იოსებ**, არა წარვიდე მე ამიერ, არა თუ გყოს შენ უფალმან წმიდა წყლისა მიერ და სულისა».

ჟოლო მას ღამესა ნებისაებრ მისისა არა წარიყვანა ღმერთმან. ოა ზვალისა დღე იხილა იგი მკურნალმან მან განკჳრველმან და მიერიტგან შეუვრდა ფერტა მისთა და მოიქცა უფლისა.

ჟოლო იგი, რომლისა ძალი ჳორცთად სრულიად წარსრულ იყო, კუალად განძლიერდა სწავლად მისდა და ყოველთა, რამთა ესრეთ სიტყუათა მათ თანა სიწმიდისათა წარვიდეს. ოა ნათელ-სცა მას ჳელითა თვსითა სახლეულითურთ მისით და უწოდა **იოჳანე**, და იყო სხუათაცა მდღელთა და დიაკონთა კურთხევა, რამთა არა დარჩენ მოწაფენი მისნი ესრეთ გარეჳან საკურთხეველისა.

ოა ესრეთ შემდგომად ამისა რადლა ვთქუა, რამეთუ თქუმადცა მძიმედ მიჩნს. ლარნა ვთქუავე, დაღაცათუ სხუათა უკმდა ამის სიტყვსა თქუმად და არა მე, რამეთუ ვერ მოვითმენ საქმესა ამას შინა, დაღაცათუ ფრიად ვისწრაფე მოთმინებად, რაჟამს მოვიცსენო სიობლე ესე ყოველთა და დაჭირვებად, რომელი მოიწია ყოველსა ზედა სოფელსა.

79. ჟო მდებარე სარეცელსა ზედა კაცი იგი, სათნოებითა ანგელოზქმნილი ჳორცთავე შინა და დგა უკუანადასკნელსა ზედა სულთქუმასა, და ზეცისა მკედრობანი სურვიელად მიელოდეს მას და ეძიებდეს, რომელთა მიმართ მარადის ზედვიდა და მიისწრაფდა. ჟოლო მოზუეულ იყო გარემო ყოველი იგი ქალაქი, რომელნი სიობლესა მას ვერ თავსიდებდეს და წარსლვასა მას ერჩოდეს, ვითარცა მძლავრსა. ოა სულსა მისსა შეიპყრობდეს, თუმცა შესაძლებელ იყო იძულებითა დამჭირვად მისი ანუ ჳელითა, ანუ ვედრებითა.

ჰამეთუ მიუღებდა მათ გონებასა ვნებად იგი და თითოეული გულისმოდგინე იყო, შე-თუმცა-უძლო ცხორებისა თვსისა ჟამთა მისდა შეძინებად, ვინადგან უკუე იძლინეს (და უკმდა მას შესუმად სასუმელისა მის, რამეთუ კაცი იყო). ომისთვს უკუანადასკნელ თქუა, ვითარმედ: «ჳელთა შენთა,

უფალო, შევჳედრებ სულსა ჩემსა» (ფს. 30,5). ოა ესრეთ ანგელოზთმთავართა მათ, მისდა მოსრულთა თანა, მივიდა სიხარულითა დიდითა, კურთხევითა მისთა მათ შვილთადათ. ჰაშინ უკუე იქმნა

5 საკჳრველი ყოველთა უდიდებულესი.

80. ჰამეთუ გან-რად-ვიდოდა გუამი იგი წმიდად, ჳელთა ზედა წმიდათა აღმაღლებული, და მოსწრაფე იყო თითოეული მისდა შეტებად — ანუთუ ფესუსა სამოსლისა მისისასა (ლუკ. 8,44), ანუთუ აჩრდილსა ქუეშე მისსა შესლვად (საქმ. 5,15), ანუ წმიდასა მას ცხედარსა შეტებად, რომელსა ზედა იყო წმიდად იგი (რამეთუ რამცა იყო გუამისა მის მისისა უბატოისნესი და უწმიდესი?). ოა რომელნიმე ისწრაფდეს მახლობელ მტკრთველთა მათ სლვად და რომელნიმე, რამთამცა ოდენ იხილეს იგი, რამეთუ ხილვაცა მისი დიდ იყო.

ჰაშინ უკუე მოიწია დედაკაცი იგი, რომელსა აღწერნეს ცოდვანი მისნი ქარტასა ზედა და მიეცა მისდა, ვიდრედა ჩუენ თანა იყო. ოა შესტიროდა აღკოცად მათ ყოველთა განუკსნელად ბეჭდისა მის მისისა, რომლითა დაეებჭდა ქარტად იგი, ზოლო მან აღუკოცა ყოველი, თვნიერ ერთისა მის დიდისა, რამთა ამასცა ზედა გამოაჩინოს ღმერთმა საკჳრველებად მისი. ოა ნეტარსა მას წარვევლინა იგი დიდსა **ეფრემს** თანა, ვითარმცა თვთ ვერ ეძლო საქმისა მის ქმნად.

ჟოლო ნეტარსა **ეფრემს** ეთქუა მისდა, რამთა მისდავე მიიწიოს მსწრაფლ, უწინარეს წარსლვისა მისისა, რამეთუ ვერვის ძალ-უც სხუასა აკოცად იგი. ოა მას ოდენ ჟამსა მოიწია და იწყო ჳმობად და გოდებად და სარჩლად მისდა, ვითარცა ცხოველისა (და რომელი ჳუმმარიტად ცხოველ არს წინაშე ღმრთისა), ვითარმედ: «საჯენ ღმერთმან შორის ჩემსა და შენსა, ჳ წმიდაო, რამეთუ ძალ-გედვა აკოცად ბოროტთა ჩემთა და არა ინებე, არამედ სხუათა თანა წარმაჳლინე» და სხუათა მრავალთა სიტყუათა გოდებით იტყოდა.

ოა ქარტად იგი დააგდო მის ზედა და უთხრობდა ერსა ყოველსა მას საკჳრველებასა, რომელი ქმნა მის ზედა, და თუ ვითარ ერთი იგი დაუტევა. ჟოლო ერთმან თანამჳალთა მდღელთაგანმან აღიღო ქარტად იგი ნახვად, თუ რად არს ცოდვად იგი, და განადო რად, ჰოვა იგი ყოვლითურთ აკოცილი და ჳმაყო და თქუა, ვითარმედ: «აკოცილ არს ესე მეოხებითა ამისითა, რომელსაცა ევედრები, ჳ დედაკაცი, აჳ უკუე ნულარა დაღადებ!» ესრეთ აღიდეს ყოველთა ღმერთი და წარვიდა დედაკაციცა იგი სახიდ თვსა სიხარულით.

ჟოლო ერი იგი შეაიწრებდა ცხედარსა მას და

ურთიერთას, რამეთუ სავეს იყვნეს უბანნი და ფოლოცნი, რომელნი წარჰგზავნიდეს მას. ოა კმასა მას გალობისასა დაჰფარვიდა კმაჲ იგი გლოვისაჲ. შოსწრაფე იყვნეს ყოველნი ზოგად — ქრისტიანენი, **ჰურიანი**, წარმართნი. ⁵ ზოველი პასაკი და ყოველი ნათესავი, მუნ მყოფი თითოეული, რადთამცა უფროდს მიეახლა მას უკუანადგონელ განსაცდელადცა მიიწია საქმჲ იგი, რამეთუ იწროებისა მისგან და ხენეშისა წარვიდეს მის თანა სულნი არამცირედნი, რომელთაცა აღსასრული სანატრელ იქმნა, რამეთუ მის თანა წარივიდეს, რადთა მან მიიყვანნეს იგინი ღმრთისა.

ძლით უკუე განერა გუამი იგი მტაცებელთაგან მისთა და სძლო წარმგზავნელთა მათ იწროებასა და ესრეთ შევიდა სამარხოსა მამათასა. ოა მიემატა მღდელთა მღდელთმოდლუარი იგი დიდი. ¹⁰ ჯადაგთა — მაღალი იგი კმაჲ სიტყვსა ღმრთისაჲ, რომელი მარადის ყურთა შინა ჩემთა ოხრის, მოწამეთა — მოწამე იგი ღუაწლმრავალი. ოა აწ არს იგი ცათა შინა და ჩუენთჳს ჰყოფს მეოხებასა, შესწირავს მსხუერპლთა და ილოცავს ერისათჳს, რამეთუ არათუ დაღაცათუ წარვიდა ჩუენგან, სრულიად დაუტეობიეთ.

ჟოლო **გრიგოლი** ნახევარმომკუდარ არს და ნახევარმოკუეთილ, რამეთუ განყოფილ არს დიდისა მისგან მეუღლეებისა და ცხორებითა საღმობისაჲთა ცხორებს. ¹⁵ ჴითარ-იგი იქმნების მისისა მის სწავლისაგან განყოფილთა, რომლისა მიერ აწცა განვისწავლები ჩუენებითა ღამისაჲთა, უკუეთუ სადა გარეგან წესისა განვიდე.

ოა არათუ მე ესრეთ გლოვასა აღვჰრევ შესხმასა თანა, არამედ დავესწერ მოქალაქობასა მისსა და დავესდებ სიგრძესა ჟამთასა ხატად და სახედ სათნოებისა ცხორებასა მისსა და წიგნად ცხორებისა ყოველთა ეკლესიათა და ყოველთა სულთა, რომლისა ხედვითა წარმართებოდის ცხორებაჲ ჩუენი, ²⁰ ჟოლო თქუენ სხუამცა რად-მე განგაზრახე, რომელნი-ეგე მის მიერ განათლებულ ხართ? გარნა მისა მიმართ მარადის ხედავ და ვითარცა მხილველისა წინაშე სათნოყოფაჲ მისი აღსრულებითა სიტყუათა მისთაჲთა.

81. ჴოვედით უკუე, გარე-მომადგენით მე ყოველი ეგე კრებული მისი, რომელნიცა საკურთხეველსა ზედა მდგომარენი ხართ და რომელნიცა ქუე მდგომარენი, რავდენნიცა ჩუენნი ხართ და რავდენნი გარეგანნი. ²⁵ ჴემეწიენით მე მისდა ქებად. ოა თითოეული სხუასა და სხუასა იტყოდეთ კეთილთა მისთაგანსა და ეძიებდით და აქებდით: საყდართა ზედა მჯდომარენო — შჯულისმდებელსა მას,

მოქალაქენო — განმანათლებელსა მას თქუენსა, ერნო — წესიერმოფეველსა მას, სიბრძნის-
მოსწავლენო — მოძღუარსა მას, ქალწულნო —
წინდმოფეველსა მას, ქორწინებულნო — პატი-
ოსანმოფეველსა მას თქუენსა, მეუდაბნოენო —
ფრთოვანმოფეველსა მას, უსწავლელნო — წინამძღუარსა მას, გულისკმისმოფეველნო — ღმრთის-
მეტყუელსა მას, მხიარულებასა შინა მყოფნო —
აღვრსა მას, ჴირვეულნო — ნუგეშინისმცემელსა
მას, მოხუცებულნო — კუერთხისა მას ძლიერე-
ბისასა, ჴაბუკნო — მასწავლელსა მას, გლახაკნო
— განმამდიდრებელსა მას, მდიდარნო — კეთილ-
სა მას განმგებელსა.

სქებდით: ქურიენო — კელისამჰყრობელსა
მას, ობოლნო — კეთილსა მას მამასა, გლახაკნო
— გლახაკთმოყუარესა მას, უცხოზო — უცხო-
თშემწყენარებელსა მას, ძმანო — ძმათმოყუარესა
მას, სნეულნო — მკურნალსა მას, რომელიცა სე-
ნი იყოს და რომელიცა წამალი ვის ენებოს, მრთ-
ელნო — მცველსა მას სიმრთელისასა. ²⁰ ჴოველნივე აქებდით მას, რომელი-იგი ყოველთა ყოველივე ექმნა, რადთა შეიძინნეს ყოველნი.

82. სე სიტყუანი თქუმულ არიან, **ჴ ბასილი**,
შენდა მომართ ენისა ამის მიერ, რომელი ოდესმე
საყუარელ იყო შენდა და პატიოსან, უკუეთუ
ღირსებისა შენისა მახლობელ სადა არიან, შენ-
და იყავნ მაღლი ესე, რამეთუ შენითა სასოებითა
ვიწყე შენთჳს სიტყუად, უკუეთუ კულა ფრიად
შორს არიან და მიუახლებელ, რად მე ვყო, რო-
მელი-ესე სიბერიითა და უძღურებითა და შენითა
სურვილითა განლეულ ვარ? მომცამცა ვინ შენისა
მის პირისა მაღლი და მდიდრად აღმომდინარე
იგი წყაროდ. ³⁰ ჴადთამცა შენ ოდენ შეგამკვე ჯერისაებრ, გარნა ღმრთისაცა სათნო არს ყოველივე ძალისაებრ საქმჲ.

ჟოლო შენ მოხედევდ ზეცით ჩუენ ზედა, **ჴ**
საწადელო და წმიდაო სულო. ოა მოცემული
ესე ღმრთისა მიერ საქენჯნელი ჴორცთა ჩემთაჲ
(**2 კორ. 12,7**) ანუ დააყენე შენითა მეოხებითა, ანუ
მომეც მოთმინებით თავსდებად და წარჰმართე ცხ-
ორებაჲ ჩემი უმჯობესისა მიმართ. ოა რაჟამს გან-
ვიდე ამიერ, შემეწყნარე მანდა, საყოფელთა მათ,
სადა შენ იყოფები, რადთა ზოგად ვიყოფებოდით
ურთიერთას თანა და ვხედვიდეთ წმიდასა მას და
ნეტარსა სამებასა უწმიდესად და უსრულესად,
რომლისა აწ სახჲ მცირედ მოგვლდებიეს აქა.

სრეთ აღესრულენ სურვილი ჩუენი და ესემცა
მოცემულ არს ჩუენდა, ნაცვალად მრავალთა მათ
ჴირთა ჩუენთათჳს, რომლითა ვებრძოლენით და

ვიბრძოლენით. ოჲ არს ჩუენ მიერ შენდა მომართ თქუებული, მნეტარო, ხოლო ჩუენ ვინდა გუაქოს, ვინადთგან შემდგომად შენსა აღვესრულებით და შენ არა აქა ხარ, უკუეთუ ოდენ ვქმნათ რადმე საქმშ, ღირსი ქებისად?

წრამედ, მ მეუფეო და შემოქმედო ყოველთაო და ყოველთაგან განყოფილად ჩუენო, მ ღმერთო მონათა შენთაო და მამაო და განმგებელო ყოვლისაო, მ უფალო სიკუდილისა და ცხორებისაო, მ სულთა ჩუენთა მაცხოვარო, მ რომელი-ფე 10 იქმ ყოველსა და შესცვალე კელოვანითა მით სიტყვთა შენითა, ვითარცა გნებაჲს და ვითარცა უწყი სიღრმითა მით სიბრძნისა შენისადთა, რომელმან მიიღე ჩუენგან დიდი იგი მნათობი ყოვლისა სოფლისად და ქადაგი ჭეშმარიტებისა 15 შენისად.

წანგებულებითა მით, რომელ შენ უწყი, ღირს მევენ ჩუენცა მეოხებითა მისითა მის თანავე ყოფად, გან-რად-ვიდეთ ამიერ, და განსრულმცა ვართ განმზადებულნი და შემოსილნი შიშითა შენითა და არა იძულებით და ჭირით განყოფილნი 5 ცორცთა ამათგან დღესა მას უკუანადსკნელსა, რომელი-ესე ენებაჲ არს ცორცთმოყუარეთა და სოფლისმოყუარეთა სულთად, არამედ კეთილადმცა და სურვიელად მიწვენულ ვართ საუკუნი- 10 სა მაგის სანატრელსა მას და დაუსრულებელსა ცხორებასა ქრისტეს იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისა თანა შენდა დიდებაჲ გშუენის ყოვლადწმიდით, სახიერით და ცხოველსმოყოფე- 15 ლით სულითურთ, აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამენ.

